

აქტები 2.2020



ISSN 2346-8416

აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის წელიწადში ორჯერ

2

დეკემბერი

თბილისი

2020

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოღებული
მის თემის ძლვენი” (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს
მაგალითობურას
მიერ

რედაქტორი
მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი
ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი
ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი
ირაკლი უშვერიძე



არაგვის ლიტერატურა

მიხაილ ნუაიმე (1889-1988)

მიხაილ ნუაიმე არაბული ემიგრანტული ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია. „მაჰჯარის“ ლიტერატურის სხვა ავტორთაგან განსხვავებით, რომლებსაც ბედმა ამერიკა-ლიბანს შორის ცხოვრება და დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა ხიდად ყოფნა არგუნა, ნუაიმე სამი კულტურის პირმშოა – არაბულ-ლიბანურის, რუსულისა და ამერიკულის. ასეთმა ცხოვრებამ ძალიან მრავალფეროვანი გამოცდილება მისცა მწერალს, რაც მის მხატვრულ შემოქმედებაზეც აისახა. პირველმა მსოფლიო ომმა ნუაიმეს ამერიკაში მოისუსრო. ომის მიწურულს ბრიტანეთისა და საფრანგეთის დასახმარებლად აშშ ჩაერთო და ასე მოხვდა 1918 წელს ფრონტზე განვეული მიხაილ ნუაიმე საფრანგეთში გადასროლილი ამერიკული ქვედანაყოფის შემადგენლობაში.

ცრიპა

უცნობი ჯარისკაცის მოგონებებიდან.
საფრანგეთი, 1918 წლის სექტემბერი,
პარასკევი

მე და ჩემი თანამებრძოლები ერთმანეთს დავცინით, ისინი – ჩემს ახირებებს, მე კი – მათსას. დღეს საკუთარ თავზე მეცინება, რადგან მეც მათნაირი გავხდი. ანდაზა ამბობს: „ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“ და აი, მეც მათ დავემსგავსე, რადგან განშორების გზა არ არსებობს, აბა, ჯარისკაცი თავის ჯარს სად გაექცევა?

შაბათი

სიხარულს სევდა ცვლის და სევდას – სიხარული. გავიხარე, როცა ყაზარმი-დან საავადმყოფოში ამოვყავი თავი. მით უფრო, რომ უკურნებელი არაფერი მჭირდა. მტანჯავდა ის, რასაც ჩემი თანამებრძოლნი „ფრანგულ ქავილს“ უწოდებენ და მათი სამი მეოთხედი სწორედ ამ ინფექციის მატარებელია. თუმცა ეს დაავადება მე ცოტა რთული ფორმით შემსვდა, მწვავე ქავილმა კანი სულ და-მიზიანა. როცა ჩვეული სამედიცინო შემოწმების დღე დადგა, ექიმი შეშფოთდა ჩემი მდგომარეობით და მაშინვე საავად-

მყოფოში გამგზავნა სპეციალური მკურნალობის ჩასატარებლად.

ამბობენ, რომ ქავილის გამომწვევი მიზეზი მიკროსკოპული მწერები არიან, რომლებიც იმ ჭაბიან მიწაზე ბინადრობენ, სადაც ჩვენი ბანაკია განთავსებული. ისინი აღწევენ კანში და იწყება აუტანელი ქავილი, არ ჩერდება, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის და ასე ვრცელდება მთელ სხეულზე.

ახლა კანის დაავადებათა კლინიკაში ვწევარ. მაქვს პატარა საწერი მაგიდა, ასევე, ლოგინი ქათქათა თეთრეულითა და მატყლის მძიმე საბნით. დღეს ღრმა ძილით დავიძინებ. შუალამეს სერუანტი აღარ გამაღვიძებს იმის ძახილით, რომ ჩემი მორიგეობის ჯერი მოვიდა, აღარც ნახევარი ღამის გატარება მომინევს წვიმაში მხრებზე აკიდებული იარაღით, არ დავითვლი ნაბიჯებს და არც ჩემი ფეხსაცმლის ქვებზე რაკუნის ხმას მივაყურადებ.

რბილი ლოგინი, თოვლივით ქათქათა თეთრეული, თბილი საბანი, მშვიდი ძილი და ხვალინდელი უსაქმო დღე – აი, რა მახარებს! მაგრამ ამ სიხარულს სევდა ცვლის, როცა ერთმანეთს ვადარებ გუშინდელ და დღევანდელ დღეს. რამხელა

სხვაობაა, არ მჯერა, რომ მე ახლა ის ვარ, ვისაც გუშინ ფიცარზე ეძინა, თავ-ქვეშ წიგნები ედო ბალიშად და თავზე ჭერი ეფარა საბნად, ღამეებს ათენებდა საკუთარ თავთან საუბარში და მისი საი-დუმლოებების ამოხსნას ცდილობდა, ბედნიერად გრძნობდა თავს მარტოსული და ამით კმაყოფილი იყო. ნუთუ გუშინ-დელი კაცი დღეს იგივე ადამიანია? ისე-თი, რომელიც საკუთარ თავს და მარტო-ობას გაურბის და ახლა რბილ საწოლზე წოლა ისე ახარებს, როგორც პატარა ბიჭს – ახალი სათამაშო. გუშინდელი მე მენატრება, დღევანდელი კი – მეზიზღება. ამიტომაც ვამბობ, რომ სევდას სიხა-რული ცვლის და სიხარულს – სევდა.

როდესაც პალატაში შევედი, ყველა მე მომაშტერდა, ზოგი კარტს თამაშობდა, ზოგი კი წამოწოლილი თავის ფიქ-რებში იყო გართული. თამაშს თავი მია-ნებეს და გარს შემომეხვივნენ, „ახალ ძმას“ მომესალმნენ. ჩავთვალე, რომ ყველა იმ დაავადებით იტანჯებოდა, რი-თიც – მე. შემდეგ ერთ-ერთმა მკითხა:

– ეჭვგარეშეა, რომ შენც ჩვენსავით მდოგვის მომწამლავი აირის მსხვერპლი ხარ.

გაგებული მქონდა, რომ მდოგვის აირი ყველაზე შხამიანი გაზია, რომე-ლიც ყველაფერს წვავს, რასაც ეხება. ეს დამწვრობა თითქმის არ იკურნება, ტკი-ვილები მწვავეა. ამიტომ შემეცოდა ყვე-ლა იქ მყოფი, თუ მართლა ამით იტან-ჯებოდა. მე კი ვუპასუხე, რომ კანის უმ-ნიმვნელო დაავადება მჭირდა. ეჭვიანი და ცინიკური თვალებით შეხედეს ერ-თმანეთს და გაიცინეს. მე კი გაბრუებუ-ლი ვიდექი და ვერ გამეგო, რა აცინებ-დათ. შემდეგ ერთ-ერთმა თქვა:

– რა საჭიროა ეს შენილბვა? შემოგ-ვხედე, ჩვენ ათნი ვართ აქ, ათივე მდოგ-ვის აირებით მოწამლულნი და ამის სუ-ლაც არ გვრცხვენია. შენ რატომ მოდი-

ხარ ჩვენთან რაღაც კანის დაავადების „კამუფლაჟით“ ისე, თითქოს არ ვიცო-დეთ მსგავსი ისტორიები?

სულ დავიბენი, მდოგვის აირები ამ სამყაროს ამოუცნობ იდუმალებად მეჩვე-ნა. ისევ გავუმეორე მათ ჩემი დიაგნოზი:

– ძმებო, როგორც გითხარით, ჩემი დაავადება კანის მარტივი ინფექციაა, „ფრანგული ქავილი“. მე რომ თქვენსა-ვით მდოგვის აირებით ვიყო დამწვარი, ამას პატივად ჩავთვლიდი და დამალვის ნაცვლად აუცილებლად ხმამაღლა გაც-ნობებდით.

ყველა ხარხარებდა და იმეორებდა: „ფრანგული ქავილი! ფრანგული ქავილი!“

ასე გამშორდნენ სიცილით და დამტოვეს გიუივით დაბნეული.

კვირა

პალატაში ჩემს თანამებრძოლებს შორის ერთ-ერთ ჯარისკაცს წრიპა შეარ-ქვეს, რადგან ტანით დაბალი და პატარა. სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებს, ენას არ აჩერებს. უცნაურია, მაგრამ თავისი ლაპარაკით მსმენელს არ ღლის ყველა იმ მოლაყბისგან განსხვავებით, ვისაც კი ვიცნობ. მისგან უხამსი სიტყვებიც კი მსუბუქად უღერს, ყურს არ ჭრის და სულს არ გიშფოთებს. ლანძღვა კი სასტი-კი იცის. ყველა მისი ხუმრობა ანეკდო-ტია. ყოველი მისი მოძრაობა კოხტა და აზრიანია. რაც არ უნდა ქნას ან თქვას, გარშემო ყველას კეთილგანწყობას იმსა-ხურებს, ხან უცინიან და ხანაც ტაშს უკ-რავენ. ის რომ არა, ეს საავადმყოფო ერთ დიდ სასაფლაოდ გადაიქცეოდა, საწოლე-ბი კი – საფლავებად. სწორედ წრიპამ შე-მარქვა „ფრანგული ქავილი“, არც უკით-ხავს ჩემი ნამდვილი სახელი, მაგრამ, რო-ცა ასე მომმართავდა, ვგრძნობდი, ამას სიყვარულით აკეთებდა, რასაც სხვებზე ვერ ვიტყოდი, ისინი უფრო დამცინოდნენ

და აბუჩად მიგდებდნენ, თუმცა მე არ ვყვებოდი მათ.

ორშაბათი

ცხოვრებაში ბევრნაირი ადამიანი მინახავს, მაგრამ წრიპასნაირი – არა. შეუხედავი იყო, მიჭყლეტილი ცხვირით, განიერი ყბებით, სქელი ტუჩებით, გაბერილი ლოყებითა და უფერული კანით, გრძელი და ეკლებივით უხეში თმა თავზე ზღაპრივით ჰქონდა აყრილი, თითქოს ღერები, სამკვდროდ გადაკიდებული, ერთმანეთს არც კი ეხებოდნენ. პატარა ყურები თმებში ძლივს უჩანდა, თვალებიც პატარა ჰქონდა, მაგრამ სქელ წამნამებში ჩაძირული უცნაურად მიმზიდველად გამოიყურებოდა. არ ვიცი, რა მოსწონთ თანამებრძოლებს მასში, უშნო გარეგნობა თუ მიმზიდველი თვალები, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ წრიპა ყველას უყვარს. თუ წრიპას არყოფნაში სხვები უსიტყვოდ თამაშობენ კარტს ან კამათელს აგორებენ, მისი მოსვლისთანავე სიტუაცია წამიერად იცვლება, თანამებრძოლები წამოიშლებიან, მეგობარს გარს ეხვევიან, იცინიან და მხიარულობენ. ყველა უკან დასდევს, ყველას მისი სახელი აკერია პირზე:

– წრიპა, რა კარგია, რომ მოხვედი, უშენოდ მოწყენილობისგან მოვკვდებოდით...

– წრიპა, მოგვიყევი ეს ამბავი, ან ის...

– წრიპა, ამ საკითხზე რა აზრის ხარ, ან იმ ამბავზე რას ფიქრობ...

მოკლედ, წრიპა თანამებრძოლთათვის ერთდროულად იყო ფილოსოფოსიც, პოეტიც და გამრთობიც. მომისმენია, როგორ გამოხატავს ყველაფერზე თავის აზრს, სულ ერთია, საკითხი სასაცილოა და უმნიშვნელო, თუ სატირალი და დამაფიქრებელი. უცნაურია, რომ, რაზეც

უნდა ესაუბრა, იქნებოდა ეს ფრანგული ქავილი თუ სიცოცხლე სიკვდილის შემდგომ, სხვები მაინც სიცილით კვდებოდნენ, თავად კი მხოლოდ იღიმოდა.

ჩემი თანამებრძოლნი ხშირად იკრიბებიან და ერთმანეთს უზიარებენ საბრძოლო გამოცდილებებს. ერთი შატო ტიერის ბრძოლის ამბავს ჰყვება, მეორე – სენ-მიელის, მესამე – სუასონის და ა.შ. წრიპასგან კი დღემდე ერთი სიტყვაც არ მსმენია მის საბრძოლო ისტორიებზე. არადა, საავადმყოფოს თანამშრომლისგან ვიცოდი, რომ „ომის ჯვრის“ ფრანგული მედალი ჰქონდა მიღებული და „ლირსეული მსახურის“ ამერიკულ ჯილდოზე იყო წარდგენილი. ერთხელ გავიგონე, როგორ ჰკითხა წრიპას ერთმა, ომზე რა აზრის ხარო, აქეთ მეორემ ცინიკურად ახსენა გერმანელი ჯარისკაცები და წრიპასგან ელოდა პასუხს, მაგრამ მან ორივეს წაუყრუა და საუბრის თემა შეცვალა.

სამშაბათი

გუშინ სალამოს ექიმმა მოგვინახულა, წასვლა რომ დააპირა, წრიპამ კარებამდე მიაცილა. ერთ წუთში უკან დაბრუნდა და ხმამაღლა იკითხა:

– ახალგაზრდებო, ცოტა ვისკი ხომ არ დაგველია ?

ყველას გაეცინა, ნათქვამი მეგობრის მორიგი ხუმრობა ეგონათ, რადგან ახლა ციდან დედამინაზე ანგელოზის ჩამოსვლას უფრო დაიჯერებდნენ, ვიდრე საავადმყოფოში ვისკის არსებობას, მაგრამ წრიპა ისევ თავისას იმეორებდა:

– არ გეხუმრებით, თქვენ თუ ამ ლამით ვისკი არ დაგალევინეთ, ვფიცავ, მის ბიძაშვილს მაინც მოგართმევთ. აბა, რას იტყვით?

წრიპას ყველა აჟყვა ხუმრობაში, მაგრამ მაინც არ სჯეროდათ, რომ ის სერიოზულად ამბობდა ამას.

– მოგვეცი ვისკის ბიძაშვილი, ყელი გაგვიშრა წყურვილისგან!

წრიპა წამიერად გაუჩინარდა და უკან დიდი ბოთლით დაბრუნდა. შუშაში თეთრი სითხე ესხა, ის კი ყველას უხ-მობდა:

– მოდით ჩემთან, მწყურვალნო და ყელგამომშრალნო, მე მოგიყლავთ წყურ-ვილს.

საწოლებიდან წამოიშალნენ და წრიპას გარს შემოეხვივნენ, ეჭვობდნენ, რომ მის მოტანილ ბოთლს ვისკისთან ცოტა რამ ჰქონდა საერთო, მაგრამ წრიპამ ეჭვები მალე გაუქარწყლა და სრული სერიოზულობით აუხსნა, რომ ბოთლში ესხა უმაღლესი ხარისხის სპირ-ტი, რომ მან ქიმიკოსივით შეისწავლა ეს ნივთიერება და აღმოაჩინა – ცოტა წყალთან გაზავებული ეს სითხე სულაც არ არის საზიანო, მეტიც, ვისკიზე უფ-რო ძლიერია. ბოთლი წამლების საწყო-ბიდან წამოედო, რომლის დაკეტვა საა-ვადმყოფოს თანამშრომელს დავიწყებია. მაშინვე ჭიქები მოარბენინეს, სასმელი ჩამოასხეს, ხმა დაიდაბლეს და ისე ჩურ-ჩულებდნენ, თითქოს ღვთიურ საიდუმ-ლოს ასრულებდნენ. მეც დამპატიუეს, მაგრამ უარი ვთქვი. იმის შიშით, რომ ვიღაც შეიძლებოდა მოულოდნელად წასდგომოდათ თავს, წრიპამ ერთ-ერთი კარებთან დააყენა ყარაულად. შემდეგ სასმისით ჭიქა ბოლომდე შეივსო, მაღლა ასწია და თანამებრძოლებს მიმართა:

– ძმებო, ჩვენ ყველაზე უცნაურმა დამთხვევებმა ერთად შეგვყარა ყველაზე უცნაურ პირობებში. დავმეგობრდით, მოვშინაურდით, ერთმანეთი შევიყვარეთ, საერთო ჭირმა გაგვაერთიანა, ჩვენ ყვე-ლანი მდოგვის აირების მსხვერპლნი ვართ.

მდოგვის აირების ხსენებაზე ყვე-ლას გაეცინა:

– მდოგვის აირები, მდოგვის აირე-

ბი, როგორი შხამიანი და მკვლელი აი-რებია!

წრიპამ საუბარი განაგრძო:

– მე აქ მოვედი თქვენთვის უცხო ადამიანი და ერთ-ერთი თქვენგანი გავ-ხდი. დაგინახეთ, რომ სასოწარკვეთას თქვენი გულები სულ შეეჭამა. ვეცადე, ეს სიმძიმე შემემსუბუქებინა და თქვენს გამ-რთობად ვიქეცი. გამომივიდა, რაც ჩავი-ფიქრე. ერთი თვე დავრჩი თქვენთან. მთელი ეს დრო სიცილსა და თამაშში გა-ვატარეთ ისე, რომ მდგოვის აირები სულ დავივინებული არასდროს არაფერზე მითქვამს, იმედი არცერთი თქვენგანისთვის არ გამიცრუე-ბია. პირიქით, მთელი ჩემი დრო დაგით-მეთ, გათენებიდან დაღამებამდე. ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, რომ რამე საზ-ლაურს ან ჯილდოს მოველი. თქვენი სიყ-ვარულია ჩემი ჯილდო, თქვენთან მეგობ-რობაა ჩემთვის საზღაური, მაგრამ ამ სიყვარულისა და მეგობრობის სანაც-ვლოდ მინდა, ერთი პატარა თხოვნა შე-მისრულოთ. შემისრულებთ?

ყველამ ერთხმად შესძახა:

– გვთხოვე, რაც გსურს, წრიპავ, გისმენთ და გემორჩილებით! შენს გან-კარგულებაში ვართ!

წრიპამ საუბარი განაგრძო:

– ჩემო ძმებო, ეჭვი არასდროს შემ-პარვია, რომ თქვენთვის ძვირფასი ადა-მიანი ვარ. მინდა გთხოვოთ, რომ ამ ღა-მით მარტო დამტოვოთ ჩემს თავთან, არ მკითხოთ არაფერი, არ დამელაპარაკოთ და არ მოუახლოვდეთ ჩემს საწოლს. მე მჭირდება განმარტოება, რომ დავისვენო და განვიტვირთო.

დავლიეთ, ვიხალისეთ, ვიცინეთ. მოდით ახლა, ძმებო, შევსვათ ჩვენი და-უგეგმავი შეხვედრის სადლეგრძელო. როგორც შეგვყარა ერთად ამ უცნაურმა დამთხვევებმა თუ შემთხვევებმა, ისევე

დაგვაშორებს. ვინ იცის, რას გვიმზა-
დებს ხვალინდელი დღე.

წრიპამ ჭიქა ბოლომდე შესვა,
სხვებმაც დალიეს. მერე აიღო ცარიელი
ბოთლი და ძირს დაანარცხა, ნამსხვრევე-
ბი მიმოიფანტა. წრიპამ მათი შეგროვება
დაიწყო, თითო გაიჭრა და სისხლი წამოუ-
ვიდა, შემდეგ ცოცხი მოიტანა და ნარჩე-
ნები ახვეტა. ბოლოს წამლების ოთახში
შევიდა, თითო გადაიხვია და პირდაპირ
ლოგინზე დაწვა. ყველაფერი ერთ წუთში
მოხდა. დაანარჩენი ცხრანი მეხდაცემუ-
ლივით გაქვავებულნი იდგნენ და გაკვირ-
ვებულნი უყურებდნენ თანამებრძოლს.

საუბრის დროს წრიპას ვაკვირდე-
ბოდი, მისი სახის ნაკვთებში ახალ აზ-
რებს ვკითხულობდი და ხმაში უცნაური
ინტონაცია მესმოდა. სიტყვა ჯერ დას-
რულებული არ ჰქონდა, როცა თავისი
ჩვეული მომხიბვლელი ლიმილი სახიდან
გაუქრა, თვალები ჩაუშავდა და თითქოს
აუწყლიანდა. როგორც ჩანს, სხვებმაც
შენიშნეს ის, რაც მე დავინახე. წრიპას
სიტყვები ხუმრობად არავის მიუღია.
ყველამ თავის საწოლს მიაშურა, ჩურჩუ-
ლით საუბრობდნენ და ფეხის წვერებზე
დადიოდნენ. გავიგონე, ჩემს მეზობლად
ერთმა მეორეს გადაუჩურჩულა:

— როგორ ფიქრობ, წრიპას რა დაე-
მართა? ამ ღამით ისე გვესაუბრა, თით-
ქოს დაგვემშვიდობა. ვითომ, გამოჯან-
მრთელდა და გაიგო, რომ ხვალ გაწე-
რენ? მაშ, მისალოცია! აბა, ჩვენ დაამ-
დვილებით ვიცით, რომ განკურნება არ
გველირსება.

სამშაბათი

ერთი კვირა გასულა მას შემდეგ,
რაც ბოლო სიტყვა ჩამინერია ჩემს დღი-
ურში. ამ დრომდე ხელში ძალა არ მეყო,
კალამი რომ ამეღო და წერა გამეგრძე-
ლებინა. მოხდა სწორედ ის, რასაც წრი-

პა გვეუბნებოდა, რომ უცნაურმა დამ-
თხვევებმა შეგვკრიბა ერთად უცნაურ
პირობებში და ეს უცნაური დამთხვევები
თუ შემთხვევები დაგვაშორებს ერთმა-
ნეთსო. ჩვენი კავშირი დაირღვა და
დღეს წრიპას გარეშე ვართ.

მას შემდეგ, რაც წინა სამშაბათს
ჩემი დღიური დავხურე, ძილს მივეცი
თავი და სული სიზმრების სამყაროში
გადაუშვი, უცებ ვიგრძენი, ვიღაცის ხე-
ლი მანჯალრევდა. გიუივით წამოვხტი,
ჩურჩულის ხმა გავიგონე:

— ნუ გეშინია, ღვთის გულისთვის,
ადექი და არაფერი თქვა.

წრიპას ხმა ვიცანი და, სანამ გაო-
ცებიდან გამოვერკვეოდი, მკითხა:

— ფანქარი გაქვს? სანთელი? ფურ-
ცელი? აიღე სანთელი და დაჯექი,
ფრთხილად, არავინ გააღვიძო!

ავანთე სანთელი და ლოგინზე წა-
მოვჯექი. წრიპა მაშინვე დავინახე, ჩემი
საწოლის გვერდით იდგა, თავიდან ფეხე-
ბამდე სამხედრო ფორმაში გამოწყობი-
ლი. თითო ბინტით გადაეხვია, ჩაფეუტი-
დან შავი თმები გამოშვეროდა და თვა-
ლებიდან ნაპერწელებს ყრიდა. გააზრე-
ბის დროც არ დამიტოვა და, სანამ
ვკითხავდი, თუ რა ხდებოდა, აქეთ მიპ-
რძანა:

— ადექი და გამომყევი! არაფერი
მკითხო, სანთელი წამოიღე, კალამი და
ფურცელი არ დაგავიწყდეს და ისე იარე,
შენი ფეხის ხმაც არ ისმოდეს!

წინააღმდეგობა არ გამინევია, იმ
წამს ვიგრძენი, რომ ჩემს თავს არ ვე-
კუთვნოდი, წრიპას ხელში პატარა ბავ-
შვად ვიქეცი, რომელსაც იქ წაიყვანდა,
სადაც მოისურვებდა და იმას გააკეთე-
ბინებდა, რასაც ჩაიფიქრებდა. ამიტომ
უკან გავყევი, წამლების საცავში შემიყ-
ვანა და კარი დაკეტა. მიპრძანა, სანთე-
ლი მაგიდაზე დამედო, ხის ყუთზე ჩა-
მომსვა, გვერდით დამიდგა და მითხრა:

– ნურაფერს მკითხავ და ყველა-ფერს გაიგებ. ნუ გაგიკვირდება, თუ სა-ხელით მოგმართავ, მე შენ გიცნობ და შენი სახელიც ვიცი. შენში ის ღირსება დავინახე, რაც სხვებს არ აქვთ – დუმი-ლი და ეს შენი დუმილი ღრმად მოაზ-როვნისაა და არა სულელი ადამიანის. შენ ფიქრებს არ ხლართავ სიტყვებში, იცი დუმილის ნეტარება. ამიტომაც გა-მოგარჩიე სხვებში, რადგან შენ გესმის და მათ – არა. ახლა აიღე კალამი და დაწერე, მე ხელი არ მემორჩილება:

„ჩემო პატივცემულო ბატონო ვუდ-როუ ვილსონ“ ...

დავწერე და გავჩერდი, ვემზადებო-დი შემდეგი ფრაზის დასაწერად, მაგრამ უცებ წრიპამ თვალისდახამხამებაში კა-ლამი ხელიდან წამართვა, გადახაზა, რაც მაღლა დავწერე, შემდეგ დამიბრუ-ნა და მითხრა:

– არა, ასე დაწერე:

„პატივცემულ გენერალ ჯონ პერ-შინგს, ამერიკული ჯარის მთავარსარ-დალს“ ...

– დაწერე? აჯობებს, წაშალო... წა-შალე? აი, ასე დაიწყე

„ჩემო ძვირფასო ქალბატონო,
სახელით არ მოგმართავ, რადგან
ქალთა ყველა სახელს შორის ვერ ვნახე
შენთვის შესაფერი. ადამიანები სახელს
იყენებენ, როგორც დამღას პირუტ-
ყვთათვის, რათა ერთი მეორისგან გა-
ნასხვაონ და ის პიროვნულ თვისებებს
სულაც არ გამოხატავს. ვერცერთი სახე-
ლი ვერ აღწერს შენს პიროვნებას. ყველა
სახელზე აღმატებული ხარ და ყველა
აღწერაზე დიდებული.

შენ არ მიცნობ, მაგრამ მე გიცნობ, თუმცა არ ვიცი, ვინ ხარ, ან სად და რო-დის დაიბადე. დარჩმუნებული ვარ, ამ წუ-თას სადღაც სუნთქავ, რომელიღაც ქვე-ყანაში. ხალხისთვის შეუხედავი ხარ, მაგ-

რამ ჩემთვის – ლამაზი. მე მიყვარს შენი მიჭყლეტილი ცხვირი, წაგრძელებული ნიკაპი, გაბერილი ლოყები, თმით დაფა-რული შუბლი, მხრებსა და თავს შორის ჩაკარგული კისერი, ამოზნექილი მხრები და ჩავარდნილი მკერდი, ნელი, რომელიც თეძოებს ფარავს, ხშირი წარპები და პა-ტარა თვალები, შენი სულის სარკე.

შენ შენი სხეული სუფთად შეინახე, მე კი სამყაროს ყველანაირი სიბინძუ-რით გავჭუჭყიანდი, რადგან ავთვისები-ანი სენი ხორცს მიჭამს, ძვალს მიღ-რღნის და სისხლს მიწოვს.“

აქ ხელები ამიკანკალდა და მთელ სხეულში ურუანტელმა დამიარა, წერის გაგრძელება ველარ შევძელი და წრიპას შევხედე. როცა სახეზე გაოცება შემატყო და ჩემს თვალებში ინტერესი ამოიკითხა, ისე უცებ მითხრა სათქმელი, თითქოს მი-სი სიტყვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტუჩებიდან გარეთ გამოსვლაში:

– რატომ გაჩერდი? ავთვისებიანი სენის ხსენებამ გაგაკვირვა? არ იცი, რომ ამით ვარ დაავადებული?

– ბერჯერ მომისმენია, რომ შენ მდოგვის აირების დამწვრობას უჩიოდი, – ვუპასუხე მე.

თავი დამიქნია, მწარე ღიმილი და ღრმა მწუხარება გამოეხატა სახეზე და მითხრა:

– ეგ სიტყვები აქ ხომ კომუფლაჟია უბრალოდ, არ მეგონა, ასეთი გულუბ-რყვილო თუ იყავი. ახლა კი, ღვთის გუ-ლისთვის, აღარ შემაწყვეტინო და წერა განაგრძე:

... და მე ცოცხალი გვამი ვარ სხვა მოძრავ გვამებს შორის, ჩემი ხელები უდანაშაულო სისხლით არის მოსვრილი, რადგან მე ჯარისკაცი ვარ და ჯარისკა-ცის საქმე მკვლელობაა. რამდენ ცოლს წავართვი ქმარი, შეყვარებულს – სატ-

რფო, დედას – შვილი, რამდენი ბავშვი დავაობლე, რამდენ ადამიანს გავუქრე იმედი, გამოვთხარე თვალი, დავუნგრიუ სახლი... ხალხმა ამის გამო მამაცი მიწოდა და ღირსების ორდენით დამაჯილდოვა, შენთვის კი მე დამნაშავე ვარ. ვაღიარებ ჩემს დანაშაულს და არ ვითხოვ შენდობას. ჩემგან შეწყალების თხოვნა შენი შეურაცხყფაა. ცეცხლზე ნავთს ხომ არ დავასხამ? რომ არ გიცნობდე, ამას კი გავაკეთებდი, მაგრამ მე შენ გიცნობ და ვიცი, შენ რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავი, იმავეს გააკეთებდი, რისი გაკეთებაც მე გადავწყიტე. რას მოიმოქმედებს უვიცი, რომელმაც თავისი სიცოცხლე გარისკა და წაგო? რა შეუძლია მოძრავ გვამს? თუ მკითხავ, როგორ და რატომ გავრისკე ჩემი სიცოცხლე, აი, ეს ამბავი მოისმინე:

მე არ ვიცნობ არც დედას, არც მამას. როგორც ამბობენ, ნაპოვნი ბავშვი ვარ, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მიპოვეს თუ დავობლდი, ერთი ის ვიცი, რომ გავიზარდე უდედმამოდ და ასე მოვედი ამ სამყაროში. არ ვიცი, ვინ ჩამიდგა ეს გული ნეკნებს შორის, რომლის მსგავსი კაცობრიობის მოდგმაში ჯერ არ აძერებულა, თითქოს მისი სისხლი აალებული ასანთი ყოფილიყოს და არტერიები – ელექტროსადენები, რომლითაც ის დაკავშირებულია ყველაფერთან, რაც დაცურავს, დაცოცავს, დადის და დაფრინავს მინაზე თუ მიწის ზემოთ.

ოცდაექვსი გაზაფხული ხალხში ამ გულს დავატარებდი და ვერავინ ვიპოვე, ვინც მისი ცეცხლით აალდებოდა. ვერავინ ვიპოვე, ვინც მიხვდებოდა, როგორი მწველი იყო ის. ვისაც ვაჩვენე და მისი სიმხურვალე ვაგრძნობინე, ყველა გაიჭა და, როცა ხალხის ნეს-ჩვეულებების, რიტუალების, ქცევების და საიდუმლოებების ფერფლი მივაყარე, ეგონათ, რომ გავქვავდი და ვერაფერს ხედავდნენ ჩემი, გარდა მიბრტყელებული ცხვირისა,

მოკლე ფეხებისა და თავზე ხიშტებივით ამოსული თმისა.

ოცდაექვსი გაზაფხული გავატარე ხალხში და ჩემს გულში სიყვარული ავაგიზგიზე, მაგრამ ვერავინ ვიპოვე, ვინც მასთან თავისი გულის მოახლოებას გაბედავდა და ერთად დაიწვებოდნენ სიყვარულის საკურთხეველთან. არც გული დამწვარა, რომ დაესვენა და სიყვარულის ზეთიც არ გამოილია კანდელში, ცეცხლი რომ ჩამქრალიყო. დაიწყო ომი და მე ვთქვი, მოდი, ამ ძვირფასი შემთხვევით ვისარგებლებ და სიყვარულის ცეცხლს ჩემს გულში სიძულვილის ცეცხლში დაიფერფლება, სხვა გულებსაც თან გაიყოლებს და, რადგან მას სიყვარული არ უწერია, დაე, სიძულვილის ცეცხლში დაიწვას.

ასე ჩავენერე მოხალისედ ჯარში, შემდეგ ჩემს თავს ვკითხე: „აი, დღეს მეც მოძულე და ბოროტი ვარ სხვებივით, მაგრამ ვისზე გავბრაზდე? ვისზე ვიძიო შური?“

ამ დროს გავიგონე, ჩემი თანამებრძოლნი როგორ აკრიტიკებდნენ ავტოკრატიას, დესპოტიზმს, ტირანიას, ბარბაროსობას და აბსოლუტურ ძალაუფლებას. მე ვთქვი: აი, ისინი არიან ჩემი მტრები და მათ წავუკიდებ ჩემი შურისძიების ცეცხლს. გავემართე ბრძოლის ველზე ჩემი იარაღით და მტრების კვალს ვეღარ მივაგენი.

მერე აღმოვაჩინე, რომ უვიცი უვიცს ერჩის და ადამიანები ადამიანებს უმიზეზოდ კლავენ. მივხვდი, რომ ხალხს ერთმანეთი სძულს, მაგრამ მათ მხოლოდ ბოროტის სიძულვილი ან კეთილის სიყვარული შეუძლიათ. სიძულვილის ცეცხლი ისეთივეა, როგორც სიყვარულისა. ბოროტების ნაპერწკალი თითქმის აალების გარეშე ქრება.

იმ დროს ჩემი შურისძიების ცეცხლს ფერფლი მივაყარე. დავიწყე იმის ქება, რასაც ხალხი აქებდა და იმის ლანძღვა, რასაც ხალხი ლანძღვდა. ღიმილის სუდარა, რომელშიც ჩემი გული გავახვიე, სახეზე გადავითარე. ხალხმა ჩემი ღიმილი და-ინახა და შეიყვარა. დაფარული გული კი ვერ შენიშნა და არაფრად ჩათვალა. ჩემი უბედურება ხუმრობაში ჩავთალი. ხალხს ხუმრობა მოეწონა და უბედურება ვერ იგრძნო. ვთქვი, მოდი, ხალხთან ერთად ვიყლი ბოლომდე, მეც იმით ვისიამოვნებ, როთაც ისინი ტკბებიან, შევედი მათი ტკბების გამოქვაბულში და გამოვედი იქიდან ის, რაც დღეს ვარ, მოსიარულე გვამი. არ ვიდარდებდი გულზე, რომელშიც სიყვარულის ცეცხლი ჩავაქრე და სხეულზე, რომელიც გარყვნილების ჭიამ გამოხრა, რომ არა შენი ხილვა სიზმარში.

ახლა მივხვდი, რომ გული, რომელ-საც ვეძებდი და სული, რომლისკენაც მივიღოტვოდი, რეალობაა და არა ნარმო-სახვა. დიახ, ეს გული და სული შენ გე-კუთვნის. სადაც უნდა იყო, შენ რეალობა ხარ და არა ილუზია.

რატომ მანამდე არ გაგიცანი, სანამ ჩემს გულში სიყვარულის ცეცხლს ჩა-ვაქრობდი? სანამ სიწმინდე და სისპეტა-კე ჩემს სხეულსა და სულს გაშორდებოდა? რატომ არ შეგხვდი იმ დღეს, როცა მკერდით ანთებულ გულს ვატარებდი, სულით სიკეთეს ვასხივებდი და სხეული თოვლზე უფრო სპეტაკი მქონდა?

ახლა გიცნობ და უფრო ძლიერად ვიწვი. მაშინ გაგიცანი, როცა ალარაფე-რი დამრჩენია შენთვის შემოსათავაზე-ბელი. შენ არ მიმიღებ ისეთს, როგორიც ვარ. არც მე დავუშვებ, შენი სიწმინდე ჩემი სიბინძურით შევლახო და შენი სიყ-ვარულის ცეცხლი ჩემი სიყვარულის ფერფლით ჩავაქრო.

მოგწყინდა ჩემი ბოდვა? შენ გარდა ვინ გაიგებს ჩემი სულის ძახილს? შენ

ხედავ იმას, რაც გარედან არ ჩანს, ხალ-ხი კი მხოლოდ მოვლენებს ამჩნევს. მარტო შენ გესმის ჩემი ტკივილი. ხალხი ჩემს ღიმილს უყურებს, ხუმრობას უს-მენს და ფიქრობს: რა ბედნიერია, არა-ფერი ადარდებს!

მართალია, მე სიცოცხლე დავკარ-გე, მაგრამ დღეს ის კვლავ ვიპოვე შენს ხელში და, მისი ღირსი რომ გავხდე, ჯერ სულსა და სხეულს გავწმენდ ყოველგვა-რი ჭუჭყისგან, შემდეგ დავუბრუნდები სიყვარულის კერას, გულიდან ფერფლს ჩამოვფერთხავ, მის ნაცვლად კერიდან მუგუზალს დავდებ და ისევ ავაგიზგი-ზებ. დაე, ამ დროს ჩვენი გულები ვაქცი-ოთ ლამპრად, რომელიც ჩაუქრობლად გაანათებს. შეხვედრამდე..."

ნრიპა

* * *

უკანასკნელი სიტყვა დავწერე და ურუანტელმა დამიარა, ფიქრები დამემ-სხვრა, თითქოს ჩემი ტკინი გადაიქცა ფქვილად, რომელიც იდუმალმა ხელმა გაფანტა ჰაერში და თეთრი ბოლი დაა-ყენა. ნრიპას შევხედე და თვალებს ძლივს ვუჯერებდი, მის ადგილას უცნა-ური ლანდი დავინახე, თითქოს მოჩვენე-ბა ყოფილიყოს სხვა სამყაროდან. ფერ-ფლისფერი სახე და შუშის თვალები მო-უჩანდა, მათში ყველანაირი ცეცხლი და ნათელი ჩამქრალიყო. ტუჩები აამოძრავა და მომეჩვენა, თავად სიკვდილი იდგა ჩემ გვერდით და მელაპარაკებოდა:

- წამიკითხე, რაც დაწერე! - მით-ხრა მან.

კბილების კრაჭუნისა და ძვლების ტკაცუნის ხმასავით ჩამესმა მისი სიტყვები ყურში. დავიწყე ნერილის თავიდან კითხვა, ჯერ დასრულებული არ მქონდა, როცა გავიგონე, როგორ ელაპარაკებოდა საკუთარ თავს, ისევ აჩრდილივით იდგა და იმეორებდა: „ბოდვა... ბოდვა...

საინტერესოა, გაიგებს ჩემს ბოდვას? რა თქმა უნდა, გაიგებს. მის გულში ისეთი ცეცხლია, როგორიც ჩემსაში იყო. ის ერთადერთი ქალია ევას მოდგმაში, რომელიც მკერდში ცეცხლს ატარებს“...

ხელი მხარზე დამადო, ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე მითხრა:

— დაკეცე ეს წერილი, ჩადე კონვერტში და შეინახე ჯიბეში მანამ, სანამ მისი გახსნის დრო მოვა. ღვთის გულის-თვის, გთხოვ, თვალის ჩინივით გაუფრთხილდი. თუ ომიდან მშვიდობით დაბრუნდი — და ეს ასეც მოხდება — შენი ხელით გადასცემ მას ამ წერილს, გაიგე? შენი და არა სხვისი ხელით, რადგან შენ გარდა არ არსებობს ჩვენ შორის სხვა შუამავალი. ახლა კი ლოგინს დაუბრუნდი, ისედაც ძილი წაგართვი.

ეს თქვა და ხელი ხელზე მომკიდა. ვიგრძენი, თითქოს სიკვდილს შევეხე. შემდეგ საუბარი განაგრძო:

— მადლობას გიხდი, ჩემო ძმაო. ღმერთს ვთხოვ, რომ შეგრჩეს სუფთა გონება, გული და სხეული. ნუ მკითხავ, საით მივდივარ. მე განსაწმენდელისკენ მივიღებით! მშვიდობით!

შეტრიალდა, კარები გააღო და გავიდა. ერთ წუთში უკან დაბრუნდა და მითხრა:

— თუ საავადმყოფოს წარმომადგენელმა ან ექიმმა გკითხა სპირტიანი ბოთლის შესახებ, უთხარი, რომ წრიპამ თითო გაიჭრა, სპირტიანი ბოთლი იპოვა, ჭრილობის დამუშავება უნდოდა, ბოთლი ხელიდან გაუვარდა და დაიმსხვრა-თქო.

ეს თქვა და კარებიდან გავიდა, თითქოს ჩემი გულიც თან გაიყოლა.

ცოტა ხანი გაოცებული ვიჯექი და ვცდილობდი, ჩემი გაბნეული ფიქრების-თვის თავი ერთად მომეყარა, მაგრამ ვერ

შევძელი. სანთელს გავხედე, მისი მქრქალი ნათელიდან ბოლო წვეთი იღვენთებოდა. მსუბუქად შევუბერე სული და მთვრალივით გავიკვლიე გზა ჩემი საწოლისკენ. თანამებრძოლთა ხვრინვა პალატის სივრცეში უწყვეტად და თანაბრად მატულობდა. მომეჩვენა, რომ ეს ხმა იყო ხავილი ადამიანებისა, რომელთაც სიკვდილი ახრჩიობთ, საწოლები საფლავებს ჰგავდა და ისინი ვერც ხვდებოდნენ, რომ უკვე დაიხოცნენ, სამყარო კი მათ „პატრიოტიზმის, სამართლიანობისა და თავისუფლების დამცველებს“ უწოდებს.

ღონემიხდილი საწოლზე დავეშვი, თვალებს სიბნელეში ვაცეცებდი და ვერაფერს ვხედავდი, ფიქრებში დავცურავდი და საყრდენს ვერ ვპოულობდი.

ამ დროს გარედან უცებ გუშაგის ხმა მოისმა:

— შეჩერდი! ვინ დადის აქ?

ეს ხმა მცირე ხნით სიჩუმემ ჩაანაცვლა და მერე ისევ განმეორდა:

— შეჩერდი! თუ არ შეჩერდები, გესვრი!

სროლის ხმა გაისმა, შევხტი და გული შემეცუმშა, ჩემი მეზობელი საწოლზე შეიშმუშნა, რამდენიმე სიტყვა წამოროშა, მაგრამ ვერ გავიგონე, რა თქვა. შემდეგ ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდა და ხვრინვა განაგრძო. ღამის სიჩუმე გახდა საზარელი, შემაძრნუნებელი და დიდებული.

რამდენჯერაც წრიპას საწოლს გავხედავ, ცარიელსა და მიტოვებულს, იმდენჯერ ტირილი მომეძალება და ცრემლად ვიღვრები. მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ წრიპა დღეს თავის განსაწმენდელშია, დაე, შეერგოს!

1919 წელი

არაბულიდან თარგმნეს
ნინო სურმავამ და ელენე სიხარულიძემ

იმან ჰუმაიდანი (დაიბ. 1956 წ.)

იმან ჰუმაიდანი ახალი სახელია თანამედროვე არაბული ლიტერატურის ქართულად თარგმნილ ავტორთა შორის. ის გახლავთ თანამედროვე ლიბანელი მწერალი ქალი, 1956 წელს დაიბადა და გაიზარდა მთიან ლიბანში. აკადემიური განათლება ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტში მიიღო, სპეციალობით ანთროპოლოგია. საკუთარი შესაძლებლობები ან-თროპოლოგიასა და უურნალისტიკაში მოსინჯა, თუმცა პოპულარობა სულ სხვა სფეროში, ლიტერატურაში, ჰისტორიაში, და გამოქვეყნებული, რომელსაც თარგმნიან და იკვლევენ მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

მწერლის მესამე რომანის – „სხვა ცხოვრებანი“ მთავარი თემა ლიბანის თხუთმეტწლიანი სამოქალაქო ომია, რომლის უაზრო სისასტიკის თვითმხილველი და მოწმეც მწერალი თავად გახლავთ. იმან ჰუმაიდანი ამჟამად პარიზში ცხოვრობს, სადაც სწორედ ამ ომის საშინელებას გარიდებულმა ჰპოვა თავშესაფარი.

იმან ჰუმაიდანის გმირები მთელი ცხოვრების მანძილზე ორ მდგომარეობას შორის არიან გამომწყვდეულნი – ომსა და მშვიდობას, წარსულსა და აწმყოს შორის გამოკიდებულნი. ეს მათი ცხოვრების ტრაგიკული რეალობაა, ამიტომაც ისინი შინაგან, ალტერნატიულ სივრცეს იქმნიან, რომელიც არამატერიალიზებულია, სადაც ცდილობენ, იპოვონ და დაიმკვიდრონ თავიანთი ახალი ადგილი, სწორედ ასე იბრძვიან ისინი სიცოცხლის უფლებისათვის.

სხვა ცხოვრებანი (ნაწყვეტი რომანიდან)

ნური სალამოს ხუთ საათამდე უნდა დამეტოვებინა. შემდეგ უკვე ინთისარი მელოდა კაფე „რავდაში“. სხეული ნაზად გამოვითავისუფლე კაცის მკლავებიდან. იმ წამს ისე გამოვიყურებოდი, თითქოს მოპარულ სიყვარულს ვუპრუნებდი მის მფლობელებს.

ინთისარის შესახვედრად გავედი და გადავწყვიტე, ფეხით მევლო და დიდი წვალებით გამეკვლია გზა ტროტუარებზე ჯარად გაჩერებულ მანქანებში რა'ს ალ-ნაბა'სა¹ და არ-რავშეს² შორის. კაფე „რავდას“ რომ მივაღწიე, ინთისარი მალექთან ერთად უკვე იქ მელოდა. თხუთმეტი წელია, ისინი არ მენახა. რო-

გორ შეცვლილიყო ინთისარი! სახე კი-დევ უფრო დამრგვალებოდა, მაგრამ თან ყვითელი ფერი შეჰპარვოდა და ჩა-მოსჭვნობოდა. სხეული უფრო დამძიმებოდა და მოძრაობაც შენელებოდა. თუმცა თვალებში მოციმციმე სხივი და ნერვიული სიცილი კვლავ რეგისტრირებული სავაჭრო მარკასავით გამოარჩევდა მათ პატრონს. გადამეხვია და „მემო, ჩემო სიცოცხლეო“ – შესძახა. ასე მეძახდა უნივერსიტეტში სწავლის წლებში. „ღმერთო, როგორ მომენატრე!“ – შეძახილებს განაგრძობდა, მკოცნიდა და მისი ხმა ასაფეთქებელი საშუალებების ხმაურივით გაისმოდა. უეცრად ვიგრძე-

¹ რა'ს ალ-ნაბა' – ბეირუთის უბანი.

² არ-რავშე – რესტორნებითა და კაფეებით ცნობილი დასავლეთ ბეირუთის სანაპირო უბანი, სახელგანთქმული ორი უზარმაზარი კლდოვანი წარმონაქმნით ხმელთაშუა ზღვაში, ზედ კორნიშთან ახლოს. ეს ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა ბეირუთის სავიზიტო ბარათადაა ქცეული ადგილობრივებისა და ქალაქის მნახველთათვის.

ნი, როგორ შემომერტყა ხალხი და ჩემ გარშემო დიდი წრე შეიკრა. ინთისარს სიურპრიზის მოწყობა უნდოდა ჩემთვის და ყველა ძველი მეგობარი დაეპატიუებინა. იყო სიცილი, შეკითხვები, ხვევნა-კოცნა და ცრემლები... ამას მოჰყვა მეხ-სიერებაში ჯერ კიდევ მყარად ჩაბეჭდილი მოკლე-მოკლე ისტორიების მოყოლა. ბეირუთიდან ჩემი გამგზავრების პირველ ხანებში მიწერ-მოწერა მქონდა ზოგ მათგანთან, ვისაც ახლა კაფე „რავდაში“ ვხედავდი, შემდეგ, რაც ავსტრალიიდან კენიაში გავემგზავრე, ჩვენ შორის კონტაქტები შეწყდა. ბევრი ისეთი მეგობარიც შემოგვიერთდა, უკვე დიდი ხანი რომ არ მენახა. არ ველოდი, ინთისარი ჩემი დაბრუნების აღსანიშნავად ამდენ ადამიანს თუ შეკრებდა. მათთან თავი დაკარგულად ვიგრძენი, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ყველაზე მეტად რასაც იხსენებდნენ, სასიყვარულო წერილები იყო, სოციოლოგიის პროფესორს რომ ვუგზავნიდით უნივერსიტეტში. „ო, ღმერთო!.. ნეტავ იმ დროს!.. რა ბედნიერები ვიყავით, მიუხედავად ომისა...“ – შემომაგება რიმამ და ერთმანეთს სიცილით გადავეხვით. „რა ეშმაკები ვიყავით!“ – მივუგე. „შენ ახლაც ასეთი ხარ?!“ – ხუმრობით მკითხა.

გულებსა და კოცნას წითლად ვახატავდით, სანამ საუნივერსიტეტო ფოსტის ყუთში ჩავაგდებდით წერილს, რომლის კონვერტზეც სოციოლოგიის პროფესორის გვარ-სახელი და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში მისი სამუშაო კაბინეტის ნომერი ეწერა.

კაფე „რავდაში“ მეგობრების უმრავლესობა ვნახე – იმ მეგობრებისა, რომლებიც შეცვლილიყვნენ. ჩვენ შორის ჩავლილ დუმილის წუთებს მხოლოდ წარსულის ისტორიები ფანტავდა – იმ დროის ამბები, როცა ერთად ვიყავით.

ყურადღების კარგად მოკრება მჭირდებოდა, როცა ისინი პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით კი, ამ ქვეყნის პოლიტიკაზე. კონცენტრირებული ვიყავი მათ საუბრებზე, მათ დისკუსიაზე, რათა დამეჭირა იმ კონტექსტის ძაფი, რითაც ისინი ამ ყველაფერს მანვდიდნენ, თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც არაფერი მესმოდა. ინთისარმა თქვა: „ამ ქვეყანაში სხვადასხვა ჯურის ადამიანებს ნახავ. არიან ისეთნი, რომლებიც ომზე ისე ყვებიან, თითქოს ის სხვა ქვეყანაში მიმდინარეობდა, თითქოს ყველაფერი დავიწყებული აქვთ. წარსული წლები მათთვის წიგნებში ამოსაკითხ ამბად ქცეულა. ისეთებიც არიან, ვისაც დაავიწყდა, როგორ იდგა ხალხი აივნებზე და ტაშს უკრავდა ახალგაზრდა მილიციელებს, რომლებიც უიარაღო კაცს მიათრევდნენ, რომელიც, მოხდა ისე, რომ სხვა კონფესიურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა. ის შლაგბაუმიდან ან საკონტროლო პუნქტიდან ჰყავდათ მოტაცებული. ბუნებრივია, ამბობენ, ომი დამთავრდაო, მაგრამ ალბათ არაფერიც არ დასრულებულა. ყველასთვის იძებნება ადგილი – ვისაც დავიწყება სურს და ვისაც უნდა, რომ ახსოვდეს. მთავარია, საკუთარ თავთან გქონდეს გარკვეული, თავად შენ სად გინდა დგომა“, – მითხრა ინთისარმა და თან ფართო თვალებით სახეში შემომაცქერდა. მომეჩვენა, რომ ის თითს მიქნევდა და მადანაშაულებდა ჯერ თავადაც რომ არ ვიცოდი, რაღაც ისეთი დანაშაულის ჩადენაში. სავარაუდოდ, ეს მეხსიერებითი დანაშაული იყო, კერძოდ, მათი მეხსიერებისა, ვინც ომის დროს ქვეყანა დატოვა. თითქოს ემიგრაციაში წასულებს გახსენების უფლება არ ჰქონდათ – ომისა და ძალადობის გახსენების უფლება. ომი არ დასრულებულა, – ვთქვი ჩემთვის, ინთისარი კი განაგრძობდა საუბარს, რომელიც წინასწარ

მომზადებულ გამოსვლას ჰგავდა. ომის ამბები არსადაც არ წასულან, ისინი უკან, იმავე ადგილას ბრუნდებიან, საიდანაც დაიწყო და იფეთქა, დროდადრო უფრო ძალადობრივი და სასტიკი ფორმების მისაღებად.

ისტორია საკუთარ თავს იმეორებს. ნუთუ ამის მიზეზი ამ ადგილის ბუნება?.. აქაური ტერასული მიწა?.. აქ განვითარებული ისტორია ამ მიწის მსგავსია – დანანილებული, დაქუცმაცებული, კი არ სრულდება და მრთელდება, არამედ წრიული განმეორებადი ხაზებივით საკუთარ თავს უბრუნდება და იმეორებს. ან იქნებ ამის მიზეზი ჩვენი მომავდავი ქალაქებია, დამმარცველი რომ არ ჰყავთ?.. მაშ რატომ მაინცდამაინც აქ, მსოფლიოს ამ მიწის ნაგლეჯზე ხდება ძალადობის თვითწარმოქმნა, ხელახლა შობა ასობით ჯერზე?..

აქ, მეგობრებს შორის, შუაგულ კამათში, ყვირილში, დუმილში ვფიქრობ, რომ წაგებაზე ვთამაშობ და ეს არის ყველაფერი, რაც მე ბეირუთში გამაჩნია!

რიმა, რომელიც ქალაქის ცენტრში რესტორნის გახსნისთვის ემზადება, ინთისარის სიტყვებს ეპასუხება და ამბობს, რომ ომი დამთავრდა. მის ნათესამს ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან სიტყვებს სანდობას მხოლოდ მათი მთქმელი ანიჭებს, ამის გარეშე არავითარი ძალა მათ არა აქვთ და ისე ხმიანებენ, როგორც ქარის ექო ტყეში. რიმას ნათესავი ქალი ხალიჯიდან¹ დაბრუნებულა, ძველი შენობა უქირავებია, გაურემონტებია რესტორნების ქსელის გასახსნელად და ქსელის ერთ-ერთი რესტორნის მენეჯერობა რიმასთვის მიუნდვია. „მშვენიერი ამბავია!“ – ეუბნება ინთისარი.

აქ ყველაფერი ისე მიდის, თითქოს ცხოვრება ნორმალურ კალაპოტშია, მა-

შინ, როცა საკონტროლო პუნქტების ბარიერები ადგილ-ადგილ ისევ აღმართულია. ბეირუთში ხალხი იმას აკეთებს, რაც მოეპრიანება და ესიამოვნება, მაგრამ თავიანთი საქციელის მოსანელებლად ნოსტალგიას გეახლებიან დანა-ჩანგლით და რაც მორჩებათ, იმას შემდეგ მედიით ავრცელებენ. ძველი ბეირუთი ქვა-ლორლის გროვად იქცა, ზემოდან ცათამბჯენები რომ წამოსდგომიან, ან რესტორნებად, გასართობ ადგილებად და რელიგიურ ცენტრებად. ვაფა ჩემკენ ისეა გადმოხრილი, თითქოს საიდუმლო უნდა გამანდოსო. ამბობს, რომ ჩემი არ იყოს, ვერ გაუგია, რა ხდება. „მტანჯავს გამუდმებული მცდელობა, გავიგო რა ხდება“, – მეუბნება. „საკონტროლო პუნქტები და ბარიერები ისევ თავის ადგილზეა, არაფერიც არაა სწორი... არაფერი არაა რიგზე... მაგრამ ამბობენ, ომი დამთავრდაო... ვერაფერი გამიგია! სწორედ ამიტომაა, რომ იოგა დავიწყე“, – მწარე სარკაზმით მეუბნება ვაფა. როცა სურვილი გამოვთქვი, რომ ვაფას იოგას გაკვეთილზე წავყოლოდი, შევთანხმდით, მომდევნო კვირას ერთად წავსულიყავით.

„ნურაფრის გაგებას ნუ შეეცდები, იოგას გაკვეთილებზე კონცენტრირდი, საყვარელო!.. ასე სჯობს შენთვის!“ – ფარული აგრესით აწყვეტინებს საუბარს ინთისარი, რომელმაც, სამწუხაროდ, ყური მოჰკრა მის სიტყვებს; შემდეგ მე მომიტრიალდება: „შენც, მირიამ?.. გვაკმარე!.. თუმცა, მირიამი ხომ წასული იყო ქვეყნიდან!.. შენ კი, შენ რა გამართლება გაქვს, ვერაფერი რომ ვერ გაგიგია და ერთმანეთთან ვერაფერი დაგიკავშირებია?!.. ჯერ ისევ საკონტროლო პუნქტები და ბარიერებიაო!.. ეს რას ნიშნავს?!.. გინდა თქვა, რომ თუმცა ომი დამთავრდა, სიტუაცია არ დაწყნარებუ-

¹ ხალიჯი – სპარსეთის ყურე, არაბები მას არაბთა ყურეს უწოდებენ.

ლა?.. კეთილი!.. შეეგუე იმ ყველაფერს, რაც აქ ხდება – ომი დამთავრდა, ტუ-რისტები ბრუნდებიან და საკონტროლო პუნქტებზე ისევ ქვიშის ტომრებია აღ-მართული!..“

ინთისარი ხმას უმაღლებს, შემდეგ კვლავ წყნარდება და განაგრძობს: „იქ-ნებ უკეთესიცაა, შევხედოთ ყოველ მოვ-ლენას წინასგან დამოუკიდებლად, თით-ქოს ერთს მეორესთან არაფერი ესაქმე-ბოდეს!.. ასე უფრო ავიტანთ იმას, რაც ხდება – უფრო იოლად, ნაკლებმტკივნე-ულად!..“

„მორჩა!.. ჩემი ცოლის კინო დამ-თავრებულია!..“ – ცოლის სიტყვით გა-მოსვლას თეატრალური ტონით დამთავ-რებულად აცხადებს მალექი. „ფილმი კი დამთავრდა, მაგრამ მე მოყოლა ჯერ არ დამიმთავრებია!“ – მე მომმართავს და ისე ჰასუხობს ქმარს ინთისარი. მიუხე-დავად მათი განსხვავებულობისა, ლაპა-რაკისას ინთისარი სითაჯითს მაგონებს, ჩემს ფსიქოთერაპევტს მომბასაში. ისინი ერთმანეთს ალბათ იმით ჰეგვანან, რომ საკუთარი ნათქვამის აბსოლუტურ ჭემ-მარიტებაში დარწმუნებული არიან – ჭემმარიტებაში, რომელიც მე არასოდეს მეჩვენებოდა არც მყარი და არც ცხადი.

„ომი დამთავრდა, ქვიშის ტომრების ბარიერები კი კვლავ აღმართულია – მეც უნდა მივიღო ყველაფერი ისე, რო-გორც არის და შევწყვიტო რამის გარ-კვევის მცდელობა. ვისწავლი, ეს როგორ გავაკეთო,“ – ვეუბნები საკუთარ თავს. შორიდან და გარედან საქმის კურსში ყოფნა, მოვლენათა დაკვირვება და მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღქმა,

– უწარსულოდ და წინარე მოვლენებთან დაუკავშირებლად, – უდავოდ ძალზე რთული საქმე უნდა იყოს, მაგრამ არა – შეუძლებელი. ეს ისტორიის პრინციპს ეწინააღმდეგება, მაგრამ კეთილი, ამა-საც გავაკეთებ თუნდაც ერთხელ ცხოვ-რებაში!.. რათა ესეც გამოვცადო. „დიდი არჩევანი აქ არა გვაქვს! მხოლოდ ერთი რამ გვაქვს და ეს დავიწყებაა!“ – მით-ხრა ვაფამ, როცა მე ბოლო სიგარეტი ჩავაქრე ნამწვებით სავსე საფერფლეზე.

„მაგრამ იმათზე რას იტყვით, ვინც ამ ომში იყო ჩაბმული – ხოცავდა, იტა-ცებდა, მსხვერპლთა სხეულებს ასახიჩ-რებდა... ისინი სად არიან?.. ან სად არი-ან მათი მსხვერპლნი?..“ – ვკითხულობ.

მოდის გარსონი და მოაქვს ჩაიდნე-ბი, ღრმა თეფშებით მანაკეშები¹, ლაბ-ნე² და ბოსტნეული. ინთისარი შეძახი-ლით უკან აბრუნებს მიმტანს და სთხოვს სოფლური ზეითუნის ზეთის მო-ტანას. როგორც ამბობს, ქურას რეგიო-ნიდან³ ჩამოტანილ, ცნობილ სოფლურ ზეთს ითხოვს. მერე მე მომმართავს: „განსხვავება ჩვენსა და შენ შორის, საყ-ვარელო, ისაა, რომ ჩვენ აქ დღიდან დღემდე გაპარტახებული და გაკოტრე-ბული ცხოვრებით ვცხოვრობდით... და ბოლოს, შევეჩვიეთ. შენც მალე მოგი-ნევს ამ ყველაფერთან შეგუება, მერწმუ-ნე!“ ინთისარი ამ ლაპარაკში თან დიდ პომიდორს ჭრის ნაჭრებად და გარშემო მსხდომთ უნაწილებს. ახლა ვაფას მიუბ-რუნდება და ქმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ეკითხება, ვისაც გულმა უმტყუნა და იძულებული გახდა, ქირუ-გიული ოპერაცია გაეკეთებინა.

¹ მანაკეში (არაბ.) – ლეგანტში (სირია-ლიბანში) გავრცელებული ცომის პროდუქტი, თხელი ცომის ფირფიტები, რომლებსაც ზემოდან ზეთისა და დაქუცმაცებული ბეგეონდარას ნარევს უსვამენ. მიირთმევენ საუზმეზე. ხშირად ლიბანურ პიცას ეძახიან.

² ლაბნე – ნადულის მაგვარი რძის პროდუქტი ლიბანურ სამზარეულოში, მიირთმევენ ზეთისა და პიტიოთ.

³ ქურას რეგიონი – ჩრდილოეთ ლიბანის ადმინისტრაციული რეგიონი, განთქმული ზეთისხილის მოყვანითა და ზეთუნის ზეთის ნარმოებით.

„საბოლოოდ დაბრუნდი ლიბანში?“ – მკითხა ვაფამ. მოულოდნელმა შეკითხვამ შემაცბუნა, აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა. თავი გადავაქნიე იმის ნიშნად, რომ ჯერ არ ვიცოდი. თქმით არაფერი მითქვამს. მან კი განაგრძო: „სხვა ადგილი ეძებე. აქ ვერ შეძლებ ცხოვრებას. თავადაც ხედავ, ცხოვრება ამაზრზენია აქ, ქვეყანა ორ ნაწილადაა დაყოფილი – მკვლელებად და მკვლელებად... ჩვენ კი მხოლოდ მძევლები ვართ!.. საზიზლობა!..“ – წარმოთქვა ვაფამ თავისი ბოლო სიტყვა და თავი ინთისარის მიმართულებით ისე გადახარა, თითქოს ინთისარის ნათქვამსა და საზიზლობას შორის ფარულ კავშირზე მიანიშნებსო, ან, სულ მარტივად, საზიზლობასა და თავად ინთისარს შორის. უნივერსიტეტში სწავლის დროიდან დაუსრულებელი დაძაბულობა იყო ინთისარსა და ვაფას შორის. შესაძლოა, ეს ინთისარსა და ვაფას დაქორწინებულ ძმას შორის გაბმულ ფარულ, ხანმოკლე კავშირს უკავშირდებოდა, რისი გაგებაც ვაფასთვის კატასტროფის ტოლფასი იყო. ვაფამ ერთხელ შინ დაპატიჟა ინთისარი, რომელმაც იქ შემთხვევით გაიცნო მისი ძმა, მოსახდენი მოხდა, რის შემდეგაც ინთისარი მეგობარი გოგოების დათქმულ შეხვედრებსა და თავყრილობებს გაურბოდა და აღარ ჩნდებოდა. ვაფასთვის ეს ამბავი ღალატს უდრიდა.

მალექი ისევ ისეთი იყო – ისეთ დიდ და ზეცად ატყორცნილ ოცნებებს ისროდა, ცისარტყელამდეც კი არ ეშვებოდა, როგორც ინთისარი ამბობდა. ჩემთან ცოტა უხერხულად გრძნობდა თავს. არ მესმოდა, როდის ხუმრობდა და როდის ლაპარაკობდა სერიოზულად. სასხვათამორისოდ იცავდა პალესტინური წინააღმდეგობის მოძრაობას და თან საუბრობდა ლიბანის არაბული გარემოცვისგან განსხვავებულ ქვეყნად დარჩენის

აუცილებლობაზე. უნინ ხანდახან იტყოდა ხოლმე, რომ პალესტინელებმა დაანგრიეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ თან იმასაც ამბობდა, რომ მათი განთავისუფლების მოძრაობა უკანასკნელი წინააღმდეგობის მოძრაობა იყო მსოფლიოში და საჭირო იყო მათი რევოლუციის მხარდაჭერა. იწყებდა საუბარს ქვეყნის რეფორმირების საკუთარ იმედებზე, სექტარიანიზმის დაძლევაზე... ისეთი დიდი იმედები ჰქონდა, ლიბანისნაირი პატარა ქვეყანა რომ ვერ იტევდა!.. საუბრობდა შიიზმის, როგორც ავანგარდული რელიგიური მიმდინარეობის როლსა და მნიშვნელობაზე ქვეყანაში განსხვავებული კულტურის შესაქმნელად.

„შენ კიდევ... შეეშვი ამ შენს ოცნებებს სამყაროს შეცვლაზე!“ – ზედაც არ შეუხედავს, თითქოს უსაშველო, გამოუსწორებელ და უიმედო მდგომარეობაში მყოფს ელაპარაკებაო, ისე უთხრა ინთისარმა.

„რაო, ოცნებაც აკრძალულია?!“ – წამოიძახა მალექმა.

გავითიქრე, რომ სამყაროს შეცვლაზე ოცნებებს დიქტატურის გარდა არაფერი მოსდევს, თუმცა ოცნებით მაინც უნდა ვიოცნებოთ, სხვა გზა არაა.

„მთავარია, ჩვენ შეგვეშვა, რომ რამე პრაქტიკულ საკითხზე ვისაუბროთ!“ – ამბობს ინთისარი.

„აჲ, რამე პრაქტიკული გინდა?!“ – კითხულობს მალექი და ამბობს: „რა იქნება ვითომ, ერთმანეთის ხოცვა-ულეტას რომ შევეშვათ?!.. აბა, ასეთ პრაქტიკულ კითხვას ამჯობინებ, მაგალითად?!“

„საჭიროა, ჩვენი სამოქალაქო ომების მართვა ვისწავლოთ!“ – ვპასუხობ შავი იუმორით. – „გენერალური სამმართველო უნდა შევქმნათ სახელმწიფოში, რომელსაც სამოქალაქო ომების მართვის დეპარტამენტს დავარქმევთ, სა-

ზოგადოებრივი კეთილდღეობის დეპარტამენტს“.

„ნურას უკაცრავად!.. კერძო სარგებლის დეპარტამენტს!“ – მისწორებს რიმა.

„ამის მეტი ნატვრა რომ არ გექნება!.. ერთმანეთის ხოცვა აქ ცხოვრების წესია, ისეთივე სამომხმარებლო რამ, როგორც ალკოჰოლი, მოწევა, მედია, ტელევიზია და მუსიკა... აქ თან სამოქალაქო ომია და თან არის ალ-ჯემაიზე¹, შუა ქალაქი (დაუნთაუნი), მონოს ქუჩა², ალ-ჰამრა³, უუნიე⁴, მა'ამელთეინი⁵ და რა'ს ბეირუთი⁶... აქ ყველაფერია და ამ რაღაცებს ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო – არ იკვეთებიან, ერთმანეთში არ ირევიან... ეს ნამდვილად ასეა! ერთმანეთს არ ხვდებიან, მაგრამ ერთმანეთით იკვებებიან“. – ვფიქრობდი.

კაფე „რავდადან“ გამოვედი და ფეხით გავუყევი გზას ჰამამ ალ-ასქარის⁷ ალმართის მიმართულებით. უკან მოვიტოვე მეგობრები, ხანგრძლივი დისკუსიები, შეძახილები და დაუსრულებელი და არაფრისმომცემი განსხვავებები... ჩანდა ზღვაში ნელ-ნელა ჩამავალი მზე, რომელიც თითქოს მეთხოვებოდა ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტის უბნისკენ ასვლისას. მოტოციკლეტები ჩემ წინ, უკან, ჩემს სიახლოეს გარეული ცხოველის ღმუილით კვეთდნენ ქუჩას. ერთი მათგანი უცაბედად გაჩნდა ზედ ჩემს უკან და შემდეგ მთელი სისწრაფით გაფრინდა გაჩერებული მანქანისკენ, მერე სწრაფადვე გადაბრუნდა და მძლოლი

ძირს გადმოვარდა. ის მიწაზე დაენარცხა, მოტოციკლი კი ჩართული ძრავით ყირაზე ამოტრიალდა. მეორე მოტოციკლეტისტი შიგ სახეში ამიყვირდა, თან თავისი მოტოციკლეტის გაჩერებას ცდილობდა. მეუბნებოდა, რომ მე ვიყავი დამნაშავე და ეს უბედური შემთხვევა არ მოხდებოდა, მე რომ შუა ქუჩაში არ მევლო. ამბობდა, რომ მძლოლი შეეცადა, მე არ დამჯახებოდა და ჩემთვის გვერდის ავლას რომ ცდილობდა, გაჩერებულ მანქანას შეასკდა. შეგროვდა ხალხი. ამასობაში კი დაზარალებული მძლოლი წამოდგა და ტანსაცმელზე აკრული მტვრისა და ჭუჭყის ჩამობერტყყვა დაინტენი ისე, რომ ყურადღებას არ აქცევდა სისხლს, რომელიც თავიდან სდიოდა. შემდეგ ისე შემომხედა, როგორც ბოროტმოქმედს, რომელმაც მოახერხა და სასამართლო პროცესს დაუძვრა ხელიდან. თან ილანძლებოდა და დედას იგინებოდა. ამ გინებიდან, უეჭველია, დიდი წილი დედაჩემის მისამართით იყო წარმოთქმული.

დავბრუნდი ჩემს ბინაში ალ-მაქჰულის⁸ ქუჩაზე. მზე ჩასული იყო. ვიცოდი, რომ ამ ღვთის გაჩენილ სამყაროში კი-დევ ერთი დღე ილეოდა და კვდებოდა; რომ ეს ქვეყანა ბევრ სხვა დღეს გაივლიდა კიდევ და ყველა მათგანს მოიღევდა; რომ ღმერთმა, რომელიც სამყაროს სახურავზე სახლობდა, ჩვენი ყურისწამლები ყვირილის მოსმენის გრძნობა დაკარგა და ეს ყვირილი მის ყურამდე სუსტ მუსიკალურ ნოტასავით აღწევდა.

¹ ალ-ჯემაიზე – ბეირუთის საცხოვრებელი და სავაჭრო უბანი.

² მონოს ქუჩა – აღმოსავლეთ ბეირუთის ქუჩა.

³ ალ-ჰამრა – ბეირუთის ისტორიული უბანი და ერთ-ერთი მთავარი ქუჩა.

⁴ უუნიეს პორტი – თევზჭერისა და ტურისტული პორტი ბეირუთის გარეუბანში, უუნიეში, ბეირუთიდან 16 კმ მანძილზე.

⁵ მა'ამელთეინი – ბეირუთის უბანი.

⁶ რა'ს ბეირუთი – ბეირუთის ისტორიული უბანი.

⁷ ჰამამ ალ-ასქარი – ბეირუთის მთავარი სამხედრო კლუბი.

⁸ ალ-მაქჰულის ქუჩა – ბეირუთის ისტორიული უბანის, – ალ-ჰამრას, – ქუჩა.

აი, მარტო ვარ წარსულის მეგობრებთან დამლელი შეხვედრის შემდეგ. როგორ უნდა შევეგუო ბეირუთს – ძველ ახალ ბეირუთს, რომელიც არ შეცვლილა, თუმცა მე მას ვეღარ ვცნობ! ბეირუთი არ შეცვლილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან სული დაკარგა.

* * *

მძინავს და ისე ვიღვიძებ, თითქოს სულ არ მიძინიაო. უკვე მრავალი წელია, რაც მხოლოდ ერთი ციკლი მძინავს. ამბობენ, რომ ადამიანი მხნედ და ენერგიულად ვერ გაიღვიძებს და ვერც დღეს გალევს მშვიდად, თუ ორ სრულ ციკლს, ანუ რვა საათს არ იძინებსო. მე ერთი ციკლი მძინავს და როცა ვიღვიძებ, ვფიქრობ, რომ საჭიროა, ძილი შევიბრუნო, თუმცა ვერ ვახერხებ. გონება მიხურს და თვალწინ გასაკეთებელი საქმეების სია მიდგას. დღეს ჩემი თანამდევი მუდმივი დაღლილობის შეგრძნებით ვიწყებ, თუმცა ეს გრძნობა უკვე ჩვეულ ამბად გადამექცა, თითქოს დაღლილობა ჩემი შემადგენელი ნაწილია და არა გაუთვალისწინებელი, საგანგებო რამ, რომლისგანაც უნდა გავთავისუფლდე. ჩაწილებული თვალებით დღეების გატარებაც ბუნებრივად მექცა. ოთხ საათზე მეტი ძილი არაბუნებრივი გახდა ჩემთვის. ვხედავ, რომ წვივებისა და ტერფების ტკივილიც ჩემი დაღლილობის ნაწილია. უკვე ვფიქრობ, რომ ტკივილი სხეულის არსებობის პირობაა – შევიგრძნოთ სხეული ნიშნავს, გვტკიოდეს

იგი. ამრიგად მგონია, რომ შეგრძნება ყოველთვის ტკივილთან უნდა იყოს შერეული, ფიზიკურ ტკივილთან. ამასთან, რიურაჟის პირველ სხივებთან ერთად შვებას ვგრძნობ. მესმის კედელზე ჩამოკიდებული საათის წიკწიკი დაქირავებულ ავეჯიან ბინაში, სადაც ვცხოვრობ და საიდანაც თავის დალწევაზე ყოველ-დღე ვფიქრობ.

ჩამოვდივარ საწოლიდან და გავდივარ აივანზე, რომელიც ამერიკული უნივერსიტეტს გაჰყურებს. ადრე College Hall-ის საათის რეკვას ვუსმენდი ხოლმე. ეს მანამდე იყო, სანამ შენობას განზრახ დაანგრევდნენ რამდენიმე წლის წინ მომხდარი თავდასხმის შედეგად¹. კოშკს ვეღარ ვხედავ ჩემ წინ აღმართულ შენობათა კედლებს შორის. უნივერსიტეტში გატარებული სამი წლის ხსოვნიდანაც ძალიან ცოტა რამ თუ შემომრჩენია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩემი გული კვლავ ღიაა. სინათლე, რომელიც ცის ჰორიზონტის გადაღმიდან ნელ-ნელა მოცოცავს, არა მხოლოდ დედამიწას ხდის სიბნელის თხელ საბურველს, არამედ ფანტავს ჩემს შიშა და შფოთვას, სახისა და სხეულის დაჭიმულ კუნთებს მიღუნებს. კვლავ დაძინებას ვცდილობ და ვერ ვახერხებ. ყველა იმ ადამიანის სახემ გამიელვა გონებაში, ვინც დაბრუნების შემდეგ ვნახე – დაბერილი ტუჩები, გაახალგაზრდავებული სახეები, მოჭიმული სახის კანი, უძილობა და ღამის-თევები, სასმელის ჭიქები, ჩამქრალი, უძიროდ სევდიანი თვალები...

¹ 1991 წ. 8 ნოემბერს, ლიბანის სამოქალაქო ომის დასასრულს, მუსლიმური უმრავლესობით დასახლებულ დასავლეთ ბეირუთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტის კამპუსში მისი დაარსებიდან (1871 წლის 7 დეკემბერი) 125 წლისთავის აღნიშვნამდე სულ ცოტა ხნით ადრე მუსლიმი ფუნდამენტალისტების მიერ დანაღმული მანქანის აფეთქებამ დიდი ნგრევა გამოიწვია. დაინგრა ბიბლიოთეკა და უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნაგებობა და მისი უპირველესი სიმბოლო – College Hall, რომელიც ბლისის ქუჩაზე მდებარე უნივერსიტეტის მთავარი კარიბჭის შემადგენელი ნაწილი იყო თავისი ოთხმხრივი საათის კოშკით, რომელიც საუნივერსიტეტო კამპუსიდან ქალაქის ყველაზე პოპულარულ, ულამაზეს ზღვისპირა ბულვარს გადაჰყურებდა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა თაოსნობით კარიბჭე მისი ოთხმხრივი საათის კოშკით მაღლევე იქნა აღდგენილი.

ვერ ვიძინებ, მაგრამ არა უშავს! გარეთ გამოვდივარ, განთიადზე მზის ამოსვლას რომ დავაკვირდე. რახანია, ბეირუთში მზის დაბადებისთვის არ მიყურებია...

ბეირუთში დაბრუნებული ვგრძნობ, ჩემი მისგან იძულებითი სიშორე გაუთავებელი სლოკინივით მაღა გულზე – სლოკინივით გამიგრძელდა და ჩემი ცხოვრების ნაწილად მექცა.

სახლიდან გამოსული ჰამრას ქუჩას ავუყევი. ლამის იქ მისვლა დავასწარი მაღაზიების გამყიდველებს, თავიანთ სამუშაო დღეს სწორედ მაშინ რომ იწყებდნენ. ჰამრას ქუჩა შეცვლილიყო. იქ მოსიარულე ქალებიც კი შეცვლილიყვნენ. გაზაფხულის სიცხეშიც კი ფეხზე კვლავ შავი კოლგოტკები ეცვათ. ნუთუ ამინდის შეგრძნება აღარ აქვთ, თუ სიკვდილი ჩასახლებულა ბეირუთელ ქალებში და თავის შავ სამოსში გამოუხვევია?!..

იოგას მეცადინეობის პირველ სეანსზე კიდურებისა და სხეულის სხვა ნაწილების დაბოლოებებზე კონცენტრირებას უნდა შევჩვეოდი. ცხვირის წვერზე ფოკუსირებით დავიწყე. ამისთვის თვალები დავხუჭე და მოვეშვი. მოდუნება და იმავდროულად კონცენტრაცია მთლად კარგად არ გამომდიოდა. აღმოვაჩინე, რომ კიდურებისა და სხეულის უფრო შორ დაბოლოებებზე კონცენტრაცია ბევრად იოლი იყო.

ვიწყებ მარჯვენა ფეხის დიდ თითზე ფოკუსირებას, იქიდან ანგარიშმიუ-ცემლად გადავდივარ მარცხენაზე. ფიქრებს ვეძლევი, ვდუნდები, ფიქრს ვწყვეტ. ჩავისუნთქავ, ჰაერს ჩავუშვებ მკერდში, რაც შეიძლება დიდხანს ვიწერებ ფილტვებში. ვგრძნობ, უანგბადი ვენებში როგორ გადადის მძიმედ, გაჭირვებით, თითქოს ბეტონის კედელი ულობავსო გზას. მსუბუქი ჩევლეტა მივლის, რაც უფრო ღრმად აღწევს ჰაერი. თით-

ქოს ჩევლეტა ჩემს სხეულში სულის კედლებზე შეხეთქების შედეგია. მეტის გაკეთება აღარ შემიძლია.

იოგას გაკვეთილიდან გამოსული ჰამრას ქუჩას ფეხით გავუყევი დოქტორ ადამის კლინიკამდე. ეს ის ექიმია, აბორტი ვინც გამიკეთა 1979 წლის შემოდგომაზე. კლინიკა დაკეტილი დამსვდა. ექიმი მოვიკითხე და მითხრეს, რომ სამოქალაქო ომის ბოლო წლებში მოუკლავთ.

ბავშვი დიდი ხნის წინ დავკარგე. ოცდაერთი წლის ვიყავი. ჯორჯიც დაახლოებით ჩემი ასაკისა იყო, არა, ის ხუთი წლით იყო ჩემზე დიდი, მაგრამ ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა არასდროს მიგრძნია. საკუთარი სხეული მე მასთან ერთად აღმოვაჩინე და მიუხედავად იმისა, რომ მას რაღაც გამოცდილება ჰქონდა ჩემამდე, ისიც ჩემთან დაკაცდა. ჩვენი სხეულები და სურვილები ბოლომდე შევიცანით, ერთხელ... ორჯერ... სამჯერ... ჩვენი ურთიერთობიდან ერთი წლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ორსულად ვიყავი და ნაყოფი უნდა მომეშორებინა. ექიმთან ნამიყვანა, რომელზეც მითხრა, რომ მისი ნათესავი იყო. ცნობილი ექიმი იყო, დიდი კერძო კლინიკა ჰქონდა რა'ს ბეირუთში. ექიმი ლამაზი კაცი იყო, მაგრამ მისი სილამაზე საეჭვოდ სრულყოფილად მომეჩვენა. ორი დღის შემდეგ კლინიკაში მარტო დავბრუნდი, რათა იქ ერთი დღე-ღამე დავრჩენილიყავი. კლინიკიდან დილით მარტო გამოვედი, რადგან ჯორჯი არ მოვიდა ჩემს ნასაყვანად. მარტო გამოვედი მაშინ, როცა ჩემი სხეულიდან გამორიდებული ჩემი დაუბადებელი ბავშვი საოპერაციოს დიდ კონტეინერში დარჩა. არაფერი მიკითხავს, აღარც ექიმი მინახავს ამის შემდეგ, მაგრამ კლინიკიდან გამოსვლის წუთიდან გადავწყვიტე, დავშორებოდი კაცს, რომელიც ჩემი სხეულის აღმოჩენის თანამონაწილე და ჩემი

ტკბობის მეწილე იყო, მაგრამ არც კლი-ნიკაში შემოსულა ჩემთან ერთად და არც იქიდან გამოწერისას ჩემს წასაყვა-ნად მოუკითხავს, თითქოს მე ერთადერ-თი დამნაშავე ვიყავი იმ მომენტში, ის კი გაქრა, აორთქლდა. ის არ გამოტილა ცივ საწოლზე, მკლავი მისთვის ნემსით არ დაუჩევლეტიათ, არც შინაპერა ექ-თანს შეუხედავს მისთვის შუშის თვალე-ბით და აშკარა სიძულვილში გარეული ზიზლით უკითხავს, რომელიმე ოჯახის წევრი თუ იყო საქმის კურსში. ეს მხო-ლოდ ჩემი გამოცდილება იყო და არა მისი! ამაში ის არ ჩამზიარებია. მე კი გადავწყვიტე, დავშორებოდი, მაგრამ ასე სულაც არ მომხდარა! მხოლოდ მცირე დროით შევძელი მისი მოცილება ჩემი ცხოვრებიდან, შემდეგ კვლავ მის მო-ლოდინში ვიყავი და მიყვარდა.

მომბასადან დაბრუნებულს მსურდა თავად ექიმის მონახულება. მინდოდა, მენახა და შემეჩივლა მისთვის, დაორსუ-ლება რომ აღარ შემეძლო. აღბათ სწო-რედ ის იმიტომ ავირჩიე, რომ მსურდა, მისგან მომესმინა, რომ კარგად ვარ, რომ ბავშვის გაჩენას შევძლებ და პრობ-ლემა კი ხანმოკლეა, უმნიშვნელო... ვინ მეტყოდა ამ სიტყვებს იმ კაცზე უკეთ, ვინც ემბრიონი ჩემი ცოცხალი, სველი საშოდან გამოიყვანა და გარეთ მოისრო-ლა?!.. მაგრამ ის აქ აღარაა, ის მოკლეს.

ჩემი მეხსიერების აღდგენა მინდო-და იმ ადგილების მონახულებით, რომ-ლებმაც ჩემს წარმოსახვაზე შთამბეჭდა-ვი კვალი დატოვა. ჩემი კაცი უკან მოვი-ტოვე მომბასაში და ბეირუთში დავ-ბრუნდი. მინდა, ჯორჯთან ჩემი ისტო-რია აღვიდგინო – არა იმიტომ, რომ გა-ვაცოცხლო და ხელახლა განვიცადო, არამედ იმიტომ, რომ ჩემი სხეულის ნა-წილები შევკრიბო; მაგრამ მისი ამბავი

მასავით დაკარგულია. ჯორჯი არ გა-მომყვა უკან და მეც ვერ შევძელი, ჩემი მწუხარება აშკარად და დაუფარავად განმეცადა, ვერ გამოვიგლოვე და ვერც ჩემს ჭრილობას მოვუკარი პირი. ან კი როგორ გამოვიგლოვდი საჯაროდ, როცა ის არც ჩემი ქმარი იყო, არც ძმა, არც მამა; თვით საქმროც კი არ ყოფილა!.. იყო შესაძლებლობა, ჩემი შვილის მამა ყოფილიყო – ჩემი გაუჩენელი შვილისა. ის მხოლოდ ჩემი საყვარელი იყო და როცა საყვარელი გვიკვდება, ჩვენს მწუ-ხარებას მასთან ერთად ვმარხავთ და საჯაროდ არ გამოგვაქვს.

კენიაშიც დავტოვე კაცი და მინდა, ჩემი ისტორია მისგან უკან დავიბრუნო, მაგრამ ასეთი ისტორიები უკან არ ბრუნდებიან; მე ჯორჯთან ჩემი ისტო-რიის დარჩენილი ნაწილი უნდა აღმოვა-ჩინო და მისი ამბავი, მისი გაუჩინარების მიზეზი გამოვაშკარაო. რომელი ისტო-რიით დავიწყო?.. ყველა მათგანი ჩემი ამბავია!.. ამ ყველაფრის გამო დავბრუნ-დი, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ყოველ დაბრუნებას თან გაქრობა ახლავს, რად-გან წარსული არ ბრუნდება, დაბრუნება კი არარსებობის კიდევ ერთი ნიშანია.

მაგრამ რა მჭირს, საკუთარ ცხოვ-რებაში რატომ ვიქექები მესაფლავესა-ვით, რომელიც ჯერაც ვერ დარწმუნე-ბულა, რომ მკვდრები არ ბრუნდები-ან?!

მოვედი ასევე, რომ ჩემი სახლის გასაღებები გადავიბარო, მამაჩემმა მა-მამისისგან რომ მიიღო მემკვიდრეობით – იმ სახლის გასაღებები, კარიბჭეები რომ აღარ აქვს. ზოკაკ აღ-ბლატზე¹ სახლს ხუთი შესასვლელი ჰქონდა, რო-მელთა კარიბჭეები ბაბუაჩემმა სხვადას-ხვაფრად შეღება – მწვანედ, ყვითლად, ყავისფრად და ცისფრად. ყველა მათგა-

¹ ზოკაკ აღ-ბლატი (არაბ.) – მოკირწყლული ქუჩა, ბეირუთის ერთ-ერთი ძველი, არისტოკრატული კვარტალი.

ნი ეზოს გადაჰყურებდა, რომელიც სახლის შიგნიდან ისე ჩანდა, თითქოს სახლს გალავნად ერტყმისო, სინამდვილეში, ფორმით ნახევარმთვარეს ოდნავ აღემატებოდა. სახლი ბაბუაჩემ ჰამზას-გან გვერგო მემკვიდრეობად – ჩემი დიდი ბაბუისგან, რომელიც მხოლოდ სურათით მახსოვს, მთელი თავისი მაღალი ტანით რომ იყო ზედ გამოსახული, ხელჯოხითა და ტარბუშით². ძალიან პატარა ვიყავი, მან რომ სული დალია. მხოლოდ ნაპილის მონაყოლი ისტორიებიდან შემიძლია აღვიდგინო მისი მჭექარე ხმა; წარმომიდგენია, მისი სახლში შემოსვლისას ჩვენ როგორ მივიმალ-მოვიმალებოდით ხოლმე დარბაზის ბოლოში. ისე ვიგონებ სახლის გასაღებების ხმას, თითქოს მათი უღარუნი ყურში მიდგასო. ნაპილის თქმით, მხოლოდ ჰამზა ატარებდა ამ გასაღებებს – ჩამოკიდებული ჰერნდა ფართო ქსოვილის სარტყელზე, რომელიც სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე ტყავის ქამარმა შეცვალა. სალამა ვერასდროს ბედავდა, მამისთვის ეთხოვა და გასაღებები გამოერთმია. ჰამზას სიკვდილის შემდეგ სახლი თავისი ხუთი გასაღებით სალამას მემკვიდრეობით ერგო. პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ყველა შესასვლელი გახსნა და ნადიას სთხოვა, კარიბჭები ასე ღია დაეტოვებინა. სამი დღის განმავლობაში სამძიმარზე მომსვლელები სახლში შემოდიოდნენ, ჭირისუფლებს ხელს ართმევდნენ, გარდაცვლილის ოჯახს რამდენიმე სიტყვით თანაგრძნობას უცხადებდნენ და მიდიოდნენ.

სალამა ჭკუიდან გადაცდა ჩვენი სახლის დაბომბვის შემდეგ. ოსპის მარცვლისხელა პატარა ნამსხვრევმა გააგიუა, როგორც ექიმმა აგვიხსნა. ჭურვის ნამსხვრევმა ტვინში შეაღწია და იქ გაეჩირა. ჩვენ ყველანი გადავრჩით ბაჲას

გარდა, რომელიც იმ დროს აივანზე იმყოფებოდა. ვცდილობ, ხსოვნაში გამოვიხმო ის ღამე – ხმაური, ყვირილი, სროლები და მკაცრი მოთხოვნა, დაგვეტოვებინა სახლი და ჩავსულიყავით ქვედა სართულზე; დედაჩემმა კი გადაწყვიტა, სადაც ვიყავით, იქ დავრჩენილიყავით. არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა ასე მოულოდნელად, შინ ვყოფილიყავით იმ ღამით. ოჲ, მას რომ სცოდნოდა, რომ მამაჩემი გაგიჟდებოდა და ჩემს ძმას მოკლავდნენ!....

დევნილები, რომლებმაც ჩვენი სახლი დაიკავეს მთაში ჩვენი წასვლის შემდეგ, მხოლოდ ერთ შესასვლელს იყენებდნენ, სახლის დანარჩენი ოთხი შესასვლელი დაკეტილი რჩებოდა. კარიბჭეთა საკეტები და ძლიერი რკინა, რომელსაც დაბომბვამ და დენთმა ვერაფერი დააკლო, უანგმა შეჭამა. კედელში ხვრელი გამოთხარეს და მისი გამოყენება დაიწყეს მთავარ შესასვლელად, რადგან ის იცავდა მათ აღმოსავლეთ ბეირუთიდან და ქალაქის ცენტრთან ახლომდებარე უბნებიდან წამოწყებული დაბომბვიდან.

ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს – რატომ არ არის სახლები, ჩვენი სიცოცხლის მსგავსად, დროებითი გამოყენების?!.. ბავშვი ვიყავი, ბებიაჩემი რომ მიყვებოდა, როგორ უმატებდა ბაბუაჩემი ნაყიდ სახლს დიდ ზღურბლებს და კარების კიდეებზე თილისმის მაგვარ სიტყვებს აჩუქურთმებინებდა. ხელოსნებს მოიყვანდა ხოლმე და ფრაზებს ამოაკვეთინებდა კარებზე ზემოდან ჰორიზონტალურად გადებულ სვეტებზე – წინადადებებს, რომლებიც არასდროს მესმოდა. დიდი ოთახიც ააშენა, რომლის ერთ კუთხეში გიგანტური ქვის ბუხარი დააყენა. ნაპილი ყვება, ერთხელ, როცა ჰამზა სტუმრებთან ერთად იჯდა და მათ სიამაყით უკითხავდა სახლის სვე-

¹ ტარბუში – ფესი.

ტებსა და კედლებზე ამოტვიფრულ სიტყვებს, მე, – მაშინ პატარა გოგო, – შევსულვარ მასთან და მიკითხავს: „რატომ წვალობ ამდენს, ბაბუ? შენ ხომ მალე მოკვდები და სახლი მარტო დარჩება. რატომ ისეთ სახლს არ ააშენებ, შენი ხნისა რომ იქნება და შენთან ერთად მოკვდება?!“ როგორც ნაჰილი ამბობს, ბაბუაჩემი ჰამზა განცვიფრებულა, ჩემთვის არაფერი უთქვამს და ცოლისთვის მოუხმია, რომ მისთვის ეთქვა, რა ვუთხარი. ალბათ არ ელოდა ჰამზა ჩემგან მსგავს კითხვას. ყოველთვის მიაჩნდა, რომ მძიმე შრომა და განუწყვეტელი გარჯა ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და ამაზე კითხვაც არ უნდა დაისვას. მძიმე შრომა მას მემკვიდრეობად ერგო დედისგან, რომელმაც დამასკოს ანგლიკანურ სკოლაში მიიღო დაწყებითი განათლება. სალამაც ასე აღიზარდა, მიუხედავად მისი დრუზობისა; დრუზების შეხედულება მძიმე შრომაზე პროტესტანტული ხედვისგან დიდად შორს კი არაა! სალამა არასოდეს ჰებაძავდა მამას შრომის სურვილში, პირიქით! ჰამზას სიცოცხლეში სულ უარყოფდა და ეწინააღმდეგებოდა მის წამოწყებებს, რის გამოც მამა ხშირად აკრიტიკებდა ნაჰილის წინაშე: „შენი ვაჟი ვითომ რისი მაქნისია?!.. ვერაფერს მიანდობ და მიაბარებ!“ ნაჰილი საქმეში ჩაერეოდა ხოლმე ვაჟის, სალამას, დასაცავად. ამბობდა, რომ ის მუშაობდა და ბეჯითად ასრულებდა თავის საქმეს. ჰამზა უარყოფის ნიშნად თავს გადააქნევდა და დაბეჯითებით უმტკიცებდა ნაჰილს, რომ რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი სალამას, მისგან ხეირს არ ელოდა. გაჯავრებით იმეორებდა: „პურიც კი რომ გამოაცხოს, ისიც უმარილო გამოუვაო!.. არაფრის შნო მაგას არა აქვსო!“

ვაშენებთ სახლებს, რომლებიც რამდენიმე ასეულ წელს ძლებენ, ჩვენ კი

მხოლოდ მცირე ხნით ვცხოვრობთ მათში. ვამზადებთ გამძლე ნივთებს და არ გვახსოვს მოახლოებული ჩვენი სიკვდილი. ჰამზასაც სიკვდილი სულ არ უნდოდა! როგორც ნაჰილი ამბობს, სიცოცხლისათვის ბოლომდე იბრძოდა. სახლს აშენებდა და აჩუქურთმებდა სიკვდილთან საბრძოლველად. ბუნებრივია, ხალხის უმრავლესობა მასავით იქცეოდა. ჰამზა რომ მდიდარი ყოფილიყო, შესაძლოა, სახლის დეკორატიულად გასაფორმებლად ქვის ნაცვლად ოქრო გამოეყენებინა, რათა მისი უეჭველი სიკვდილი უფრო ხმაურიანი და თავხედური ყოფილიყო.

* * *

ნურმა ჩვენს მთის სახლში მიმიყვანა, სადაც ოლგა და ნაჰილი ცხოვრობდნენ. მთელი ძალით ვცდილობდი, ღამით იქ დამეტოვებინა, თუმცა მოიბოდიშა და უარი თქვა. მითხრა, რომ დილაუთენია ამანში მიერგზავრებოდა, მერე კი იქიდან ბალდადში. მოსალამოვებულს მისალებ ოთახში დივანზე წამოვწექი და როცა გამეღვიძა, აღმოვაჩინე, ოლგა ადრიანად წასულიყო დასაძინებლად. უცნაურმა სიზმარმა გამომაღვიძა, რომელიც დილით ოლგას ვუამბე. ნური დამესიზმრა, – კაცი, რომელსაც კენის დატოვების შემდეგ შევხვდი და კრისი, მომბასაში ჩემი მომლოდინე ქმარი; მესიზმრა ჯორჯიც, რომელიც დაიკარგა და თექვსმეტზე მეტი წელი გავიდა, რაც არ მინახავს. სიზმარში სამივე მისალებ ოთახში ვნახე. დაკარგული ცეცხლს შეშას უკეთებდა და დანარჩენ ორს თავის ცხოვრებას უყვებოდა. საკუთარ თავს დიდ ტახტზე წამოწლილს ვხედავდი, მეც ყურს ვუგდებდი, შემდეგ ჩამთვლიმა და სასიამოვნო სითბო ვიგრძენი – ჩემი სამივე კაცი მეგობრები იყვნენ და შემეძლო, ყველანი მყვარებოდნენ, თი-

თოეული თავისებურად. არ მტანჯავდა ის განსხვავებული სიყვარული, რომელიც მონაცვლეობდა და შინაარსს იცვლიდა ერთი კაციდან მეორეში.

სიზმარში თბილი და ნასიამოვნები ვიყავი, ჩემი ცხოვრებაც ჩემს თვალწინუნებად მიედინებოდა და ისე გადაშლილიყო, როგორც ღია ველი, არავითარ საიდუმლოს რომ არ მაღავს.

ჩემკენ თავგადმოხრილმა ოლგამ საყვარლად, თბილად და შეთქმული კილოთი ნურზე მყითხა; მე ვუთხარი, რომ მხოლოდ მეგობარია. „იმედია, ამჯერად მაინც ძლიერი აღმოჩნდები და ისევ შენებურად სულელ რომანტიკოსად არ დარჩები,“ – მითხრა ოლგამ და გააგრძელა: „ეჱ, ჩემო საყვარელო, ქალი კახა უნდა იყოს, კაცი რომ შეინარჩუნოს“. არ მიპასუხია, მაგრამ ნელა და გაჭირვებით აღვიდებინე ოლგას წარუმატებელი სასიყვარულო თავგადასავლები, რომელთა მოწმეც ვიყავი ადრეული მოზარდობის წლებში. იმ მომენტში მივხვდი, რომ ოლგა მე კი არ მესაუბრებოდა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, იმ ახალგაზრდა ოლგას მიმართავდა, რომელიც ოდესადაც თავად იყო და რომელმაც შესაფერი, თავისი ცხოვრების კაცის არჩევა ვერ შეძლო. თითქოს ახლა გამოარკვიაო, რა უნდა გაეკეთებინა უნინ და ახლა იმ გაშვებული შანსის უკან დაბრუნება სურდა; ოლონდ წარსული არ ბრუნდება და მის შეცდომებსაც ვერ გამოვასწორებთ. ოლგას სიტყვები, ცოტა არ იყოს, დაგვიანებული იყო და იმ ქალის საქციელს ჰერთვა, რომელმაც კონტრაცეპტივები ორმოცდათ წელს გადაცილებულმა აღმოაჩინა.

ოლგასთან ერთად აღმოჩნილი სიტკბოებანი ადრეული მოზარდობის წლებში ერთადერთი მიზეზი როდი იყო, რომ მეფიქრა – ოლგა სასურველი და

ვნებისაღმძვრელი ქალი იყო. ამის მიუხედავად, მოწმე ვიყავი მის ცხოვრებაში სასიყვარულო იმედგაცრუებებისა. საკუთარ დრო დასჭირდა იმ რწმენის დასაკარგავად, რომ სიყვარულს სასწაულების მოხდენა შეეძლო.

ერთი კვირაა, ნური არ მენახა. ის ისევ ამანში იყო. ხანდახან მაკვირვებდა მისი გაუთავებელი მოძრაობა და სულ დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნა, ერთი რომ არ მოეშვებოდა და მოდუნდებოდა. მთელ დროს კვლევა-ძიებასა და ძველი გაზეთების ნაკუნების შეკრებაში ატარებდა, რომლებსაც ამერიკული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ნახულობდა. ყველაფრის გაგება უნდოდა ოჯახის ისტორიისა და იმ ქონების შესახებ, რომელიც, სჯეროდა, რომ ჯერაც არსებობდა და ბებიამისს, დედის დედას, ეკუთვნოდა, ვისთვისაც დედამისი ერთადერთი შვილი იყო.

დღეს 1996 წლის 12 იანვარია. უკვე ხუთი თვეეა, რაც აქ ვარ. თექვსმეტი წლის წინ სწორედ ამ დღეს გავემგზავრეთ ლიბანიდან. იოლი არ იყო ჩვენი იმ დღეს გამგზავრება. დამასკომდე მანქანით უნდა ჩავსულიყოვით და იქაური აეროპორტიდან ლონდონში უნდა გავფრენილიყოვით, იქიდან კი ავსტრალიაში. თოვდა და დჰჰურ ელ-ბაიდარის¹ წინ საათობით უნდა გვეცადა, რომ პოლიციას გავლის ნებართვა მოეცა იმ ქარბუქში, რომელიც მაშინ ლიბანს დასტყდომოდა თავს. მოგზაურობა სალამას ძალიან გაუჭირდა. ნადიას, რომელსაც ბაჟას გარდაცვალების შემდეგ ცხოვრებიდან განდგომა, პასუხისმგებლობის მოხსნა და ლაპრაკისთვის თავის დანებება გადაეწყვიტა, აღარც სალამა აინტერესებდა, აღარც მისი სიგიურე და არც მისი მუდმივი დაძაბულობა. შეხედავდა მას და მერე მე ისე გადმომხედავდა, თითქოს მეუბ-

¹ დჰჰურ ელ-ბაიდარი – ლიბანის დასავლეთის მთიან უღელტეხილზე გადასასვლელი, რომელსაც ბერიუთ-დამასკოს გზაზე გაჰყავს მგზავრი.

ნებოდა: „მორჩა!.. მე დავამთავრე. მისი ატანა აღარ შემიძლია!.. ახლა შენი ჯერია!..“ ნადია ბაჟას მკვლელობის შემდეგ აღარ ლაპარაკობდა. ალბათ აღარაფრის თქმა არ სურდა. ხანდახან თავში გამიელვებდა აზრი, რომ მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, აღარ ელაპარაკა და რაც დაემართა, ეს მისი შეგნებულად, გაცნობიერებულად მიღებული გადაწყვეტილება იყო და არა – შოკი. თითქოს ჩემი ძმის სიკვდილმა გაუადვილა დადუმება.

ვიცი, რომ დედაჩემს მამაჩემი არ უყვარდა, როცა დაქორწინდნენ. ისიც ვიცი, რომ მამამისმა აიძულა სალამაზე გათხოვება მას მერე, რაც იმ კაცზე იყო დანიშნული, ვინც უყვარდა. ნადია ყოველთვის ფიქრობდა, რომ მამამისმა სწორედ ამ სიყვარულის გამო მიატოვებინა დანიშნული. ვიცი ასევე, რომ ჰამზა დედაჩემის სოფელში, ჰასბაიაში², გაემგზავრა მამამისისგან მისი ხელის სათხოვნებლად. ბაბუაჩემსაც აღარაფერი დარჩენოდა, თანხმობის მიცემის გარდა ისე, რომ ნადიამ არაფერი იცოდა ამის შესახებ. მამაჩემისა და დედაჩემის ოჯახს შორის შორეული ნათესაობა ავალდებულებდათ ამ ქორწინებას. ბებიაჩემი ნაჰილი ამბობს, რომ ნადიას ქორწილის ღამეს გონება დაუკარგავს და მის გულის წასვლას შიშით ხსნის, ასევე იმით, რომ სალამა მომთმენი არ ყოფილა მასთან; სინამდვილეში, დედაჩემის გონების დაკარგვის მიზეზი იმ კაცთან დაშორება იყო, ვინც მას უყვარდა – უნდა მიეღო ის ფაქტი, რომ ის, ვინც ქორწილის ღამეს ზემოდან ეწვა, სხვა კაცი იყო, რომელიც არ უყვარდა და ვერც მის სუნს იტანდა. თავისი პირველი კაცი სულ რამდენჯერმე ჰყავდა ნანაზი, თუმცა ესეც საკმარისი იყო, მის სუნს მიჯაჭვოდა. უკვე სუნით სცნობდა. მამამისთან მის მოსვლას მანამდე იგებდა, ვიდრე ის სახლის ზღურბლს გადმოაბიჯებდა.

თითქოს მის სუნს ხმა ჰქონდა, შორიდანვე რომ ისმოდა.

ნადიას, როცა ის ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, არ მახსოვს, ერთ წინადადებაზე მეტი ეთქვას ჩვენთვის, რასაც გვიმეორებდა ხოლმე – ერთი კაცის მეტი მას არავინ ჰყვარებია და ის კაცი მან სალამაზე დაქორწინების დღეს დაკარგა.

ვაჟის, ბაჟას, სიკვდილილა აკლდა ნადიას, რომ თავადაც ცოცხლად, ზეზურად მომკვდარიყო. ჩემთვის ბაჟას სიკვდილით გამოწვეული ტრაგედია ნადიას დადუმებაზე დიდი საშინელება როდი იყო!.. დუმდა მაშინაც, როცა კნუტი მის მახლობლად კნავილით ითხოვდა ჭამას. წამოდგებოდა და სამზარეულოსკენ წავიდოდა, რომ ფუსი დაეპურებინა, ისიც ჩუმად მიჰყებოდა უკან, თითქოს მათ შორის ურთიერთგაგებას დედაჩემის დუმილი სულ არ უშლიდა ხელს.

ჩემი ძმა დედაჩემს ჰქონდა – სახის ფორმით, თვალებით, კანის ფერით, ყურზე დიდი ხალიც კი მისგან ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული, ოლონდ ტანი და სიმაღლე მამაჩემისა ჰქონდა. მე კი ნაჰილის სახე და მუქი კანი მერგონილად, მისივე ფართო, შავი თვალები. დედისგან მხოლოდ თხელი, ზომიერი აღნაგობის ტანი მქონდა. ბაჟა გამორჩეულად ნადიას შვილი გახლდათ, თითქოს მისი ნაწილი იყო. მამაჩემი, რომელსაც ცხოვრებაში ჩემი ძმის მიმართ თბილი გრძნობები არ გამოუმუდავნებია, მის დაკრძალვაზე ხმით ტიროდა, შემდეგ კი გაგიჟდა. შესაძლოა, მისი სიგიჟის მიზეზი ჭურვის ნამსხვრევი კი არ იყო, რომელიც თავში შეეჭრა და იქ დარჩა, არამედ ის, რომ ჩემი ძმა მანამდე გარდაიცვალა, სანამ მამას მის მიმართ სიყვარულის გამომხატველი სიტყვა დასცდებოდა.

ხმაამოუღებელი, უტყვი დედაჩემი, ვხედავდი, როგორ დუმდა, როცა ჩემი

¹ ჰასბაია – ლიბანში, ჰერმონის მთის ძირში მდებარე პატარა დასახლება.

ძმა მოკლეს. მე კი ნუთუ ჩემი ძმის სიკ-
ვდილს ველოდი დედაჩემის დუმილის
გასაპროტესტებლად?!.. სალამამ ჰამზა-
საგან სახლი მიიღო მემკვიდრეობით; ბა-
ჰა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო, სალა-
მასგან იმემკვიდრებდა სახლს; მე კი ნუ-
თუ დუმილი უნდა მიმეღო ნადიასგან
მემკვიდრეობად?!.. ახლა, ბაჰას სიკვდი-
ლით მე სახლიც მერგება მემკვიდრეო-
ბით, მაგრამ როგორ შეიძლება ქალმა,
რომელსაც ქალისაგან ლაპარაკი არ უს-
წავლია, სახლი მიიღოს მემკვიდრეო-
ბით?!.. მხოლოდ ახლა ვხვდები, როგორ
ვგავარ ნადიას. ამდენი უნდა მემოგზაუ-
რა, ეს რომ გამეგო. ამ მსგავსებას ვერ
ვაცნობიერებდი ვერც ჯორჯთან ყოფნი-
სას, ვერც კრისთან და ვერც ჩემს ინდო-
ელ ექიმთან. ეს მხოლოდ მაშინ დავინა-
ხე, როცა კალამი და ფურცელი ავიღე
ხელში და წერა დავიწყე – დავიწყე იმის
წერა, რაზეც წლებია, ვდუმდი.

„დღეის იქით აღარ მეტკინება!“ –
დამიწერია მაშინ. თითქოს ტკივილი ჩემ-
ში ფარაონივით მუმიად იქცა. არადა,
ტკივილი გარდაუვალია, ის ჰეგავს ჰაერს,
რომელსაც ვსუნთქავთ და რომელიც
დიდი რაოდენობით გვჭირდება, რადგან
ძაფივით წვრილი ჰაერის ნაკადით ვერ
გავძლებთ, ვერ ვიცოცხლებთ.

ნადიას ავსტრალიაში ვურეკავ. ვე-
კითხები, სალამა როგორაა. სულ რამდე-
ნიმე სიტყვით მელაპარაკება, შემდეგ
კვლავ დუმილს ეძლევა. კვლავ იწყებს
ჩემთან საუბარს, ოღონდ ინგლისურად,
– ენაზე, რომელიც სრულყოფილად
მხოლოდ ავსტრალიაში ჩასვლის შემდეგ
ისწავლა. დიდხანს მელაპარაკება. მისი
ხმით ასე მგონია, თითქოს ქრონიკული
დაავადებისგან განიკურნაო.

აქ ოლგას სხეულს კიბო ედება, იქ
დედაჩემის ენა დუმილია – მშობლიური
ენა დევნილობაში. საუბარი დაიწყო,
მაგრამ სხვა ენაზე. ტელეფონს მომ-

სკდარი მისი სიტყვები ხელს არ მიშლის,
ვიფიქრო, რომ დუმილი დედაჩემის სუ-
ლის კიბოა. მისი დუმილი არ არის უბ-
რალოდ დუმილი, არამედ მშობლიური
ენის ამპუტაცია და უქონლობაა. აი, ასე
ვხედავ არაბულ ენაზე დედაჩემის დუ-
მილს – ამპუტირებული, ნაკლოვანი ქა-
ლის დუმილს. რამდენჯერ დამსიზმრე-
ბია! ჩემს საოცნებო სიზმრებში ის ძლი-
ერი ქალი იყო, რომელიც სამყაროს აუ-
ჯანყდა, ველოსიპედს მოახტა და გაბრა-
ზებული სწრაფად მიაქროლებს მას
ფართო ქუჩაში. ეს ჩემი სიზმარი მაშინ
გამახსენდა, როცა ბოლოს დავურეკე.
ჩემი სიზმარი თითქოს რეალობად ქცეუ-
ლიყო.

ნადიამ ადელაიდაში თავის სამუშა-
ოსა და ბაჰას ასაკის ახალ ემიგრანტებ-
ზე მიამბო. ბოლოს და ბოლოს, შეძლო
ბაჰაზე რამე ეთქვა თავის ახალ ენაზე.
ამ სიტყვებში იმედიც იმდენივე იყო,
რამდენიც მწერალება. პირველად ვიტი-
რეთ ერთად – მე და დედაჩემმა.

ჰამზას სენტენციებში სულ ბრძა-
ნებითი კილოს ზმნები იყო. ქვებზე წერ-
და, ამოატვიფრინებდა ხოლმე. არ მეს-
მოდა ის შეგონებები, კარებზე რომ იყო
გრავირებული. ნადიასაც არ ესმოდა.
ჰამზა ამბობდა, რომ ეს სახლისა და
ოჯახის დამცავი წარწერები იყო და
ხუთშაბათობით, სალამოს თავყრილო-
ბებზე ხალხის წინაშე იმეორებდა ხოლ-
მე. კითხვა ჰამზას უფრო ძლიერს წარ-
მოაჩენდა, ვიდრე სინამდვილებში იყო. ეს
სიტყვები დედაჩემს კიდევ უფრო მდუ-
მარეს ხდიდა. ალბათ ამიტომაც ბევრმა
ირწმუნა, რომ სიტყვით გამოსვლები
მხოლოდ კაცებისთვის იყო – სიტყვის
წარმოთქმა და წერა კაცების საქმე იყო!
ქალებს კი ამის უფლება არ ჰქონდათ.

ნუთუ ნადიას დუმილი აქედან და-
იწყო?.. თუ კიდევ უფრო ადრე, მის და-
ბადებამდე... მას მერე, რაც ეს სენტენ-

ციები ქვაზე წარუშლელად ამოიკვეთა?.. გრავიურა, ამოჭრილი არაბულ ენაზე, ამოტვიფრული ქვაზე, სხეულზე, მის სხეულზე, შემდეგ უკვე ჩემს სხეულზე... როგორ წავშალო ეს სიტყვები, როგორ შევცვალო, როგორ გავხადო ისინი ჩემს წარწერებად, დედაჩემის წარწერებად?!..

* * *

იმ უბანში, სადაც ჩვენი სახლია ზოკაკ ალ-ბლატზე, ვერავინ ვიპოვე ნაცნობი... აღარც ანქინეა აქ, სომეხი ქალი, ვისაც მებრძოლები შეუცვივდნენ სახლში, მის ქმარს სცემეს და ორივეს თვალწინ გაუძარცვეს სახლი ხალიჩებისა და ანტიკვარული ნივთებისგან. ანქინეს იმ დროს არაფერი უთქვამს, მიუშვა ისინი ეძარცვათ, იმ იმედით, რომ, როგორც თავად თქვა, ეგებ გამძლარიყვნენ. „ჯიბრაილის ბანდამ გაძარცვაო ჩემი სახლი და ხალიჩები,“ – გაუთავებლად იმეორებდა. რაღაც დროის შემდეგ, როცა ჯიბრაილის ვაჟი მოკლეს ბეირუთში დანაღმული მანქანის აფეთქებისას, ანქინე ამბობდა: „ღმერთმანი!.. სხვისი უბედურება არ მახარებს, მაგრამ ნახეთ, რა დაემართა მის ვაჟს!“ დიდი ჭალები, რომელთა გატანა მძარცველებმა ბინის საკმაოდ ფართო კარიდანაც კი ვერ მოახერხეს, აივანზე გაიტანეს და მეორე სართულიდან ძირს გადაყარეს. ბროლის პატარა ნამსხვრევები მზის სხივებივით გაიბნა და მიმოიფანტა. როცა ერთ-ერთმა მეზობელმა მათი შეჩერება სცადა და უთხრა: „რა აზრი აქვს ასეთ წალებას, თუკი ჭალებს აივნიდან გადაყრით და დაამსხვრევთ, ხეირი ხომ მაინც არაფერი გექნებათო“, მძარცველებმა პასუხად ისიც ასწიეს და აივნიდან ძირს მოისროლეს. კაცმა ფეხი მოიტეხა.

ბაყალმა, რომელსაც იმ შენობის ქვეშ მიუთვისებია მაღაზია, სადაც ანქინე ცხოვრობდა, თქვა, რომ არც გაუგია

ეს სახელი და გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ ქალს შეიძლებოდა სახელად ანქინე რქმეოდა. ბაყალი ომის დროს დაბადებულთა თაობას ეკუთვნოდა და მისთვის ნაცნობ და ჩვეულ სახელთა სია მოკლე იყო, მხოლოდ ერთი რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარი ხალხის სახელებს არ სცდებოდა.

ანქინე ბებიაჩემის მეგობარი იყო და ხშირად სტუმრობდა მას მთაში, კვირები რჩებოდა იქ, განსაკუთრებით, ბეირუთში მწველი სიცხეების დროს. „არაფრის კეთება თქვენ არ იცით. მოვედით, რომ გასწავლოთ,“ – იტყოდა ხოლმე ანქინე და ამ სიტყვებს მაშინ იმეორებდა, როცა ხედავდა, ოლგა როგორ აკეთებდა მაკარონს, დესერტს, რომლითაც ის იყო სახელგანთქმული. „თქვენ მხოლოდ პურის ცხობა იცით!“ ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, ანქინე მეხსიერებას არ უჩიოდა და მოგონებები ცოცხლად ჰქონდა შემონახული. ყოველთვის, როცა წინ ჩამოვუჯდებოდი, ვთხოვდი, მისი ლიბანში ჩამოსვლის ამბავი მოეყოლა იმ მასობრივი ხოცვაულეტის შემდეგ, რომელსაც უამრავი სომეხი შეენირა თურქეთში.

ანქინე ლიბანში 1921 წელს ჩამოსულა, როცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მთელი მსოფლიო ხელახლა ლაგდებოდა. ანქინე თხუთმეტი წლისა იყო, როცა მშობლებთან ერთად ლიბანში მოხვდა. ოჯახს იერუსალიმში სდომებია წასვლა და იქ საბოლოო ადგილსამყოფლის დამკვიდრება, რადგან ნათესავები ჰყოლიათ იქ, მაგრამ ლიბანში დაფუძნებულან და ლიბანელებად ქცეულან. ოჯახს თურქეთში ყველაფერი დაუკარგავს. თურქეთის ჯარმა წაართვა მათ ყველაფერი, რაც კი სახლის დატოვებისას თან წამოუღიათ. ანქინე ყოველ ჯერზე ჰმადლობდა უფალს, რომ მამამისმა ოჯახი იერუსალიმში არ წაიყვანა,

რადგან 1948 წელს, არაბ-ისრაელის პირველი ომის დროს, ბევრმა სომეხმა პალესტინიდან ლიბანს შეაფარა თავი, მათ შორის, ანქინეს ნათესავებმაც, რომლებიც ანქინეს ოჯახთან, იმავე სახლში დასახლდნენ. ძალიან ცოტა სომეხი დარჩა საცხოვრებლად იერუსალიმში. უმრავლესობა ამერიკაში ან კანადაში წავიდა ემიგრაციაში, ან წასასვლელად ემზადებოდა.

ჩვენს მეზობლად მდებარე სახლი მეხუთე სახლია, რომელიც ანქინემ ბეირუთში ცხოვრების პერიოდში გამოიცვალა. როდესაც ოჯახთან ერთად ლიბანში ჩამოვიდა, თავდაპირველად ბეირუთის ცენტრში, დიდი თეატრის მახლობლად დასახლდნენ, შემდეგ კორნიშ ალ-მაზრა 'აზე' გადავიდნენ, სადაც მამამისმა საიუველირო მაღაზია გახსნა. ანქინეს მამა თურქეთში, კონიაში ოქროჭედელი იყო. წამოსვლისას ძვირფასეულობა იმ გადასაფარებლებში ჩააწყო, რომლებშიც ბავშვები იყვნენ გახვეულები – ანქინეს დედამ ორი სომეხი ბავშვი იშვილა, რომელთაც ოჯახები დაკარგეს; იშვილა იმიტომ, რომ ჯერ მატარებელში, შემდეგ კი გემზე მათი აყვანა შეძლებოდა და თურქეთის ჯარისთვის მათი ჩამორთმევა არ დაენებებინა. შვილად აყვანა სწრაფად მოხდა – ანქინეს დედამ ბავშვებს უთხრა: „მე ვარ დედათქვენი!.. იცოდეთ, ეს ერთადერთი პასუხია, რაც უნდა უპასუხოთ, თუ ვინმე ვინაობას შეგეკითხებათ“. როცა მატარებლით მერსინამდე² ჩააღნიეს, საიდანაც გემს უნდა გაჰყოლოდნენ ჯერ ლატაკიისა³ და შემდეგ ბეირუთისკენ, თურქეთის ჯარმანება არ მისცა, საპნები გემზე აეტანათ და ყველაფრის დატოვება აიძულეს, ამრიგად, ძვირფასეულობისაც, რომელიც

ამ საბნების გულში ჰქონდათ გამოკრული. სომხების ნაწილმა თავდაპირველად ბეირუთს შეაფარა თავი, შემდეგ კი ემიგრაციაში წავიდნენ, რადგან „ბეირუთი მეტისმეტად პატარაა“, – როგორც ანქინე იტყოდა ხოლმე; ჩიკაგოში, ნიუ-იორკსა და მონრეალში ამჯობინეს გამგზავრება. „ბეირუთი მეტისმეტად პატარაა“, – იმეორებდა ანქინე, თან მომუჭულ ხელს ამოატრიალებდა და გახსნიდა, ტუჩებსა და თვალებში კი თან შემწყნარებლური და თანაც ქედმალლური ლიმილი ჩაუდგებოდა. ამ ნათქვამით იმას გულისხმობდა, რომ ბეირუთი მუჭში ჩაეტეოდა, ისეთი პატარა იყო. სიტყვა „პატარა“ მისთვის ორ რამეს ნიშნავდა: პირველ ყოვლისა, იმას, რომ ყველა ყველას იცნობდა აქ და მას ყველა ისე უყურებდა, როგორც უცხოს, ემიგრანტს, „მუჰაჯიირს“⁴ – როგორც თავად ამბობდა; მეორეც, იმას, რომ ბეირუთი, როგორც სამრეწველო და კომერციული დედაქალაქი, ეპატარავებოდათ სტამბოლში დაბადებულ და ნაცხოვრებ სომეს ბიზნესმენებს, რომლებიც ისეთ კოსმოპოლიტურ ცხოვრებას იყვნენ შეჩვეულნი, მსგავსს იმ დროს ბეირუთი რომ ვერ შესთავაზებდა მათ, ამიტომაც მიდიოდნენ ემიგრაციაში დასავლეთის ქალაქებში.

ანქინე ალბათ იმ უმცირესობათაგანი იყო, ვინც თურქეთში სომეხთა ხოცვა-ულეტას ცოცხლად გადარჩენილი, ბეირუთში ჩამოვიდა და აქ დარჩა მეორე საუკუნის ბოლომდე. ის მასზე თექვსმეტი წლით უფროს სომეს კაცს გაჰყვა ცოლად და შვილები არ გასჩენია. როდესაც თურქეთიდან თავისი გადმოსახლების ისტორიას ყვებოდა ხოლმე, ანქინე ამბობდა, რომ სმენია, მისი წამოს-

¹ კორნიშ ალ-მაზრა 'ა – ბეირუთის სანაპირო უბანი.

² მერსინი – თურქეთის საპორტო ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

³ ლატაკია (არაბ. ლაზიკია) – სირიის საპორტო ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

⁴ მუჰაჯიირ (არაბ.) – გადასახლებული, ემიგრანტი.

ვლის შემდეგ სტამბოლი, – თუ „კონსტანტინოპოლი“, როგორც მას უყვარდა ამ ქალაქის მოხსენიება, – ათიოდეჯერ გადაიწვა. ანქინეს ბოლომდე სჯეროდა, რომ ეს ხანძრები უფალმა მოუვლინა მისი და მისი ოჯახის გამო შურის საძიებლად. „ეს, ჩემო ძვირფასო, ღვთის რისხვაა!“ – მეტყოდა ხოლმე დამტვრეული სომხური აქცენტით, მაგრამ თვითონ სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ უნაკლოდ ფლობდა არაბულს და თავისი ნათქვამის ჩემთვის გასაგებინებლად რამის ახსნაზე თავის შენუხება საერთოდ არ სჭირდებოდა.

მოპირდაპირე შენობაში ხალხს ვერც სახეზე ვცნობ და არც სახელებით ვიცნობ. არც ისინი მიცნობენ. სახლები შეიცვალა როგორც გარედან, ისე შიგნიდან. მხოლოდ ერთი ქალიღა, ივეტი, დარჩენილა ჩვენი სახლის მოპირდაპირე კორპუსის მეორე სართულზე, მისი ძმა კი კანადაში წასულა ემიგრაციაში ჩვენი გამგზავრებიდან ერთ წელიწადში. „ადგილი აღარ დაგვრჩაო აქ,“ – ამბობდა ხოლმე ივეტი ჩემს გამგზავრებამდე. ახლა რომ დამინახა, აღარ გაუმეორებია, რასაც ადრე მეუბნებოდა ხოლმე აქედან წასვლისა და ემიგრაციის სურვილზე. გაოგნებისგან პირი დააღო. „მემო, საყვარელო, ეს შენა ხარ?!.. ხალხი აქედან მიემგზავრება და შენ უკან რამ დაგაბრუნა?!..“ – შემდეგ კიცხვის გამომხატველი ღიმილით განაგრძო: „ეს იმას ჰელვე, ვიღაც საპილიგრიმოდ რომ მიდის, ამ დროს კი ხალხი უკან ბრუნდება“.

შენობის უკანა მხარეს ფორთოხლისა და ლელვის ხეები გადამხმარიყო. მხოლოდ ბებერი ბრონეული იდგა ისევ, შენობის სხვადასხვა ზომის ხვრელებით დამსკდარ კედელს ოდნავ მიყრდნობოდა. ივეტი ამბობს, რომ ახალგაზრდა მილიციელებმა მწვანე ტოტის ნასახი არ

დატოვეს სამეზობლოში. ცეცხლის შენყვეტის პერიოდებში ისინი იარაღს ხეთა ტანებს უმიზნებდნენ და ისე ცელავდნენ, როგორც ადამიანთა სხეულებს. ხე რომ აღარ დატოვეს, გარშემო კედლებს მიადგნენ და ხანდახან ქუჩაში გამვლელებსაც კი ამოიღებდნენ ხოლმე მიზანში, ვისაც კი დაინახავდნენ ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში.

კი მაგრამ, სად გაქრა ის ხალხი, ვისზეც ივეტი ყვება?!.. სად არიან?.. რატომ არ ჩანან და არაფერს ამბობენ?!.. რატომ არ მაგებინებენ, რა მოხდა?!.. სად გაქრა ის, ვინც დაიკარგა და ვინც მოკლეს, რატომ და როგორ მოკლეს?!.. სად არიან ისინი, ვინც ომის სასაკლაოებს აწყობდა?!..

თითქოს მიწამ უყოთ პირი – დედამიწამ შთანთქა დამნაშავეც, მოწმეცა და მტკიცებულებაც. „ყველანი ისევ აქ არიან!“ – ამბობს ივეტი გაფიცხებით, – „მაგრამ შენ მათ ვეღარ იცნობ, სახე იცვალეს, სხვანი გახდნენ და აკრძალულია, გავიხსენოთ ან თუნდაც გავახსენოთ მათი ძველი სახეები!“

თითქოს აქ აღარაა მათი ადგილი, ვინც მდუმარედ შეესწრო ბეირუთის გარდაცვალებას... არც მათი ადგილია, ვინც ბეირუთში სიკვდილს გაექცა... არც მათი, ვინც დაბრუნდა დაკარგული ხსოვნის მოსაძებნად... ბეირუთმა სევდიანად მიუხურა მათ კარები. მაშ, როგორ შევიდე ბეირუთში, როგორ დავუბრუნდე მას, როცა მე სულ ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდივარ?!..

* * *

ნური დაბრუნდა ამანიდან. საღამო დგებოდა და წამოწოლილი წიგნს ვკითხულობდი. ჩანს, ჩამთვლიმა, რადგან მას კართან მოუწია ცოტა ხანს ლოდინი, სანამ ზარის ხმას გავიგონებდი და საწოლიდან წამოვდგებოდი. კარი რომ გავა-

ღე, დავინახე, როგორ იდგა კედელს მიყრდნობილი, ლამის ჩემი ნახვის იმედი დაეკარგა. თან ჰქონდა მკვდარი ზღვის მარილის პაკეტები, რომლის ჩამოტანაც მე ვთხოვე. მითხრა, რომ შეწყვეტდა ფესვების ძიებას. ეს ისე თქვა, თითქოს გული ყელში ებჯინებოდა და ტირილს აპირებდა. ხელმოცარული და იმედდაკარგული ჩანდა, რომ მისი ოჯახის რომელიმე წევრს ცოცხალს იპოვიდა. ჩანს, იმის გაცნობიერებაც დაეწყო, რომ საშიში იყო იმედის ქონა ბეირუტში და მისი ძებნაც ამაო იყო.

ჯერ ისევ ნახევრად მეძინა და ცუდ ხასიათზე ვიყავი, როდესაც ერთად გამოვედით. არც მისი მოსვლისთვის და არც ასე მოულოდნელად მისი ნახვისთვის მზად არ ვიყავი. არც ფესვების საძებნელად მოგზაურობით მისი იმედგაცრუების მოსასმენად ვიყავი მზად, რაც იმ კონკრეტულ მომენტში ჩემთვის დიდს არაფერს ნიშნავდა. კარი ისე გავალე, სარკეშიც კი არ ჩამიხედავს, რომ დამენახა, როგორ გამოვიყურებოდი იმ მომენტში, ის რომ შემომხედავდა. ისეთი გრძნობა ამეკვიატა, თითქოს ამ სტუმრობით მან დამაღალატა და ჩემი ინტიმური სივრცე დაარღვია, ძალით შემოვიდა იქ, სადაც არ მსურდა მისი შეშება. ფეხით გაუუყევით ზღვის სანაპიროს შუქურისკენ. მან ლაპარაკი დაიწყო, მე კი არ მინდოდა საუბარი. მოულოდნელად, თითქოს ჩემს განზრახ გასაბრაზებლად, მითხრა, რომ დუმილი დედაჩემისგან მქონდა მემკვიდრეობით მიღებული, – დედაჩემისგან, რომელსაც ცხოვრებაში არ შეხვედროდა და მხოლოდ ჩემი მონაყოლით იცნობდა! ეს მითხრა და იქვე, ზღვის პირას, კორნიშზე მდებარე ყავახანაში მიმიპატიუა, რადგან უინულვლა დაიწყო.

ნურმა მოინდომა, ღამით ჩემთან დარჩენილიყო. ამანში ხელმოცარული ვიზიტის შემდეგ შინ წასვლა და ლამის

მარტო გატარება არ სურდა. მაისური მივეცი, რომ ჩაეცვა. თავდაპირველად ის კრისის მაისური იყო, რომელსაც, ჩვეულებრივ, ძილისას ვიცვამდი, რადგან მოხერხებული იყო და მისი ბამბის ქსოვილი შეხებისას სასიამოვნო გრძნობას ტოვებდა. ჩანდა, ზუსტად ჰქონდა, ისევე, როგორც კრისს – ისინი დაახლოებით ერთი ზომისანი იყვნენ, ერთი ეგაა, ნური ოდნავ დაბალი იყო. დიდი ყურადღება არ მიმიტევია იმ ფაქტისთვის, რომ მას იმ კაცის მაისური ეცვა, რომელსაც იმ მომენტში ჯერაც ჩემი ქმარი ერქვა. ეს ამბავი მარტივად და ბუნებრივად მეჩვენებოდა.

„მინდა, ჩემს ქვეყანაში დავბრუნდე!“ – მითხრა იმ მომენტში, როცა ასანთს ვეძებდი სიგარეტისთვის მოსაკიდებლად. ის კი კვლავ იმეორებდა, რომ თავის ქვეყანაში უნდოდა წასვლა. ამ სულელმა არ იცოდა, რომ მე მინდოდა, ვყოფილიყავი მისი ქვეყანა...

დილით, როდესაც ქუჩაში შემხვდა, ჩემი ბინის დატოვებიდან სულ რამდენიმე საათში, ვერც კი დავიჯერე, რომ ეს იგივე კაცი იყო! ის ნური, რომელიც ჩემს საწილში იწვა მთელი ღამე. მძიმედ მიაბიჯებდა, მთელი სამყაროს მიმართ უნდობლად განწყობილი. ისე შეშფოთებით იყურებოდა გარშემო, თითქოს დაკარგულ იმედს ეძებსო. „ნურ!.. სალამი!..“ – დავუძახე მოპირდაპირე ტროტუარიდან. ხმა კი გაიგონა, მაგრამ მალევე არ გამოუხედავს. წამები დასჭირდა, სანამ ყურადღებას მომაქცევდა და თავს ჩემკენ ოდნავ მოატრიალებდა. მსუბუქი გაკვირვება გამოესახა და უცებ შორიდან, სახეზე ღიმილგადაფენილმა მითხრა: „ოჳ, სალამი!.. ეს შენ ხარ?!“ შემდეგ მიხვდა, რომ მისი ეს ფრაზა მთლად შესაფერი არ იყო იმ წყვილისთვის, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ სიყვარულის სარეცელს იყოფდა და

ტუჩების გამოკვეთილი მოძრაობით, უფრო დაბალი ხმით დაამატა: „შენ ჩემი სიყვარული ხარ!..“ უცნაურად მომეჩვენა მისი ასე, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს დგომა.

მის ჩრდილს ვერ ვხედავდი. რამდენიმე წუთი გავიდა და მე ისევ მის ჩრდილს ვეძებდი მის ზურგსუკან.

ზუსტად შუადღე იყო. ის ჩემს მოპირდაპირე მხარეს იდგა შუადღისას საათის ისრებივით ასწორებული. ვფიქრობდი ყველაფერზე, რაც კი ერთად გვიკეთებია – საწოლზე, რომელიც გვაერთიანებდა; სექსზე, რომელსაც დიდხანს სიამოვნებით ვეძლეოდით და ის არც ღმერთთან ზეცად ასვლას ჰგავდა და არც ჯოჯოხეთის ქვესკნელში ჩაშვებას, არამედ რაღაც სხვა იყო, შესაძლოა, რაღაც შუა ამ ორ მდგომარეობას შორის... ვფიქრობდი ვნებისალმძვრელ, ცეცხლოვან, აგრესიულ, პირველყოფილ ცხოველურ სიტყვებზე, ერთმანეთს რომ ვუცვლიდით... დაუსრულებლად ბევრ მოქმედებაზე... იმ წუთას კი საერთოდ აღარ ვიცოდი, ეს მომენტი ჩვენ შორის როგორ აღმენერა – თითქოს რაც ჩვენ შორის მოხდა, სიზმრად ქცეულიყო, არარეალურ ამბად, დროის მიღმა მომენტებად, მეხსიერებასაც კი რომ გაუჭირდებოდა მათი აღდგენა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები გავცვალეთ ქუჩის აქეთ-იქით მხარეს მდგომებმა, თითქოს იმ მძიმე ტვირთს ვიყოფდით, რომ არ ვიცოდით, სად წაგველო – მძიმე ტვირთს, რომლის მოშორებაც ორივეს გვინდოდა. უცნაურმა გრძნობამ წამომიარა იმ წამს – მისი სიტყვები, შესაძლოა, მის შინაგან მდგომარეობას ასახავდნენ, მაგრამ მის გულშივე რჩებოდნენ, იქ რჩებოდნენ და სააშკარაოზე არ გამოდიოდნენ. ეს სიტყვები კი უნდა ყოფილიყო: „რა მძიმე და

რთული გასატანია ეს ცხოვრება!“

ბეირუტში ვერაფერი ვიპოვე, – გავიფიქრე, – მხოლოდ თანამგზავრი აღმოვაჩინე დაკარგულობაში სამოგზაუროდ.

* * *

ჩემი ძმა პაპა მოკლეს და მისი ტრაგიკული დაღუპვიდან ორ წელიწადზე ნაკლებში გამოვნახეთ გზა ლიბანიდან გასაღწევად. ამ ორ ამბავს შორის კი ბევრი რამ მოხდა. მათში უპირველესი ბებიაჩემ ნაჰილის მცდელობა იყო, თავისი ვაჟი სალამა მეორედ დაექორწინებინა ოჯახისა და მემკვიდრეობის სახელით, რომ „სახლი ლია დარჩენილიყო და არ გამოკეტილიყო,“ – როგორც გამუდმებით იმეორებდა. ნაჰილს რამე ფორმა უნდა გამოეძებნა, რითაც პირველ რიგში ნადიას დაიყოლებდა თავის გეგმაზე. მამაჩემის ხელმეორედ დაქორწინება ჯერ ნადიასთან გაყრას ნიშნავდა, რადგან ჩვენს რელიგიაში, მიუხედავად იმისა, რომ საქორწინო კანონი თეორიულად ჰანაფიტურ მოძღვრებას¹ მისდევს, დაუშვებელია ერთ ქალზე მეტთან ქორწინებაში ყოფნა.

ნადიას არანაირი წინააღმდეგობა არ გამოუხატავს. არც დიდი სახლი დაუტოვებია და თავისი ერთადერთი ძმის, იუსუფის, ავსტრალიაში გამგზავრების შემდეგ გამოკეტილ ოჯახურ სახლს არ დაბრუნებია. თავისი ქმრის ქორწინებას თითქოს თამაში იყო მისთვის და სხვა არაფერი. ხელი ისე აიქნია, თითქოს ეს ამბავი სულერთი იყო მისთვის. სამაგიეროდ, ბებიაჩემი გაუთავებლად ლაპარაკობდა, თითქოს ნადიას დარწმუნებას ცდილობდა ყველა იმ მიზეზში, რამაც ამ საქმისკენ უბიძგა. დედაჩემს კი აღბათ არავინ და აღარაფერი აღარ სურდა – ის თავის თავში ჩაკეტილ და დაგმანულ

¹ ჰანაფიტურ მოძღვრება – ისლამური სამართალმცოდნეობის სუნიტური მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი სკოლა.

ადამიან-სკივრად გადაიქცა. მისთვის საკმარისი იყო, მთელი დღე ჩემი ძმის საწოლზე მჯდარიყო და მისი უამრავი ფოტოსურათი თვალმოუცილებლად ეთვალიერებინა. ასევე კმაყოფილდებოდა იმით, რომ თავის ძველ წიგნებს მიპრუნებოდა, მზითევთან ერთად რომ მოიტანა ახალ სახლში მამაჩემზე ქორწინების შემდეგ. სალამასა და ნადიას განქორწინება არ შედგა – მამაჩემი სუნიტური წესით დაქორწინდა. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ნაპილი იძულებული გახდა, ეს გამოსავალი აერჩია, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნე იყო, – გამოსავალი, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს დიდ სანათესაოში, განსაკუთრებით, კაცებში.

ნაპილმა ოცდაათს ოდნავ გადაცილებული ქალი ჩამოიყვანა იორდანიიდან, სადაც ბებიაჩემის ნათესაობის უმეტესობა ცხოვრობდა. ქალი ქვრივი იყო, რომელსაც ქმარი იორდანის 1970 წლის მოვლენებში დაეკარგა პალესტინელი ფედა'ინებისა¹ და იორდანის ჯარის შეტაკებისას. ბებიაჩემმა სალამა და ეს ქალი პატარძლის ჩამოსვლის დღესვე დაქორწინა. შიშობდა, ქალს არ გადაეფიქრებინა, როცა სალამას ახლოდან ნახავდა და გაიგებდა, თუ როგორ ავად იყო. მოუწია ყველასთვის, ვინც იმ დღეს სასამართლოში იყო, ფული ჩაეჩარა, რომ ეს საქმე სწრაფად დაესრულებინა. ასე უთხრა ოლგას.

როდესაც შეიხმა წყვილის ქორწინება გააფორმა, ნაპილმა პატარძალი შინ წამოიყვანა, მისაღებ ოთახში შეიყვანა, ხელი ჩავლო და მამაჩემზე ანიშნა, რომელიც მათზე ადრე შესულიყო ოთახში, იდგა და თვალმოუშორებლად მიშტერებოდა ჩემოდანს, მის ახალ ცოლს რომ მოეტანა და დივანთან მიედ-

გა. ბებიაჩემმა ახალ რძალს მიმართა: „მიდი!.. ეს შენი ქმარია!.. იცოდე, ბიჭი გვინდა ცხრა თვის შემდეგ!“ ეს ყველაფერი ნადიას იქ ყოფნაში და მის თვალნინ ხდებოდა. ჩვენი დიდი ოჯახიდან არავინ დასწრებია სალამას ქორწინებას, მხოლოდ ოლგა იყო და პატარძლის ძმა, რომელიც იორდანიიდან ჩამოჰყოლოდა, მიუხედავად აშკარა კოჭლობისა და ფეხის ტკივილისა, რაც აიძულებდა, მუდმივად მჯდარიყო.

ოჯახის ვერცერთმა კაცმა ვერ აიტანა ნაპილის საქციელი. ისინი ამბობდნენ, რომ „ის იმდენს იღებდა საკუთარ თავზე და ისე ამცირებდა მათ თავისი თვითნებური საქციელით“, თითქოს ოჯახში კაცი აღარ იყო დარჩენილი. ისიც თქვეს, რომ ჰამზამ ვერაფრით შეძლო, ეს ქალი დისციპლინისთვის მიეჩინა და რომ სალამაც ალბათ სწორედ მისი მიზეზით გაგიჟდა და არა თავში ჭურვის ნამსხვრევის მოხვედრის გამო.

ოჯახის ქალებმა თქვეს, რომ ეს დღე უბედურებას მოიტანდა და ნაპილმა დააშავა, ეს რომ გააკეთა. ისიც თქვეს, რომ ამ გამომწვევი საქციელით მან შემოქმედის ნებას გადააბიჯა – ჩვენს სახლს რომ სწერებოდა ოჯახის სახელის მატარებელი და გვარის გამგრძელებელი მემკვიდრე კაცის დარჩენა, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა; თუმცა ნაპილს არავისი აზრისთვის ყური არ უთხოვებია, ის არც არასოდეს უსმენდა მათ. წყვილი ოთახში შეიყვანა და კარი გამოუხურა. ოჯახის კაცებიდან ვერავინ გაბედა, ნაპილისთვის ჩადენილისთვის ანგარიში მოეთხოვა – ეს იმიტომ, რომ ყველას ეშინოდა მისი წყევლისა, რომელიც ყოველთვის ახდებოდა ხოლმე.

ოთახში შესული სალამა, რომელიც ვერ მიმსვდარიყო, მის თავს რა ხდებო-

¹ პალესტინელი ფედა'ინები (არაპ. პარტიზანები, თავის მსხვერპლად შემწირავები) – პალესტინის ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლი პალესტინელთა შეიარაღებული დაჯგუფება, პალესტინელები მათ თავისუფალ მებრძოლებად მიიჩნევენ.

და, ჩამოჯდა, ქალმა კი ამ დროს ტან-საცმელი გაიძრო, მამაჩემი საწოლზე დააგდო, თვითონ ზემოდან შემოაჯდა და უთხრა: „დედაშენს ბიჭი უნდა და მეც აქ ამისთვის ვარ!.. მიდი!..“ ქალი მამაჩემთან სამი დღე დარჩა ოთახში და თვალი არავის მოუკრავს მათთვის, გარდა იმ წუთებისა, როცა რომელიმე მათგანი საპირფარეშოში გამოვიდოდა. ნაპილი ოლგას ხელით გამუდმებით უგზავნიდათ სინით აფრიდიზიაკებს – საჭმელს, საუზმეულს, უმ ლორსა და ტკბილეულს. თვითონ კი ამ დროს აივნის მახლობლად დარბაზში იჯდა და გაუკვევლად, ბუტბუტით ლოცულობდა, სიბრძნის წიგნის¹ გარეშე. უფალს ხან სალამას განკურნებასა და საღ აზრზე მოსვლას შესთხოვდა, ხანაც ბაჟას სულისთვის ლოცულობდა, ბაჟასი, რომელიც ძლიერ სწამდა, რომ მეორედ დაიბადა აქვე, ჩვენგან არცთუ ძალიან მოშორებით. ხანდახან სიბრძნის წიგნს გადაშლიდა და ალაჟს მიტევებას ევედრებოდა, ამბობდა, რომ დიდი ცოდვები აქვს და სალამას უბედურებების მიზე-ზიც სწორედ ისაა. ნაპილს სჯეროდა, რომ მის წყევლას გარშემომყოფთა ბეჭ-ზე დიდი გავლენა ჰქონდა. ვინც მას იცნობდა, მათაც ასე სჯეროდათ. ლოცულობდა სალამასთვის, რომ მას კვლავ ჰყოლოდა შვილი, თუმცა ისიც სწამდა, რომ წარსულში ჰამზას მისამართით მის მრავალ წყევლას თავისი ნაყოფი გამოეღო.

„ალაჟიმც ამოწყვეტს შენს შთამო-მავლობასო“, – უთქვამს ჰამზასთვის, როცა მისი ღალატის ამბავი შეუტყვია. ცოლქმრული ღალატის ამბავი კი მისი შეცვლილი სუნით გაუგია, რომელიც ჰამზას უნინდელ სუნს აღარ ჰგავდა.

„რა ამბავშია?!.. ჯერ იყო და ბაბუ-აშენს წყევლიდა და გვარის გამგრძე-ლებლის ამოწყვეტას უსურვებდა, როცა

ახდა, რაც უნდოდა, ახლა მამაშენს აქორწინებს, რომ ვაჟი გააჩენინოს?“ – მეუბნება ოლგა ჩუმი ხმით. ნაპილის საქციელს აპროტესტებს, მაგრამ მხო-ლოდ ჩურჩულით. თავს ურწმუნოდ აქ-ნევს აქეთ-იქით, არ სჯერა, რაც ხდება.

მაგრამ არც ნაპილის ლოცვებმა და არც მამაჩემის განმარტოებამ იმ ქალთან არანაირი შედეგი არ გამოიღო. ვერაფერმა უშველა, ქალი არ დაორსულებულა. ნაპილი მთელი წელი განუწყვეტ-ლივ ოხრავდა და ყველას გასაგონად იმეორებდა თავის ცნობილ ანდაზურ გამონათქვამს, რომლითაც სახელი გაითქვა: „კურთხეულია სახლი, რომელსაც ჰყავს გვარის გამგრძელებელი შთამო-მავლობა!“ თითქოს ბაჟას სიკვდილმა უეცრად გამოაფხიზლა და გააცნობიერებინა, რომ ის ერთადერთი მემკვიდრე იყო და მისმა სიკვდილმა ჩვენი სახლის კარი სამუდამოდ გამოკეტა.

ნაპილს ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მამრობითი სქესის მემკვიდრე ჩვენს ოჯახს აღარ ჰყავდა. ვერ უშვებდა იმ აზრს, რომ საბოლოოდ მხოლოდ მე მივიღებდი ყველაფერს მემკვიდრეობით. ბუნებრივია, იცოდა, რომ კრისთან ქორწინებაში ვაჟი არ მეძლეოდა, თუმცა არაფერი იცოდა იმ ემბრიონზე, ჩემს გამგზავრებამდე დოქტორ ადამის კლინიკაში რომ გამომიღეს შიგანიდან და იქვე გადააგდეს.

„ჩემო გოგონა, გინდა, ინგლისელებს დარჩეთ ჩვენი მემკვიდრეობა?“ – მეკითხებოდა ჩემი დაბრუნების შემდეგ და თან ოლგას დახმარებით საწოლიდან გადმოსვლას და კარადის მიმართულებით გავლას ცდილობდა. კრისთა და წინა ორი ქორწინებიდან მის შვილებს გულისხმობდა. ამას მეუბნებოდა და მირჩევდა, სახლი მამაჩემის მამრობითი ნათესავებიდან რომელიმეს სახელზე დამეწერა. იმ ჩიხმაც კი, რომელშიც ნაპი-

¹ სიბრძნის წიგნი – დრუზების საღვთო წიგნი.

ლი იყო მოქცეული მამრობითი მემკვიდრის ძებნაში, – როცა სურვილის მიუხედავად, შეუძლებელი იყო ასეთი მემკვიდრის პოვნა, – ვერ დააბრკოლა, მო-ეცა ჩემთვის ის, რაც ჩემი იყო.

კარადის უჯრა გამოხსნა და იქიდან ბრინჯაოსფერი გასაღებების საკიდი ამოილო, ზედ დაკიდებული ხუთი გასაღებით. ხელწერილები და საბუთებიც ამოაწყო. გადმომცა და დიდი მწუხარებით მითხრა, რომ ერთადერთი მემკვიდრის, ბაჲას, სიკვდილისა და სალამას გაგიუების შემდეგ ზოკაკ ალ-ბლატის სახლი ახლა ჩემი საკუთრება იყო. მითხრა, რომ კვლავაც სალამას დაბრუნებას ელოდება. როცა მოვუყევი, როგორ იყო მამაჩემი ავსტრალიაში, მითხრა, რომ მე სიტუაციას ვართულებ და მისი გონებრივი მდგომარეობის აღწერისას ვაჭარბებ, ხოლო თუ ის აქ დაბრუნდება, აუცილებლად განიკურნება. აქ უკეთესი ექიმები არიანო, – ამბობდა, – როგორც კი აეროპორტის მიწაზე ფეხს დადგამს, მაშინვე გამოკეთდებაო. ნაჲილს არ უკითხავს ჩემთვის, რის გაკეთებას ვაპირებდი, მინდოდა თუ არა ეს მემკვიდრეობა და რამეს ნიშნავდა თუ არა ის ჩემთვის. ბუნებრივია, თავში აზრადაც არ გაუვლია, მეუღლე მოეყვანა ჩემთვის, როგორც ეს მამაჩემს გაუკეთა და დავექორწინებინე, რათა ბიჭი შემძენოდა, ოჯახის გვარს რომ ატარებდა და სახლს უპატრონებდა. ათასი ბიჭიც რომ გამჩენოდა, ეს მაინც ვერასდროს მოხდებოდა!.. ჩემი ვაჟი ჩემს გვარს ვერ ატარებდა – ჩემი გვარი მისთვის თავიდანვე დაკარგული იქნებოდა, როგორც თავად მე დავკარგე ის ქორწინების შემდეგ. მე და ნაჲილს ნამდვილად მრავალი წელი გვყოფდა ერთმანეთისგან, თუმცა გვარისა და მემკვიდრეობის საკითხი ჩვენს განსხვავებულ დროებში კვლავაც ერთნაირი იყო – ახალგაზრდა ქალი ოჯა-

ხის სახლიდან ქმრის სახლში ისევ ცარიელ-ტარიელი მიდის, ყველაფერს მოკლებული, გვარსაც კი!.. ამრიგად, მემკვიდრეობის გადასაცემად ვაჟია საჭირო. შვილი ბიჭი უნდა იყოს, გოგოს ყოლა, თუნდაც ასის, არას გარგებს. ეს მხოლოდ ჩემს დროში კი არა, ყველა დროშია!.. მაგრამ ნაჲილი რატომ იყო ასე ვაჟი მემკვიდრით დაინტერესებული?!. განა თავად ქალი არ იყო?!.. ქალი საკუთარ ცოცხლად დამარხვას როგორ უნდა ემხრობოდეს და იცავდეს?!..

ნაჲილის ურთიერთგამომრიცხავი თვისებები მაცბუნებდა და მაბნევდა, თუმცა მის მიმართ გულში მაინც დიდ სიყვარულს ვინახავდი. განა ის არ იყო, მთელი სოფლის გოგოებს წერა-კითხვას რომ ასწავლიდა?!.. და ეს მაშინ, როცა თავადაც ყმანვილი ქალი იყო და ქალთა ფრანგულ სკოლაში პედაგოგობდა?! ჩაკეტილ საზოგადოებაში, სადაც მამის-თვის ქალიშვილის სიკვდილი უფრო ადვილი გადასატანი იყო, ვიდრე მისთვის იმის თქმა, რომ მისი გოგო წერა-კითხვას სწავლობდა, სასურველის მისაღწევად გონივრული ხერხი მოიფიქრა და სამკერვალო სკოლა გახსნა, არადა, ნემსი და ძაფი ცხოვრებაში არ სჭერია ხელში. თქვა, რომ სოფლის გოგოების-თვის სახლის საქმეები და საყოფაცხოვრებო საკითხები უნდოდა ესწავლებინა, მათ შორის, კერვაც. კერვა ერთ-ერთი იმ პირობათაგანი იყო, რაც ახალგაზრდა ქალს სასურველ საპატარძლოდ ხდიდა იმ დროს. ნაჲილმა იხმო მკერავი ქალი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალი იყო და მოსთხოვა, რომ გოგოების-თვის დღეში ორი საათი ესწავლებინა მამამისის სახლში. კერვის გაკვეთილებისთვის კი დიდი დარბაზი გამოუყო, გზას რომ გადაჲურებდა.

მშობლები გადარეულან, როცა ერთ დღეს გოგოებისთვის მოუთხოვია, საწე-

რი დაფებით მოსულიყვნენ. ნაპილის მა-მას მისდგომიან საჩივლელად და მათი ქალიშვილებისთვის წერა-კითხვის სწავ-ლების საქმის მოსაკითხად. მამას ნაპი-ლისთვის მოუხმია და ამბავი უკითხავს. ნაპილი შესულა მათთან, სეზონური მო-სავალი და მათი სანათესაო მოუკით-ხავს, შემდეგ უფრო დიდხანს დასარჩე-ნად მიუწვევია და მათთვის თავისი ხე-ლით მომზადებული ტკბილეული შეუთა-ვაზებია. მშობლებისთვის უთქამს, რომ მათ გოგონებს მხოლოდ იმ ასოებს ას-წავლიდა, ჭრა-კერვასთან და საშინაო საქმეებთან რომ იყო დაკავშირებული და მათთვის აუცილებელი იყო, ხოლო სიყვარულთან და ადათ-წესების დარ-ღვევასთან დაკავშირებული ასოებისგან კი ღმერთმა დაიითაროს და აშოროს ისი-ნი! ამ საკითხში ის მშობლების პოზიცი-აზე იყო და გოგონებისთვის მათ სწავ-ლებას არასოდეს დაუშვებდა!

ბებიაჩემი ძლიერი ქალი იყო, თუმ-ცა, მისი ძალის მიუხედავად, ჰამზამ, მისმა ქმარმა, მაინც შეძლო, თავისი ფა-რული ურთიერთობა ერთ ზაჰლელ¹ ქალთან ოცდაათ წელზე მეტხანს შეე-ნარჩუნებინა ისე, რომ ბებიაჩემს ვერ გაეგო. როცა ჰამზა მოკვდა, ნაპილმა ყველა მისი ცუდი დაივინყა. იგლოვა და დაიტირა, მის გვამზე დამხობილი ჰატიე-ბას ითხოვდა. ბაბუაჩემის სიკვდილის მომენტში სიმართლე გაუჩინარდა, თით-ქოს ნამში წაშალა და ისე გაქრა, ვი-თომც არ ყოფილა და თავიდანვე არ არ-სებულაო. როცა შევეცდებოდი, ჰამზას ამბები და სასიყვარულო ისტორიები გა-მეხსენებინა, თავადაც რომ კარგად მო-ეხსენებოდა, თავს ისე იჭერდა, ვითომ არ იცოდა და იწყებდა გამეორებას: „ო,

ბუ იბრაჟიმ!.. ბუ იბრაჟიმ!.. ეს რა სალა-პარაკოა!..“ – თან ცდილობდა, წამომ-დგარიყო სკამიდან, რომელიც წლითი წლობით სულ უფრო ფართო ხდებოდა მისი დალეული სხეულისთვის.

ბებიაჩემის მაგიური ძალა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მან რამე იცოდა ჰამზას წასვლა-მოსვლის შესახებ. ქმარი ეუბნებოდა, რომ სოფარში² სურდა წას-ვლა ყინულის მოსამარაგებლად და ზაფ-ხულში მის ბითუმად გასაყიდად ვაჭრებ-სა და სოფარში გაჩერებულ ბეირუთ-და-მასკოს მატარებლის მგზავრებზე. ყინუ-ლით ვაჭრობა სოფარში მაცივრების სა-ყოველთაო გავრცელების შემდეგ შეწ-ყდა. მატარებელიც გაჩერდა, ალარც სადგური იყო სოფარში, თუმცა ჰამზა კვლავ იმას ამბობდა, რომ იქ სამუშაო ჰქონდა და ნაპილიც ჯიუტად თავს იკა-ტუნებდა, რომ სჯეროდა. ბაბუას სიკ-ვდილის შემდეგ ბევრი წერილი იპოვა მის ქალალდებში; სალექსო სტრიქონებიც და ღაზალებიც³, ალბათ მათ გაგზავნას საყ-ვარელი ქალისთვის აპირებდა და ტყავის ჩემოდანში ჩაეტოვებინა, გულდასმით რომ ჰქონდა შენახული კარის თავზე ხის კარადაში. ქმრის ამგვარ ცხოვრებას ხე-ლი არ შეუშლია ნაპილისთვის, ჰამზას სიკვდილის შემდეგ ფოტოსტუდიაში მისი ფერადი სურათი დაემზადებინა და კე-დელზე დაეკიდებინა.

ჩვენი ავსტრალიაში გამგზავრები-სას ჰამზას ფერადი სურათი ჯერ ისევ ეკიდა მისაღები ოთახის ცენტრში. ნაპი-ლი ჰამზაზე საუბრებით მის ჩვენ შორის გამუდმებულ ყოფნას გვაგრძნობინებდა. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ მან ჰამ-ზასგან კაცის ლეგენდა შექმნა – ყველას შემაშინებელი კაცისა, განსაკუთრებით

¹ ზაჰლე – ლიბანის ბიკა’ის ადმინისტრაციული ოლქის მთავარი ქალაქი, სიდიდით მესამე ქალაქი ბეირუთისა და ტრიპოლის შემდეგ.

² სოფარი – მთიანი ლიბანის დრუზებით დასახლებული სოფელი, მდებარეობს დამასკო-ბეირუთის მთავარ გზასთან ახლოს.

³ ღაზალი (არაბ.) – სატრფიალო ლექსი.

კი – მამაჩემის. ნაპილმა ჰამზას ჩვენ შორის დატოვება იმით მოახერხა, რომ ქმრის სურათი მისაღებ ოთახში ჩამოკიდა და მის ამბებს გვიყვებოდა.

ჰამზას სიკვდილის შემდეგ ნაპილმა მისი შავ-თეთრი სურათი ზოკაკ ალბლატზე ჩვენი სახლის მახლობლად ფოტოგრაფ ჰარუთის სტუდიაში წაიღო და მისი გაფერადება მოსთხოვა. ჰარუთი თავდაპირველად ნაპილის თხოვნამ გააოცა და უპასუხა, რომ კაცები არასოდეს ითხოვენ ხოლმე თავიანთი სურათების გაფერადებას, ამას მხოლოდ ქალები აკეთებენ, მაგრამ ნაპილმა დაიუსინა და ლამის მოთმინებადაკარგულმა უთხრა: ჰამზამ მე დამიბარა ანდერძად და მოკვდა, მაშ, შენ საიდან იცი, მას რა უნდოდაო?! ჩანთიდან პატარა ნაჭერში გამოკრული ფული ამოიღო, ჰარუთს მისი შიგთავსი გაუქნ-გამოუქნია და უთხრა: „აბა, იცი, როგორ გააფერადო თუ წავულო ვიკენს?“ ვიკენი ამერიკული უნივერსიტეტის მიმდებარე ფოტოსტუდიის მეპატრონე იყო.

ნაპილმა არ მოინდომა, ჰარუთს შეერჩია ჰამზას სამოსის ფერები, თავად ჩაერია ყველა ფერის არჩევაში. წინ დაუდგა ჰარუთს ფოტოთი ხელში და ალუნერა პერანგის ფერი, რომელიც ფოტოზე ეცვა ჰამზას, შარვლისა და ტარბუშის ფერიც კი, მიუხედავად იმისა, რომ საყველთაოდ ერთი და იმავე ფერის ტარბუშები იყო ხმარებაში. უნდოდა, სანამ სტუდიას დატოვებდა, ყველაფერში დარწმუნებულიყო. რამდენიც აჩვენებდა ჰარუთი ფარდის უკან მდგარი შავი ყუთიდან ამოღებულ ფერად სურათს, ნაპილი თავს უკმაყოფილოდ გადააქნევდა და მოითხოვდა, ხელახლა გაეკეთებინა. ჰარუთმა ლოყები და ტუჩები წითლად შეუ-

ლება ბაბუაჩემს და ის მებრძოლის ტან-საცმელში გამოწყობილ ჯამბაზს დაამ-სგავსა. მისი შემაშინებელი შავ-თეთრი იარაღი კი ახალ სურათზე პლასტმასისას დაემგვანა – აი, ისეთს, ომბანას თამაშისას ბავშვები რომ აისხამენ ხოლმე.

ჩემი ძმის სიკვდილით ჩვენს ოჯახში მამრობითი საგვარეულო ხაზი დასრულდა. ალარაფრის მაქნისი იყო ნაპილის საყვედურები, გამუდმებით რომ იმეორებდა – რომ მას ბევრი შვილი სურდა მამაჩემისთვის, მაგრამ ნადიამ არ ინდომა ორზე მეტი შვილის გაჩენა: ჩემი და ჩემი ძმის, ბაჟასი. ეშინოდა, რომ მისი ორსულობა ბავშვის სიკვდილით არ დასრულებულიყო. უარს იყო დიდი ოჯახის გამრავლებაზე. ორსულობის შიში ბავშვობიდან ჰქონდა გამოყოლილი – თავისი დაბადებიდან სალამაზე გათხოვებამდე.

ნადია ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი ბავშვი იყო ოჯახში, სადაც დედამ ხუთზე მეტი ბიჭი გააჩინა და ყველა მათგანი დაბადებისთანავე ეხოცებოდა. ბებიაჩემი, ნადიას დედა, გააჩენდა თუ არა ბავშვს, ან გაჩენისთანავე ელუპებოდა, ან სულ რამდენიმე დღეში. ჯერ ორსულობის ტანჯვა და მშობიარობის ტკივილები, შემდეგ ბავშვის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება არ კმაროდა, რომ ზედ ქმრის ბრალდებებიც არ დამატებოდა, რომ ის ძილში გადაბრუნდა, ბავშვს დააწვა და მოკლა. სუსტი აღნაგობისა და უსუსურობის მიუხედავად, ნადია ერთადერთი იყო, ვინც ცოცხალი გადარჩა. იმისათვის, რომ დედამისს შეძლებოდა, ამქვეყნად ბიჭები მოევლინა, რომლებიც ცოცხლები დარჩებოდნენ და არ დაიღუპებოდნენ, ნადია, ჯერ კიდევ მთლად ბავშვი, შეიხთან წაიყვანეს ბიკა’იში¹. სანამ იქ ჩაიყვან-

¹ ბიკა’ი – ლიბანის ადმინისტრაციული ოლქი, წარმოადგენს ვრცელ ნაყოფიერ დაბლობს ლიბანის ორ – აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთაგრეხილებს შორის, სადაც ლიბანის ორი დიდი მდინარე – ალ-ლიტანი და ალ-ასი (ორონტესი) მიედინება.

დნენ, ჯერ ნაბი აიუბის¹ აკლდამის მო-
სანახულებლად მიიყვანეს, აჭამეს ტკბი-
ლეული და ხილი. შემდეგ ისევ მანქანაში
ჩასვეს და შეიხის სახლიდან ახლომდება-
რე ადგილას მიიყვანეს, სადაც დიდ კა-
ლათში ჩასვეს. ცივი ამინდი იყო. კალა-
თი გრძელი თოკებით დააბეს და დამ-
შრალ ჭაში ჩაუშვეს. ნადია იმდენად პა-
ტარა იყო, ჭის ყელიდან ისე ჩანდა,
თითქოს კალათში დავიწყებული, გახვე-
ული ტანსაცმლის ფუთა იდო. როცა კა-
ლათმა ჭის შუამდე ჩააღწია, შეიხმა
მოსთხოვა, ხმამაღლა ენატრა სასურვე-
ლი და ალაპი აუცილებლად აუსრულებ-
და ყველა თხოვნას. სახლშივე დარიგე-
ბული იყო, რომ ძმა ეთხოვა და არა სა-
თამაშოები, ტკბილეული ან ტანსაცმე-
ლი. ყველამ წინასწარ მოამზადა ბავშვი,
რომ მას სასურველი სიტყვა ეთქვა. „ძმა
მოითხოვე და იუსუფი დაუძახე!“ – უთ-
ხრეს და ბევრჯერ გაუმეორეს, რომ სა-
ხელი დაეზეპირებინა. შეიხმა კითხვა ხე-
ლახლა დაუსვა: „რა გსურს, რას ითხო-
ვო?“ ნადიამ ვერ შეძლო ლაპარაკი; ვერ
შეძლო, ეპასუხა; ეს იმიტომ, რომ ფიქრს
გაჰყვა – რა მოხდებოდა, რომ ეთხოვა,
ალაპს ძმა მოეყვანა მისთვის და შემდეგ
ის დაბადებისთანავე მომკვდარიყო, რო-
გორც დანარჩენი მისი პატარა ძმები...
რა მოხდებოდა, დედამისი რომ ორსუ-
ლად დარჩენილიყო სხვა ბავშვზე და

ისიც დაბადებისთანავე დაღუპულიყო...
შემდეგ სხვა ბავშვზე, რომელიც დაიბა-
დებოდა და მერე მოკვდებოდა... თვალ-
წინ წარმოუდგა დედის სახე, როცა მი-
ნაზე ეგდო, იკლაკნებოდა და ტკივილის-
გან გოდებდა... თითქოს მისი ტირილიც
შემოესმა... უეცრად ჭის ყელიდან ჩამო-
მავალი შეიხის ხმა გაიგონა, რომელიც
ყვირილში გადაიზარდა, რაცი ნადია
კვლავ არაფერს პასუხობდა. ბავშვს ში-
შისა და სიცივისგან კბილები უკაწკაწებ-
და, მაგრამ არაფერს ითხოვდა, ისევ ჩუ-
მად იყო. შეიხმა ყვირილით ხმას აუწია.
ამ დროს ნადიას მოეჩენა, რომ ეს მამა-
მისი ყვიროდა. ორივეს ხმა, – შეიხისა
და მამამისის, – ერთნაირად ჟღერდა.
უეცრად ჭის ფსკერიდან ხმა ამოუშვა,
სუსტად, გაუბედავად, მფრთხალად. მი-
სი სიტყვები კვნესას ჰერცი. მხოლოდ
ერთ რამეს ითხოვდა ყოყმანითა და ში-
შით – ალაპს მამამისი მოეკლა და დე-
დამისი მისგან დაესვენებინა. შემდეგ
ნაწყეტ-ნაწყეტი, მოგუდული ტირი-
ლით ლამის დაიხრჩო.

როცა იუსუფი დაიბადა, დედაჩემის
ერთადერთი ძმა, ბებიაჩემმა, დედაჩემის
დედამ, პატარა გოგოს ტანსაცმელში გა-
მოწყობილი ატარა ოთხი წელი. ამბობ-
და, რომ ეს ერთადერთი გზა იყო, სიკ-
ვდილის თვალი აერიდებინა მისთვის.

**არაბულიდან თარგმნა
დარევან გარდავაძემ**

¹ ნაბი აიუბი (არაბ.) – წინასწარმეტყველი აიუბი, ბიბლიური იობი, ის აბრაამული რელიგიების: იუ-
დაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის წინასწარმეტყველად მიიჩნევა და მუსლიმთა სალვოთო წიგ-
ნში – ყურანში მოიხსენიება.

ლიბანის დრუზების მთიანეთში მდებარე საიდ აბდალლას, დრუზი თეოლოგისა და კომენტატო-
რის და ნაბი აიუბის აკლდამები დრუზების სიწმინდეებად და საპილიგრიმო ადგილებად მიიჩნევა.

სინან ანტუნი (დაიბ. 1967 წ.)

ერაყელი პოეტი, რომანისტი და მკვლევარი სინან ანტუნი ბალდადში დაიბადა. იზრდებოდა სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის რეპრესიულ პირობებში. საბაკალავრო საფეხური ბალდადის უნივერსიტეტში დაასრულა 1990 წელს, თუმცა ე.წ. ყურის ომისა და დედაქალაქის სასტიკად დაბომბვის გამო იძულებული გახდა, 1991 წელს დაეტოვებინა ერაყი და აშშ-ში გამგზავრებულიყო. ანტუნმა სწავლა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში განაგრძო. 2006 წელს სადოქტორო სიდერტაცია ჰარვარდში დაიცვა. ამჟამად ნიუ იორკის უნივერსიტეტში მოღვაწეობს. 2003 წელს ანტუნმა ერაყში გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ბალდადის შესახებ“, სადაც მოთხოვილია, თუ რა მოხდა ამ ისტორიულ ქალაქში სადამ ჰუსეინის რეჟიმისა და ამერიკული ჯარების შემოსვლის შემდეგ. მილიონობით მოქალაქე შეიწირა ირან-ერაყის ომმა, შემდეგ განადგურდა დედაქალაქის ინფრასტრუქტურა, ისტორიული ძეგლები და მუზეუმები. ყოველივე ამას კი მოგვიანებით იმ ინსტიტუციების განადგურებაც მოჰყვა, თანამედროვე ერაყი რომ უნდა აეშენებინა. ეს არის ანტუნის რომანების მთავარი თემაც და მისი, რომოც პოეტის, მთავარი სატკივარიც.

ტკივილის საწარმო

მთელი ეს ტკივილი,
გამუდმებით რომ მრავლდება
უფასოდ,
ყველგან,
უსამართლოდ დარიგებული,
საიდან მოდის?

არ მახსოვს, სკოლებში ესწავლებინოთ რამე
ბუნებაში ტკივილის მიმოქცევის შესახებ.
„გუგლში“ ვეძებე ჩემი ტკივილის განმარტება,
მაგრამ ვერ ვნახე...
რას გვარგებს ცოდნა,
ან თუნდაც ყველა ნობელის პრემია, ერთად აღებული?
რატომ გვიმალავენ ასეთ რამეებს?
ნუთუ იმისთვის, ყოველდღიური მარათონი
კვლავ რომ გაგრძელდეს?
იმედის ყლუპებით გვაბრუებენ
გზაზე გამართულ მოსასვენებელ სადგურებში
ჩვენი ტკივილის გადასატანად...

საიდან მოდის ეს ტკივილი?
 მას დღედაღამ საწარმოები ამუშავებენ?
 უზარმაზარი დანადგარები უშვებენ ტკივილს?
 მერე ფუთავენ, საიმედოდ აფასოებენ
 და სამყაროში ავრცელებენ?!
 და მაინც, როგორ მოიპოვებენ?
 ვინმეს ართმევენ?
 იქნებ საპატიმროში წამებულთა
 სხეულებიდან იღებენ ტკივილს,
 დედებისა და მოშიმშილეთა მწარე მოთქმიდან,
 დაქცეული ქალაქების ნანგრევებიდან,
 თუ მას მიწაში ჩამარხული გოდებიდან იმარაგებენ?
 ეს ის ტკივილია, ჩვენამდე რომ იყო
 თუ ხელახლა შემობრუნებული ჩვენივე ტკივილია?
 მყარია? თხევადია? თუ რაღაც მათ შორის?

ნუთუ მუშები, საწარმოებში რომ მუშაობენ
 და ამ ტკივილს ანარმოებენ, მას თავად გრძნობენ?
 თუ მათ ნიღბები უკეთიათ,
 დამცავი სამოსი აცვიათ?
 როგორ ავიღო ერთი მათგანი?

სწორედ დღეს
 მივიღებ ტკივილს, როცა ის მოვა,
 როგორც სჩვევია...

დასაწყისში

სულ დასაწყისში იყო ჩხვლეტა –
 ხანჯლის ჩასობა...
 ხანჯალმა დაჭრა მისი ფოტო,
 შემდეგ გაშორდა
 სხვა სხეულების ძიებაში.
 ორმოცი დღე ტიროდა
 ჭრილობა...
 მოშუშდა,
 გულად გადაიქცა,
 ისევ გაცოცდა
 სხვა სხეულის მოსაძიებლად.

ხედი

მზე მშვიდად ასრულებს თავის სამუშაოს,
 ცაა გარინდული...
 ღრუბლები გაექცნენ
 დაღლილ, დაქანცულ ქარებს,
 ხეები ითვლიან
 სუდარაგადაფარებულ გვამებს.

მოწამეები სამოთხეში კი არ მიდიან,
 ზეციურ წიგნში სახლდებიან –
 სწორედ მის ფურცლებს აირჩევენ საცხოვრებლებად...
 თითოეული თავისებურად აკეთებს ამას –
 თუ ზოგი ჩიტად გადაიქცევა,
 ზოგი ვარსკვლავად,
 ზოგი ჩვენ თავზე
 თხელ ღრუბლებად იწყებს გაქრობას...
 სულ დაგვტირიან, გამუდმებით
 ჯერ კიდევ აქ მყოფთ
 და თავიანთი სისხლით ცდილობენ
 ამ ჯოჯოხეთის ალის ჩაქრობას.

ჩურჩული

კაცმა, რომელიც მე მამშვიდებდა
 მთელი ეს წლები,
 გარდაცვალების წინ ჩამჩურჩულა:
 „შენთან მინდაო, აქ მსურს დარჩენა.“
 აჲა, მეც დამაქვს მისი სხეული
 და ყოველ დილით
 ახალ სამოსელს ერთად ვიცვამთ
 გადასარჩენად.

მომავალ ცხოვრებაში

მომავალ ცხოვრებაში მე ვიქწები
მინდვრის ყვავილი,
შორეულ ბორცვის ერთ კალთაზე წამოწოლილი...
მასზე პეპლები დაისვენებენ,
მას მოწყვეტს ბავშვი,
რომელსაც ომი არ უნახავს,
დედას მიართმევს...
დედა უბეში ჩაიდებს ყვავილს,
აკოცებს...
დამყნოსავს,
მერე მეც დავყნოსავ...
...
და ჩემს მომავალ ცხოვრებაშიც
აღარ ვიქწები.

ახალი ღმერთი

შევხედეთ რუკას –
ყველა ეს მდინარე
ახალი ღმერთის ძიებაში გადავიარეთ.
ღვთისმსახურმა თქვა, ის ღვთაება ჩვენთვის იშვაო.
სწორ გზას ვადექით
და შობის ადგილს რომ მივადექით,
ჩვენისთანები დავინახეთ –
ღმერთს საპატიო პროცესით მიაცილებდნენ...
მათ ავედევნეთ
და გვიამბეს მდინარეებზე,
სწორედ იმ ღმერთის საძიებლად რომ გადმოლახეს,
რომელზედაც თქვა ღვთისმსახურმა,
მოკვდაო მათთვის.

შავი პეპლა

შავი პეპლა – სულ ერთი წუთი,
მკვდარი ღამიდან გამოქცეული,
ერთ ვარდს დაეძებს
საკუთარი სასაფლაოს გასამშვენებლად,
თუმც მას თითები არ აბია,
ხოლო ვარდი მეტად მძიმეა...

შემოდგომა

ბოლო ფოთოლიც რომ ჩამოვარდა,
ხემ მას მიმართა:
შენთვის დავასრულე შენი შემოდგომა,
მე დღეს გავეცი ყველაფერი,
რაც კი მებადა.

განმარტება

ცა ვარსკვლავების სამუშაო ადგილია,
ანგელოზები დაფრინავენ თაროებს შორის.

გამოსვლათა წიგნი

ანგელოზებმა თავიანთი მისია შეასრულეს –
ბოლო სარკმელი დაიგმანა ზეცაში ქვებით!
წყვდიადში ისმის ყვირილის ხმები:
როგორ გავიდეთ აქედან, როგორ?
ო, ხალხო, ეს ხომ სახლია ღმერთის!
აქ მოციქულებს აქვთ სანათები
მხოლოდ და მხოლოდ...

სამი შროშანი

სამი შროშანი
თუ სამი დედა?

პირველი ისე გაიშალა,
თითქოსდა მისი თეთრი ფურცლები
ერთ-ერთ ღვთაებას
წყალობას სთხოვენ პირმშოებისთვის.

მეორე
ჯერ გამოჩენილი არ იყო, რომ
გადატყდა
თითქოს მიწაში თავის დამღას,
ნიშანს ეძებდა.

მესამე
ისევ სახეს იფარავს –
საკუთარ სახეს ეფარება!
იცი ასეთი? სადმე გინახავს?

მინის ლარნაკში
წყალი აკლია
წელში მოტეხილ ამ სამ-სამ შროშანს,
მინის მიღმა კი ეკრანია
და იმ ეკრანზე
სამი სირიელი დედა მოჩანს.


ბრძა სიმღერები

ყოველი დილიდან
ჩემს სიჩუმეს
ბრძა სიმღერები არღვევს;
გუშინ ის ჩიტმა მოიტანა,
პეპელას გადასცა,
დღეს ამ სიმღერამ ღრუბლის მკლავებს შეახო ხელი...
სად მიდის?
როდის დაბრუნდება?
ყოველთვის, როცა მასთან ერთად წასვლა მინდება,
ხელს მკრავს შორიდან და მეუბნება:
არა, არ არის ჯერ შენი ჯერი.

ნადირობა

მდინარე ხუჭავს
მის ბოლო თვალებს,
დალლილ მკლავებით მოვუსვამ ნიჩბებს,
საწოლისაკენ წავათრევ ბადეს,
მკვდარი თევზებით დავითვლი წუთებს.

არაბულიდან თარგმნა
ნინო დოლიძემ



တော်မြတ် ဖော်လုပ်

რეფიქ ჰალით ქარაი (1888-1965)

მწერალი და უურნალისტი რეფიქ ჰალით ქარაი თურქული ნოველის გამორჩეულ ოსტატად მიიჩნევა. „ბებერი ხარი“ რეფიქ ჰალით ქარაის პირველი კრებულიდანაა, რომელსაც „მოთხოვები სამშობლოზ“ ჰქვია. ეს წიგნი მაშინ დაიწერა, როდესაც ხელისუფლებისთვის არასასურველი შინაარსის თარგმანების გამო მწერალი სტამბოლიდან გადაასახლეს და თურქეთის სხვადასხვა რეგიონში მოუწია ცხოვრება. კრებული საქმიანდ კრიტიკული და იუმორით გაჯერებულია. მისსავე კალამს ეკუთვნის მეორე კრებული „მოთხოვები უცხოეთზე“, რომელიც უკვე მაშინ შეიქმნა, როდესაც მწერალს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ქვეყნის დატოვება მოუხდა.

პეპერი ხარი

მწუხრის ლოცვიდან გამოსულმა მოხუცებმა დაინახეს, რომ შორიდან სოფელს რამდენიმე სილუეტი უხმაუროდ უახლოვდებოდა. ნათელი ღამე ივნისის მთვარიან შებინდბუნდებას მოგაგონებდათ. ცა თითქოს მზისგან ან მთვარისგან კი არა, რაღაცნაირად, თავისთავად, მშვიდად და ტკბილად განათებულიყო. ასეთ ღამეში ვარსკვლავებიც მკრთალი და ულიმლამო ჩანდა, თითქოს სადაცაა გათენდებაო. ძილშეპარულ ნახევრად სიბნელეში თვალი შორს განჭვრეტას ლამობდა. ჯერ კიდევ განირჩეოდა ერთმანეთისგან წყაროს ტირიფები და ლობის სიმაღლე, ველური ფშატები. ანატოლიის ზეგნისთვის დამახასითებელი ჩუმი, უნისლო, ნაცრისფერი ღამე იყო. სოფლელები მომავლებს მიაშტერდნენ და გაისუსნენ, ახლა უკვე მათი ფეხის ხმაც მოესმათ. შუაში განიერი, ვეებერთელა ჩრდილი იკვეთებოდა. ხარი უნდა ყოფილიყო. ორივე მხრიდან თითო კაცი მოჰყვებოდა. უცებ ამოიცნეს – ჰაჯი მუსტაფა აღას, როგორც ყოველ წელს, ახლაც ბაზარში პირუტყვი ეყიდა და შვილთან ერთად სოფლისკენ მოერეკებოდა. ასეთი

ჩვევა ჰქონდა – მოსავლის აღებამდე მიღიოდა, ბებერ, ჯაგლაგ ხარს ყიდულობდა, მოსავალს აიღებდა, კალოს გალენავდა, მარცვალს ამბარში დააბინავებდა, პირუტყვს კარგად ამუშავებდა და შემოდგომის პირას ისევ გაყიდდა ხოლმე. ხშირად ისეთ მუშტარს შოულობდა, რომელიც, რაც თავის დროზე დაუჯდა, იმდენივეს უხდიდა და, თუ ზაფხულში ხარს მაძლარს ამუშავებდა, ზამთრის უქმედლებში მისი ტყუილად გამოკვება აღარ უწევდა. მუსტაფას წინათ სტამბოლში უანდარმად უმუშავია. ერთი პერიოდი ჰაჯიზშიც კი გაპყოლია ემინს¹, ჰაჯი გამხდარა. მოხერხებული და ეშმაკი იყო. ქონების მმართველს, გადასახადების აღმრიცხველს, ხაზინადარს – ვისაც კი სიტყვა ეთქმოდა და ჭკუა მოეკითხებოდა, ყველას შენობით ელაპარაკებოდა. როდესაც მათთან სტუმრობდა, დიდი ამბით იღებდნენ და საპატიო ადგილას წამოსვამდნენ ხოლმე. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. მუსტაფა კვირაში ერთხელ, ქალაქის ბაზარში მდებარე შენობაში, უეჭველად რომელიმე მათგანის კარს შეაღებდა, ერთი მსუქან თხას ან შავულა, თეთრ

¹ ჰაჯის (მექის მოლოცვის) დროს ჰაჯაზში (მხარე, სადაც მექა მდებარეობს) გაგზავნილი ფულისა და საჩუქრების უსაფრთხოების ზედამხედველი.

ბატქანს დატოვებდა და დაპოლებდა: შეპრაწული დიდებული იქნება, გემრიელად მიირთვითო, ანდაც, ჩვენი პატარა ფაშა გაერთოს, ძალიან სასაცილო რამა-აო. ის კი არა და, ზოგჯერ, შუა ზამთარ-ში, საგულდაგულოდ შენახული, ფერშერჩენილი და კანგადატკეცილი გარგარითა და ჯერ კიდევ წვნიანი და თვალმახარა მსხლით სავსე კალათსაც კი არ იშურებდა ხოლმე. ყველა საქმეში ჩახედული და ყველგან შინაური იყო. მიდიოდა და ქაი-სერელი მომთაბარებისგან სუჯუკისა და ბასტურმის კეთებას სწავლობდა, ჩერქე-ზების სოფლებში ყველის დამზადებას ეუფლებოდა. ამას თავისთვის კი არა, უფრო იმიტომ სჩადიოდა, რომ შემდგომ-ში ძლვნად გაეცა. სოფლელები, სავსე სათლით ქალაქისკენ მიმავალს რომ დაი-ნახავდნენ, ამბობდნენ, ჰაჯი მუსტაფა ქვას წაიღებს და რუმბს მოიტანსო. მარ-თლაც ასე იყო. იმ კართა მფარველობის წყალობით, რომლებიც კვირაში ერთხელ იღებოდა და შიგ სულიერი და უსულო ძლვენი შედიოდა, მუსტაფას ყანები სხვე-ბის ხარჯზე ფართოვდებოდა, მისი ძველი ვალები ჩამოიწერებოდა, წყალი მის გან-კარგულებაში იყო და მის კარს უანდარმი და გადასახადის ამკრები არ მოადგებო-და. ყველა, ისიც კი, ვინც ვერ იტანდა, პა-ტივისცემით, ჰაჯი აღას ეძახდა.

მინგრეულ-მონგრეული, უბადრუკი, მიწური სოფლის ცენტრში წითელი კრა-მიტით გადახურული, ფიჭვის ხის, ახლად აშენებული სახლი ედგა. ხშირი, გაბუჩ-ქულფოთლებიანი ხეებით სავსე ბალი ჰქონდა, რომელიც წისქვილებიდან მიტა-ცებულ მინაზე გაეშენებინა და ზამთარ-ზაფხულ მოჩხრიალე წყლით ირწყვებო-და. სახლს წინ, მთელ სიგრძეზე, ღია ტე-რასა ჰქონდა მიდგმული. ზაფხულის ღა-მეებში, ვარსკვლავების შუქზე და ჭრიჭი-ნების ჭრიჭინში იქ ყოფნას არაფერი სჯობდა.

ჰაჯი აღა თავის ცხოვრებას აქ ატა-რებდა. ქალაქის ყველაზე სახელგან-თქმული კახპა, ჩიჩექ ემინე, ერთ ღამეს ცხენზე შემოუსვამს და სოფელში მოუყ-ვანია. ნამდვილი ცოლი აკვანთან, კერას-თან, ნეხვს, ხარებსა და კამეჩებს შორის ცხოვრობდა და ყველა მძიმე საქმეს აკე-თებდა. ჩიჩექ ემინე კი, ჰაჯის მუხლებთან მოკალათებული, ბებერ კატასავით ძილსა და მთქნარებაში ატარებდა დროს. თავზე ოქრომკედით ნაქარგი, მარგალიტებით გაწყობილი ფესი ეხურა, ფეხზე კვიპარო-სებით და მიხაკებით მოხატული წინდები ეცვა, ბეჭებზე ორმხრივი მოსასხამი მო-ეგდო, რომელიც ცალ მხარეს ყვითელი, მეორე მხარეს კი ვარდისფერი იყო. პა-ტარძალივით ცხოვრობდა, რაზეც ვერც სოფლის ხალხი და ვერც ჰაჯის ვაჟი ხმას ვერ იღებდნენ.

ჰაჯი აღა თავისი ხარით ჩარდახს რომ მოუახლოვდა, მოხუცებმა, გეგონება ერთხმად ლოცულობენო, სიკეთეში მო-გახმაროსო, მიაგებეს. ღამის სიბნელეში ცხოველის გარჩევას ცდილობდნენ. გამ-ხმართავიანი, დიდრქებიანი, ძვლებგა-მოყრილი ხარი იყო. სიბერე შორიდანვე ეტყობოდა. დალლილი და ღონემიხდილი ჩანდა, ჩასამუხლად ადგილს ეძებდა. მომ-სვლელები შეჩერდნენ, ისაუბრეს, დამ-ხვდურებმა ქალაქის ამბები გამოიკითხეს. ერთ-ერთმა სოფლელმა მუჭით მიწა აიღო და ჰაჯის საამებლად ხარს ყურებზე შეა-ზილა, ვითომ მოასულიერა, მაგრამ ცხო-ველს თავი უკიდეგანო დაბლობისკენ გა-ეშვირა, შორს, შორს იყურებოდა და ღრმად, ღრმად ჩაფიქრებულიყო.

სოფლელი ჰაჯის მაამებლობას არ მოეშვა:

— ჯიშიანი ხარი ჩანს, კარგად აჭამე და ნახე, რა დადგეს...

სიჩუმე ჩამოვარდა. შორეული ბაკე-ბიდან თხის ზანზალაკის ხმის ნაღვლიან-მა, ყრუ ექომ მოაღწია, მიძინებულ სივ-

რცებზე ყველას და ყველაფერს შეეხო და შორს ტალღებად გაიფანტა. დაიშალნენ.

* * *

ხარი ორ დღეს ამუშავეს, მესამე დღეს კი ბოსელში გვერდზე მიწოლილი და ჩაფიქრებული დაუხვდათ. სამუშაოდ წას-ვლის პირი არ უჩანდა. მოსამსახურემ გვერდში ხელი წაჲრა, დაარტყა, წიხლი უთავაზა, პირუტყვი არც კი შეინძრა. ყელ-ზე მობმულ, სქელ თოკს ორი კაცი ექაჩე-ბოდა, ერთიც ნიჩბის ტარს ურტყამდა. ხა-რი მის გარმემო ატეხილ ხმაურს, თოკს, ნიჩაბს, ძალას და ტკივილს არად დაგი-დევდათ, თითქოს მარტო და მოსვენება-შიაო, იმავე პოზაში დინჯად იწვა. თვა-ლებში არც გაოგნება ეტყობოდა და არც სიბრაზე. მსახური შიგადაშიგ ვიშვიშებდა:

— ავად ხომ არ გახდა?

ჰაჯიმ დაუყვირა:

— შე კახპის შვილო, რას ბოდავ? რა-ტომ უნდა გამხდარიყო ავად? რაც წინ ედგა, შვრია და ბზე, ერთიანად გაათავა. მაგ ლაყბობას, ნიჩაბი ამუშავე!

მართალი იყო. ხარი მადას არ უჩიო-და. ვერაფერს გახდნენ. ბოლოს გადაწ-ყვიტეს, ცოტა ხნით თავი დაენებებინათ, შუადღეს მსახური უკან ამობრუნებული-ყო და მერე წაეყვანა. სხვა ხარები გაირე-კეს და წავიდნენ. ახლად ამოსული მზის საამო შუქზე მძიმედ და უხალისოდ მიე-მართებოდნენ. ჰაჯი შიგადაშიგ ლუღლუ-ღებდა, გაგონილა, ჭამოს, დალიოს და არ იმუშაოს, დავკლავ მაგ ღორსო.

შუადღისას მსახური შინ გაუშვეს. მამა-შვილი ყანაში დარჩა.

აქაურობა შემოსული, სავსე თავთა-ვებისგან მთლად გადაყვითლებული, სწორი, უბორცვო, უგორაკო, მომიშვლე-ბული დაბლობი იყო. მწველი ნათების ქვეშ ისე ბრნყინავდა, თითქოს სპილენძის თეფში მზეს ირეკლავსო. დაღლილ თვა-

ლებს ისე ეჩვენებოდა, თითოს ციდან დამწვარი ქალალდის ნაწილაკების მსგავ-სი, ათასგვარი ფორმის ჩრდილები ცვი-ვაო. თავდახრილნი, ჩაფიქრებულნი იდ-გნენ და ელოდნენ. ცხელ მიწაზე დიდი, სწრაფი ჭიანჭველები დარბოდნენ, მათ შორის – ფრთიანებიც. ჰაჯიმ ვერ მოით-მინა და ჰიჯაზისკენ მგზავრობა გაიხსენა:

— ეს რა არის, უდაბნოში ჭიანჭველე-ბი კუს მოათრევდნენ.

ტყუილს იგონებდა და შვილს აყლა-პებდა. უცებ, დაბლობის ბოლოს, იქ, სა-დაც ცა და გზა ერთიანდებოდა, რაღაც შეინძრა:

— აპა, ალი მოდის.

მაგრამ ალი მარტო მოდიოდა. მამა-შვილი შეშფოთდა, ხარი ხომ არ მოკვდაო.

ხმის ამოღება არ აცალეს, ისე ჰკით-ხეს:

— ჩაძალლდა?

არა, ხარი ცოცხალი იყო და დი-ლანდელ ადგილას ისევ ისე, ჩაფიქრებუ-ლი იწვა. ალიმ ბევრი ურტყა, მაგრამ ვერ ააყენა. დეიდა ფატმას, ემინეს დაუძახა, ერთად ეცადნენ, სცემეს, ურტყეს, ის კი არა და, ფერდებში ლურსმნებიც კი ურ-ჭეს, მაგრამ ვერ გაანძრიეს.

ჰაჯი მუსტაფა აყვირდა. ცხოვრება-ში საქმე ასე არ გამრთულებიაო, ამბობ-და. მისი ზეზურად მძინარე, ჭორფლიანი და ტუჩის კუთხებში მუდამ დუშჩამდგა-რი ვაჟიშვილი, რომელიც არასდროს არა-ფერში ერეოდა, ახლაც მოწყენილი დუმ-და. დაბალი პანტის ხის ჩრდილი, რომლის ქვეშაც ესენი ისხდნენ, აღმოსავლეთისკენ იწვერებოდა. რას ელოდნენ? ბოლოს მა-მამ ამოიხრა, ოო, ღმერთოო, შვილს და-ეყრდნო და ძლივს წამოდგა. ფეხები ძა-ლიან აწუხებდა. რაც ჩიჩექ ემინე შინ მო-იყვანა, მას მერე მთლად მოტყდა. შიგა-დაშიგ მარცხენა მუხლს იტკიებდა. ფეხის თითი კარტოფილივით უსივდებოდა. კვი-რიდან კვირამდე იწვა და კვნესოდა.

ცოტა დაინდეთ თავი, დაეცემი, მოკუდებით, არიგებდა ექიმი, ვისთანაც მისგან პატივნაცემი ჩინოვნიკების რჩევითა და დაუინებით მკურნალობდა. მოკლას ხარითივამ, ასეც მოვკვდებით და ისეც, თქვენ არ იდარდოთო, პასუხობდა. თუ ჰყითხავდით, ეგრე რად ამბობო, გიპასუხებდათ, ურჯულოს დამზადებულმა წამალმა მუსლიმი როგორ უნდა მოარჩინოსო. გამოწერილ რეცეპტს ჩალმაში ინახავდა, მაგრამ აფთიაქში ფეხსაც კი არ შეადგამდა. სამაგიეროდ, სამკურნალო ბალახების გამყიდველ ბუხარელ ბექირ ეფენდის სტუმრობდა ხშირად, ოპიუმის სასწორის გვერდით, კუთხეში რომ ვაჭრობდა. კოლოფობით ყიდულობდა სხვადასხვა წარევებისგან დამზადებულ პიკანტურ აბებს, რომელსაც ბექირ ეფენდი პატარა მარმარილოს როდინში ნაყავდა და რომელიც ქარვის საკმევლის სურნელს აფრქვევდა. სწორედ ამ წამლების წყალობით იყო, ჩიჩექ ემინე რომ აუღურტულდებოდა ხოლმე, გეყო ახლა, ჰაჯი, რამ გაგაცოფაო.

საღამოს ბოსელში რომ შევიდნენ, პირუტყვი იმავე ადგილას, იმავე მდგომარეობაში დახვდათ. გადაწყდა, ამ საღამოს თივას აღარ დაუყრიდნენ, იქნებ მოშიებოდა, ჭკუას მოგებულიყო და სამუშაოდ წასულიყო. ამანაც არ გამოიღო შედეგი. ცხოველი მთელი ღამე მშიერი იყო, მაგრამ არც კი განძრეულა. ყანაში ისევ მის გარეშე წავიდნენ.

შუადღისას ამბის გასაგებად აღი გააგზავნეს. უკან დაბრუნებულმა უცნაური რამ მოჰყვა. სანამ ბოსელში შევიდოდა, აღის თურმე კარის ჭუჭრუტანიდან ჩუმად შეუხედავს. ხარი ამდგარიყო და ბოსლის მეორე მხარეს ნარჩენ თივას ფეხდგომელა მიირთმევდა. ცოტა ხანში, საკეტის ხმის და კარის ჭრიალის გაგონებაზე, ეგრევე გამობრუნებულა, თავის ადგილას დაწოლი-

ლა და გატრუნულა. აღის ქალები დაუხმარებია, მაგრამ ვერ წამოუყენებია.

— ეს რა ეშმაკი ხარია, დამღუპავს, კაცო!

შვილმა დასტურის ნიშნად თავი დაუკრა. სხვა გზა არ იყო, უნდა გაეყიდათ, მაგრამ ვინ იყიდდა ხარს, რომელიც ფეხზე ვერ დგებოდა? ქალაქამდე როგორმე ხომ უნდა ჩაეყვანათ?! ნეტავ, რამდენიმე დღე კარგად რომ გამოკვებონ, რამენაირად გამოაძლონ, ადგომას შეძლებს?

ბოლოს ასე გადაწყდა. იმ დამით ნახევარი ფუთი შვრია და ორი ცხაურა თივა დაუყარეს.

სოფლელებს უკვირდათ და კითხულობდნენ:

— ჰაჯი აღა ახალ ხარს არ ამუშავებს, მარტო აჭმევს და, ნეტავ, საბასტურმედ ხომ არ უნდაო?

მუსტაფა არ იმჩნევდა, თორემ დარდისაგან დნებოდა. ბებერი ხარისთვის მთელი ამბარი რომ დაეყარათ, ათავებდა, მადას არ უჩიოდა, მუშაობა არ სურდა, თორემ... ეს აგიჟებდა მუსტაფას, შიგადაშიგ ბოსელში რომ შეივლიდა, ნახევრად ბელ სადგომში თვალებიდან სიბრაზის ნაპერნკლებს ყრიდა და შეჰყვირებდა ხოლმე, გამიცლის მთელ ამბარს, რავენათ, როგორ წამოვაგდოთო. არც მშიერი დატოვება ივარგებდა, ცხოველს ძალა გამოეცლებოდა და საბოლოოდ ბოსელს მიეჟაჭვებოდა. ბოლოს, ერთ დილას, ჰაჯი ადრე ადგა და ქალაქში ჩავიდა. ერთი მოსულელო ყასაბი იყო, ჩავგა რიზას ეძახდნენ, ის მოძებნა და უთხრა:

— ამას წინათ ხარი ვიყიდე, უვარგისი გამომადგა, საქმეში არ მარგია, რაც დამიჯდა, იმ ფასში მოგყიდიო.

ჩავგა რიზა (ჩავგას იმ მხარეში ერთერთი სახეობის, ცერცეტ ყვავს ეძახდნენ)

¹ ვერცხლის ფულის ერთეული ოსმალურ პერიოდში, რომელიც ოც ქურუშს უდრიდა.

ორ მეჯიდიეზე¹ ცოტა ნაკლებზე დაითანხმა. ოღონდ, ერთი პირობა იყო: ვერც ჰაჯი, ვერც მისი ვაჟი და ვერც მოჯამაგირე ყანას თავს ვერ დაანებებდნენ, რიზა თავად უნდა მოსულიყო და ხარი ბოსლიდან წაეყვანა.

- მე ხარი მოგყიდე და დანარჩენი შენ იცი!

ყასაბი დაჲყაბულდა და ფულიც ჩაუთვალა.

ჰაჯი სოფელში ფრენით დაბრუნდა, რას დავეძებ, გინდა ურმით წაიყვანოს, გინდა იქვე გამოსჭრას ყელი, მე თავი დამანებონო, ამბობდა.

მეორე დღეს ჩავგა რიზა, დამპალი თოკით ხელში, სოფელში გამოცხადდა. მის დანახვაზე ჰაჯი გაოცდა:

- ბიჭო, რა თავში იხლი ამ თოკს, ხარი ადგილიდან არ იძვრისო.

არ დარიდებია, რადგან წინასწარ გაფრთხილებული ჰყავდა. რიზამ ხუმრობა მიიღო, არ სწყენია. ბოსელში შევიდა. ხარი თავის ადგილზე იწვა, ზუსტად ისე, როგორც პირველ დღეს, გადაქანცული, მინავლული და ღრმად ჩაფიქრებული. ადგომა არც უცდია, ყასაბისთვის არც კი შემოუხედავს... ჩავგა რიზამ პირუტყვი შეათვალიერა.

- ერთი, შეხედე, ხაჯიმ რა მიქნა, ამის რა ნაწილი იჭმევა? ცარიელი ძვალი და ტყავია!

ჭუჭყიანი ქალამნის ცხვირი ხარს ბარძაყში მისცხო. მუსტაფას გაეცინა:

- ეგრე ნაზად არ ესმის, მაგრად მიარტყი!

მოხალისებული მუსტაფა თავის-თვის ფიქრობდა, ეგრე წიხლით და ჯოხით რომ დგებოდეს, ისე კი არ გავყიდდი, რომ მეზარალაო, მაგრამ უცბად გაოცდა, თვალები დაჭყიტა. ბებერმა ხარმა თავი მოატრიალა, ყასბის ჭუჭყიანი ტანსაცმე-

ლი ღრმად და ხმაურით შეიყნოსა, შემდეგ შეინძრა, ძალა მოიკრიბა და ნელ-ნელა წამოდგა, ბოსლიდან გამოვიდა, ეზო გამოიარა, მტვრიან გზაზე გავიდა და ქალაქისკენ გაეშურა, ყოველ წაბიჯზე მისი სილუეტი სულ უფრო მცირდებოდა და ფერმკრთალდებოდა, უკან ჩავგა რიზა მისდევდა.

თითქოს ძარღვებში დარჩენილი ბოლო ღონე მოეკრიბა, უკანასკნელი ძალა თითქოს ამ კაცისთვის გადაენახა, რომელიც ამდენი წლის დაღლილს, დანის ერთი გამოსმით საუკუნო შვებას მოჰვერიდა. სამუშაოდ არ მიდიოდა, მაგრამ სიკუდილისთვის მზად იყო. დიდი ფილოსოფოსივით თავდახრილი, მძიმე-მძიმედ, გულგრილი გამომეტყველებით მიაბიჯებდა. შიგადაშიგ კუდს მარაოსავით ისე ნაზად გადაავლებდა ხოლმე ჩრდილის მაძიებელ, მბრნყინავფრთებიან, ჰატარა, აბეზარ ბუზებს, რომლებიც ბარკლებს შორის ესეოდნენ, თითქოს ფრთხილობდა, არაფერი ვატკინოო.

ჰაჯი მუსტაფა გადაირია. რომ სცოდნოდა, ხარი სიარულს შეძლებდა, ორ მეჯიდიეს ხომ არ დაკარგავდა? რა ქნა, როგორ აზარალა ამ პირუტყვმა, ერთი კვირა ბლომად ჭამა, ძალა მოიკრიბა და ახლა სასიკვდილოდ მიდიოდა. ჰაჯი, რომელიც ქეყყანას ატრიალებდა, ამ ცხოველის ოინს წამოეგო. ბრაზისაგან მოჯამაგირეს უმიზეზოდ სილა უთავაზა. ცოლს დიდი, მოსევადებული ლანგარი გაუქანა, ბიჭი ღამით ყანაში დატოვა, ჩიჩექ ემინესაც კი არ უჩვენა სახე.

მუსტაფა ასეთ განცდებში რომ იყო, დალალი ბაზარში დადიოდა და ხალხს მოუხმობდა, ჰეი, დღეს, წაშუადლევს, ჩავგა რიზას დუქანში ხარი იკვლება, მსურველები მობრძანდნენო.

აზიზ ნესინი

(1915 – 1995)

თურქული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აზიზ ნესინი, ცნობილია, როგორც იუმორისტული ჟანრის ფუძემდებელი თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში. წერდა მოთხოვნებს, რომანებს, ლექსებს, ზღაპრებს, პიესებს. აქტიურად თანამშრომლობდა ურნალ-გაზეთებთან; ხშირად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, სადაც ყურადღებას ამახვილებდა საზოგადოების მტკიცნეულ საკითხებზე.

აზიზ ნესინის ნაწარმოებები თავმოყრილია 120-მდე წიგნში. იგი არის მწერალი, რომელსაც ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს თურქეთში. მისი რომანები და იუმორისტული მოთხოვნები თარგმნილია მრავალ ენაზე. მიღებული აქვს ორმოცზე მეტი ჯილდო.

თქვენს ქვეყანაში ვირი არ არის?

ოთახში ისე შემოვიდა, არ მომსალ-მებია; აღელვებული ჩანდა... თავს აქეთ-იქით აქნევდა, ლოყაზე ხელს იტყაპუნებდა:

– შევრცხვით, შევრცხვით... ფუუ-უუ!.. თავი მოგვეჭრა!..

ცოტა არ იყოს, მეუცნაურა დახვეწილი ინტელიგენტის ასეთი საქციელი.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება; დაბრძანდით. ხომ კარგად ხართ?

– კარგად როგორ ვიქნები, შევრცხვით. საშინლად შევრცხვით...

ვიფიქრე, რაღაც უბედურება დაატყდა თავს...

რა იყო, რა მოხდა-მეთქი, ვკითხე.

– მეტი რაღა უნდა მოხდეს?! ერთი ბებერი, ქეციანი ვირი კაცს ორი ათას ხუთას ლირად მიჰყიდეს.

გაოცებისგან ნაბიჯი უკან გადავდგი:

– ეგ როგორ, გაგიუდა?!

ცოლის დასაძახებლად მიზეზი მექნება-მეთქი, ვიფიქრე; ყავა შევთავაზე.

– რა დროს ყავაა, შენ ეს მითხარი, ბებერი, გაძვალტყავებული ვირი ორი ათას ხუთასი ლირა ელირება?

– რა ვიცი... ვირი არასოდეს მიყიდია... არც გამიყიდია; ვერ ვერკვევი...

– ვირების ბიზნესი არც მე მქონია, მაგრამ ორი ათას ხუთასი ლირა რომ არ ღირს, ვიცი...

– რატომ ნერვიულობთ?

– მე თუ არ ვინერვიულე, ვინ უნდა ინერვიულოს... გინახავთ ვირი, რომელიც ასე ძეირად ფასობს?!

– ოცი წელი იქნება, ვირი თვალით არ მინახავს...

– მე თქვენ გეკითხებით, ლირს თუ არა ერთი ვირი ორი ათას ხუთასი ლირა?

– რა ვიცი, რა გითხრათ... თუ მარიფათიანია, შეიძლება ლირდეს კიდეც...

– რა მარიფათი, ბატონო, ვირია; სიტყვას ხომ არ წარმოთქვამს... ერთი ჩვეულებრივი ვირია; თანაც – ბებერი და ქეციანი... ადამიანს ორი ათას ხუთას ლირად მიჰყიდეს!.. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ საქმეში მე გამომიყენეს...

– ააა... ეგ როგორ მოხდა?

– სწორედ ამის მოსაყოლად მოვედი... მე და ჩემი მეუღლე სტამბოლის უნივერსიტეტიდან ამერიკაში მიგვიწვიეს. იქ ერთი წელი ვიცხოვრეთ.

– ეგ ვიცი.

– ამერიკაში ერთი პროფესორი გავიცანი; დავმეგობრდით... ძალიან დამეხმარა; ბევრი სიკეთე გამიკეთა. თურქეთში

რომ დავბრუნდი, ურთიერთობა მიმოწერით გავაგრძელეთ. თურქების მიმართ ძალიან კეთილგანწყობილი პიროვნებაა. მომწერა, რომ მის ერთ მეგობარს, რომელიც ანტიკვარული ხალიჩების კოლექციას აგროვებდა, თურქეთში ჩამოსვლა სურდა. მთხოვა, შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი. შევპირდი, სიამოვნებით დავეხმარებოდი, თუკი მისი ვიზიტი არ-დადეგების პერიოდს დაემთხვეოდა. ასეც მოხდა; ხალიჩების სპეციალისტმა ჯერ ინდოეთში და ირანში იმოგზაურა; იქაური ხალიჩები შეისწავლა. ჩვენს ქვეყანაში ივლისში ჩამოვიდა. სასტუმროდან დამირეკა; მივაკითხე... გერმანული წარმოშობის ამერიკელია. მგონი, ებრაული სისხლიც ურევია. შესაძლოა, საცხოვრებლად ამერიკაში გადასული გერმანელი ებრაელია...

ინდოეთიდან და ირანიდან ნავაჭრით სავსე ოთხი დიდი ჩანთა ჩამოეტანა... ანტიკვარული ნივთები მაჩვენა. ეს იყო ძალიან ძველი ხალიჩების, ნოხებისა და ხურჯინების ნაგლეჯები. შენაძენით ძალიან კმაყოფილი ჩანდა. მისი თქმით, ეს ნივთები ფასდაუდებელი განძი იყო. ერთი პატარა ხალიჩა მაჩვენა; მისი სიგანე ხუთი, სიგრძე – ათი მტკაველი თუ იქნებოდა. ეს ნივთი, თურმე, ოცდაათი ათასი დოლარი ღირდა; ტრაბახობდა, ერთი ირანელი გლეხისგან ერთ დოლარად შევიძინეო. ერთი დოლარის ეკვივალენტი დინარები რომ მივეცი, ისეთი კმაყოფილი დარჩა, ღმერთს მადლობა შესწირაო. ძალიან დამაინტერესა, რატომ ღირდა ასე ძვირი ხალიჩის პატარა ნაჭერი. ამ ხალიჩის ყოველ ერთ სანტიმეტრ ნაქსოვში ოთხმოცი თვალიაო, ამისნა. ეს ნამდვილი შედევრიაო, იმეორებდა. დიდი მონდომებით მაწვდიდა ინფორმაციას ანტიკვარული ხალიჩების შესახებ; მსოფლიოში ერთადერთი ხალიჩა ყოფილა, რომლის ერთ სანტიმეტრ ნაქსოვში ასი თვალია;

ისიც რომელიღაც მუზეუმში ყოფილა დაცული... ერთი ქეჩა მაჩვენა; ორმოცდათ ცენტად ვიყიდეო, თქვა კმაყოფილი ღიმილით, სულ მცირე, ხუთი ათასი დოლარი ღირსო. ფასებმა გამაოცა:

– ასე იაფად როგორ ყიდულობთ ძვირფას ნივთებს? – ვკითხე.

– ორმოცი წელია, ამ საქმით ვარ დაკავებული. თანაც ყიდვის საკუთარი მეთოდი მაქვს...

ხალიჩების შესახებ სამი წიგნი და ალბომი გამოუცია. მსოფლიოში ხალიჩების ყველაზე მდიდარი რამდენიმე კოლექციიდან ერთ-ერთი, თურმე, მას ეკუთვნის.

ჯიპი დავიქირავეთ და ანატოლიაში სამოგზაუროდ წავედით; სოფელ-სოფელ დავდიოდით. მეჩეთებში მის მიერ ძვირფასად მიჩნეულ ხალიჩებს ფერად სურათებს უღებდა; ჩანაწერებს აკეთებდა... რამდენიმე სოფელში ძველი ხურჯინები, ხალიჩები, ნოხები და ქეჩები შეიძინა. როგორც აღნიშნა, ეს ნივთები ინდოეთში, ჩინეთში, ირანსა და ავღანეთში შეძენილს ვერ შეედრებოდა... ძვირფასი თურქული ხალიჩებიც არსებობს, მაგრამ ჩვენ ვერ შევხვდითო, თქვა სინანულით.

ანატოლიის ერთ რეგიონში არქეოლოგიური გათხრები ტარდებოდა. გათხრებს არქეოლოგთა ერთი ამერიკული და ერთი გერმანული ჯგუფი აწარმოებდა. ერთმანეთისგან ხუთი-ათი კილომეტრის დაშორებით მუშაობდნენ. ირგვლივ ყველაფერი გადათხრილი იყო; კარვები გაეშალათ... მიწის ქვეშ ჩვ.წ.-მდე მეათე საუკუნიდან მოყოლებული რამდენიმე ცივილიზაციის ნაშთი აღმოჩინეს; ქალაქები, სასახლეები, სამარხები...

გათხრების სიახლოვეს ისტორიითა და არქეოლოგით დაინტერესებული ტურისტებიც ირეოდნენ... სოფლელები მინაში ნაპოვნი ჯამების, ქოთნების, დოქების ნატეხებს ტურისტებს სთავაზობ-

დნენ... ვიფიქრე, რადგან აქამდე მოვ-სულვარ, სამახსოვროდ მეც რამეს შევი-ძენ-მეთქი; ერთ ქერათმიან გოგონას ხელში ლარნაკის სახელური ეჭირა; მის გვერდით მდგომ ბიჭუნას – ადამიანის თავის ფორმის პატარა, ლურჯი ქვა. ეს ქვა შეიძლება ბეჭდის თვალი ყოფილი-ყო... ფასი ვკითხე; ლარნაკის სახელურში ორმოცი ლირა მოითხოვეს, ლურჯ ქვაში – თხუთმეტი; ძვირია-მეთქი, ვუთხარი. პატარები დიდი ადამიანივით მიმტკიცებ-დნენ, რომ სულაც არ იყო ძვირი... რომ ეს ძალიან ძველი ნივთები ხუთი მეტრის სიღრმიდან იყო ამოღებული...

ყიდვა დავაპირე; ჩემმა ამერიკელმა თანამგზავრმა გადამაფიქრებინა; ამისსნა, რომ ამ ნივთებს არავითარი ისტორიული ღირებულება არ გააჩნდა. აღმოსავლეთში მოგზაურობისას ხშირად შეხვედრია ასეთ რამეს. ტურისტულ ადგილებში სოფლები ფალსიფიცირებულ ნივთებს ანტიკვა-რებად ასაღებენ... ისე მოხერხებულად აძლევენ სიძველის სახეს, ზოგჯერ არქეო-ლოგებიც კი ტყუვდებიან. ერთი ამერიკელი ტურისტისთვის მეცხვარე ძალლის გა-პარსული ღეშიც კი მიუყიდიათ, მეფის მუ-მიაო... სოფლელების ამ ონებზე რომ მიყვებოდა, ეშმაკურად ეცინებოდა.

– თუმცა, უბრალო ნივთი რომ ანტიკვარს დაამსგავსო, ადვილი არ არის; დიდი ნიჭი და ოსტატობაა საჭირო... თუ-დაც ის პატარა ლურჯი ქვა, ბავშვს რომ ეჭირა... მასში დიდი შრომაა ჩადებული; ქვისთვის სასურველი ფორმის მიცემა... მერე ძველი იერსახის მინიჭება...

გზა ჯიპით გავაგრძელეთ; საშინა-ლად ცხელოდა... ერთ ადგილზე რამდე-ნიმე ალვის ხე შევნიშნეთ; იქვე ჭაც მო-ჩანდა... მანქანა გავაჩერეთ; გადმოვე-დით... ჩრდილში ასაკოვანი კაცი გაშოტი-ლიყო... ცოტა მოშორებით ვირი იწვა; კაცს გამოველაპარაკეთ;

– ამ სოფლებში რას თესავენ? – არაფერსაც არ თესავენ; ადრე მარცვლეული მოჰყავდათ. ახლა, ოცი წე-ლია, რაც ეს გათხრები დაიწყო, გლეხი გაზარმაცდა... მიწას აღარავინ ამუშა-ვებს.

– სხვაგანაც ასეა, – თქვა ამერიკელ-მა.

– კი, მაგრამ ხალხი თავს რით ირ-ჩენს? – გავაგრძელე მე.

– მიწას თხრიან; ჯამის, ქოთნის, წარწერიანი ქვების ნატეხებს იღებენ და აქ ჩამოსულ უცხოელებზე ყიდიან.

– ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, – ჩაილაპარაკა ამერიკელმა.

– აქაურმა ხალხმა სულ დაკარგა სინდისი, – გააგრძელა სოფლელმა კაც-მა, – ქვეყნის განძი ჩალის ფასად მიჰყი-დეს უცხოელებს... მიწის ქვეშ ისეთი სვე-ტები და სამარხები აღმოჩნდა, შესაბამის ფასად რომ გავეყიდა, ასეთ ათ თურ-ქეთს ავაშენებდით.

– ვინ არიან ის უცხოელები?

– ვინც თხრიდა, ყველა ქურდია... მიწის ქვეშ ნაპოვნი ანტიკვარული ნივთე-ბი მოიპარეს და გაზიდეს; აქედან წაღ-ბული განძით თავის ქვეყნებში დიდი ქა-ლაქები ააშენეს... ზოგმა თვითონ ამოთ-ხარა, ზოგმა სოფლელების ნაპოვნი მოტ-ყუებით, მუქთად ჩაიგდო ხელში...

– სხვაგანაც ასეა, – აღნიშნა ამერი-კელმა.

– ამოსათხრელი უკვე აღარაფერი დარჩა... მთავრობამაც გაახილა თვალი... მიწის ქვეშ თუ კიდევ რამე დარჩა, თვი-თონ დაეპატრონა; შესაძლოა, ყიდის კი-დეც უცხოელებზე...

– თუ ასეა, სოფლელები რითი ირჩე-ნენ თავს?

– აქ ექვსი სოფელია; სახლებში რომ შეხვიდე, ძონძის ნაგლეჯს ვერ იპოვი... ვერ ნახავ ჭიქას, დოქს, ჯამს... ყველა-ფერს ტურისტებზე ყიდიან, როგორც ან-

ტიკვარს... მიწაში მარხავენ, აობებენ, და-ზიანებულ ანტიკვარს ამსგავსებენ... ამას წინათ დავინახე, ერთი პატარა ბიჭი ჩემი ვირის კისრიდან მძივების მოხსნას ცდი-ლობდა... წაიღებდა, მიწაში ჩაფლავდა, ძველის სახეს მისცემდა... მერე ვიღაცას მიჰყიდდა, ანტიკვარიაო. გასათხოვარი გოგოები სულ ამ საქმით არიან დაკავებულები; პატარა, ფერად ქვას იპოვიან, სა-სურველ ფორმას მისცემენ, ძველს დაამ-სგავსებენ და ანტიკვარია... ვირის ნალის-გან მედლებს და ძველებური ფულის მსგავს მონეტებს აკეთებენ...

— ხომ გითხარით, სხვაგანაც ასეა,— დაამატა ამერიკელმა.

— შენ რითი ცხოვრობ? — ვკითხე სოფლელს.

— ვირებით ვვაჭრობ... ხუთი წელია, ამ საქმით ვირჩენ თავს.

ჩვენ რომ ვსაუბრობდით, ამერიკე-ლი ვირს მიუახლოვდა; მის ზურგზე და-ფენილ ქეჩას დააკვირდა...

— ვირების ყიდვა-გაყიდვით განა რამდენს შოულობ..

— როდის როგორ...

— ერთ ვირს რამდენ ხანში ყიდი?

— ზოგჯერ სამ-ხუთ თვეში ერთი ვირი ძლივს იყიდება, ზოგჯერ კი დღეში შეიძლება ხუთი ვირიც გაყიდო...

ამერიკელი მომიახლოვდა:

— ვირს ზურგზე ხალიჩის ნაჭერი რომ აფენია, ნახე? — მკითხა გაოცებულმა.

ვირს შევხედე; ზურგზე რაღაც ბინ-ძური, გახეხილი, სქელი ნაჭერი ეფარა...

— ის ძონძი? — შევუბრუნე კითხვა.

— არაჩვეულებრივი ნამუშევარია, ნამდვილი შედევრი... წელან, თქვენ რომ საუბრობდით, მე ხალიჩის ნაჭერს დავაკ-ვირდი... ფერები, ორნამენტი, ნამუშევა-რი... არაჩვეულებრივია! ნაქსოვის ყოველ სანტიმეტრში ას ოცი თვალია; მსგავსი არასოდეს არავის უნახავს, შეუდარებე-ლია!.. ნამდვილი შედევრი...

იმის გამო, რომ ინგლისურად ვსაუბ-რობდით, ვირის პატრონს არაფერი ესმო-და.

— იყიდით? — ვკითხე კოლექციო-ნერს.

— ვიყიდი, მაგრამ ამ კაცმა არ უნდა გაიგოს, რომ ხალიჩით დავინტერესდი... ამათ კარგად ვიცნობ; თუ რაიმე ძველი ნივთის ყიდვას დააპირებ, ფიქრობენ, ან-ტიკვარიაო და ძალიან ძვირს აფასებენ.

— რაზე ლაპარაკობს ეს უცხოელი?— იკითხა გლეხმა.

— აქაურობა ძალიან მოეწონა... შთა-ბეჭდილებას მიზიარებს...

— რა ნახა აქ მოსაწონი, ამ ხრიოკი ადგილით მოიხიბლა?! — გაუკვირდა სოფლელს.

ამერიკელმა საუბარი გააგრძელა:

— ხომ გითხარით, იაფად ყიდვის ჩე-მი მეთოდები მაქვს-მეთქი; ახლა ერთ ხერხს მივმართავ: ხალიჩას ყურადღებას არ მივაქცევთ, ვირს ვიყიდით... კაცმა, რა თქმა უნდა, ხალიჩის ფასი არ იცის; ვირს ხალიჩის იმ ძველ, ჭუჭყიან ნაჭერსაც გა-მოაყოლებს... ჩვენ ვირს წავიყვანთ, ცო-ტას გავივლით; მერე ხალიჩას მოვხსნით, ვირს დავტოვებთ და წავალთ... ახლა ამ კაცს უთხარი, რომ ვირის ყიდვა მინდა.

— ამ ვირს ყიდი, არა? — ვკითხე გლეხს.

— ვყიდი...

— რამდენად გინდა გაყიდო?

— მყიდველს გააჩნია...

— ჩვენ რომ ვიყიდოთ?

— დამცინით, თქვენნაირ ბატონებს ვირი რაში სჭირდება?!

— ვიყიდით; რამდენად მოგვცემ?

— ხომ გითხარით, მყიდველს გააჩ-ნია— მეთქი, შენ გინდა, თუ ამ გიაურს?

— ის იყიდის.

— რა ეროვნების კაცია?

— ამერიკელი...

— ჰმმ... უცხო არ ყოფილა, ჩვენია-

ნად ითვლება... ვერ მოვატყუებ... უთხარი, რომ ეს ვირი ბებერია, არ გამოადგება.

ჩემს თანამგზავრს გადავუთარგმნე; გაუხარდა:

– ძალიან კარგი, ალბათ, იაფად მოგვცემს...

– ბებერი იყოს, თანახმაა, – ვუთხარი ვირის პატრონს.

– სირცხვილია, ბატონო... კაცი წავადა თავის ქვეყანაში იტყვის, თურქებმა მომატყუესო...

ამერიკელს გადავუთარგმნე. ესია- მოვნა...

– თურქი გლეხი სუფთა გულის, მართალი ადამიანია... სხვაგან რომ ყოფილიყო, მაშინვე მოყიდვნენ...

– ეს კაცი თანახმაა, – ვუთხარი გლეხს.

– კი მაგრამ, ბატონო, ეს ვირი ამერიკამდე ვერ ჩააღწევს, გზაში მოკვდება; თანაც ქეციანია...

– შენ რა გენალვლება, ეს თანახმაა, იყიდოს... რამდენად აძლევ?

– ერთი მაგ ამერიკელ ბატონს ჰქითხე, მის ქვეყანაში ვირი არ არის?..

ამერიკელს გადავუთარგმნე... ცოტა ფიქრის შემდეგ:

– უთხარით, რომ არის, მაგრამ ასე- თი არა...

– ჰმმმ... ე.ი. ამერიკული ვირი არ მოსწონს და თურქული ვირით დაინტე- რესდა... რას ვიზამთ, ამ ქეციანი ვირის გამო ხომ ვერ ვაწყენინებთ... ათი ათასად მიყყიდი.

– გაგიუდი, კაცო? სუფთა სისხლის არაბული ჯიშის ცხენი ორ-სამ ათას ლი- რაზე მეტი არ ლირს...

– თუ ასეა, არაბული ჯიშის ცხენი იყიდოს...

ამერიკელს რომ გადავუთარგმნე:

– ხომ გითხარით, ყიდვას რომ დაა- პირებ, ფიქრობენ ძვირფასიაო... ხალიჩის

ყიდვა რომ მოგვენდომებინა, ასი ათას ლირას მოგვთხოვდა; ამ ვირში ათი ათას ლირას მივცემდი, მაგრამ ფასს კიდევ მო- უმატებს; შეიძლება ორმოცდაათი ათა- სიც მოითხოვოს... ამიტომ შევევაჭროთ...

– სიმართლე მითხარი, ეს ვირი რამ- დენად იყიდე? – ვკითხე სოფლელ კაცს.

– მე ტყუილი არ მჩვევია... ხუთ ლი- რად ვიყიდე... ვიფიქრე, ერთ-ორ დღეში მოკვდება, გავატყავებ, ტყავს მაინც გა- მოვიყენებ-მეთქი...

– ნამუსი არა გაქვს?... ხუთ ლირად ნაყიდ ვირს ათი ათასად როგორ ყიდი?

– მე არ შემომითავაზებია, ბატონო, თქვენ მოინდომეთ ყიდვა... გითხარით, ბე- ბერია-მეთქი, იყოსო, ... ქეციანია-მეთქი, თანახმანი ვართო, ... დღეს-ხვალ მოკვდე- ბა-მეთქი, არა უშავსო... ჰო, მართლა, კინა- ლამ დამავიწყდა, კოჭლიც არის ეს ვირი...

– იყოს...

– ხედავ?! ამ ვირს რაღაც ისეთი ლირსება აქვს, რასაც მე ვერ ვხვდები; ასე რომ არ იყოს, ამერიკელი რატომ დაინტე- რესდებოდა ბებერი, ქეციანი, გაძვალ- ტყავებული ვირით?!.. ათი ათას ლირას არ დააკლდება!..

– არ უკლებს, მივცეთ ათი ათასი? – ვკითხე კოლექციონერს.

ორი საათი ვივაჭრეთ; მერე, ვითომ ყიდვა გადავიფიქრეთ, მანქანისკენ წავე- დით.... კაცმა ყურადღება არ მოგვაქცია. უკან მივბრუნდით....

– ვიცოდი, მობრუნდებოდით...

– საიდან იცოდი?

– ვირი ჩალის ფასად იმოვეთ... ამ შანსს ხომ არ გაუშვებდით ხელიდან...

როგორც იქნა, ორი ათას ხუთას ლი- რაზე შევთანხმდით, ვირის გამყიდველს ფული ჩავუთვალეთ; მძღოლს ვთხოვეთ, წასულიყო და მანქანა ცოტა მოშორებით, გზაზე გაეჩირებინა.

სოფლელმა ვირს ხალიჩა მოხსნა...

— აბა, ხეირი ნახეთ! იაფად კი გავყი-
დე ჩემი ბებერი, ქეციანი ვირი...

ამერიკელმა ხალიჩის ნაჭერს თვალი
გააყოლა...

— არ შევიმჩნიოთ... ვირი წავიყვა-
ნოთ, ცოტა ხნის შემდეგ უკან მოვპრუნ-
დეთ. ვუთხრათ, რომ ვირი გაცივდება, თუ
ზურგზე არ დავაფარეთ. ხალიჩის ნაჭერი
ვთხოვოთ.... ამ კაცმა არ უნდა გაიგოს, ხა-
ლიჩით რომ ვართ დაინტერესებულები...

აღვირს ხელი მოვყიდეთ; გზაზე გა-
ვედით... ვირს სიარული უჭირდა... ძლივს
მიგვყავდა; მე წინიდან ვექაჩებოდი, ამე-
რიკელი უკანიდან აწვებოდა... ოცი-ოც-
დათი ნაბიჯი რომ გავიარეთ, გამყიდ-
ველმა მოგვაძახა:

— მოიცადეთ, მოიცადეთ, რაღაც
დაგრჩათ!..

— კაცს ხალიჩა თვითონ მოაქვს, —
გაუხარდა ჩემს თანამგზავრს.

ვირის პატრონმა მორბინა, ხელში
რაღაც რკინისმაგვარი ეჭირა:

— ვირის დასაბმელი მარგილი დაგა-
ვინყდათ; ამერიკაში რომ ჩაიყვანთ, ამ
ვირს დაბმა ხომ უნდა...

რკინის მარგილს ბოლოში რგოლი
ჰქონდა მიმაგრებული.

— მიდი, ხალიჩაც გამოართვი, —
მთხოვა ამერიკელმა, — უთხარი, ბარემ ეგ
ჭუჭყიანი ჩულიც მოგვეცი, ვირს ზურგზე
დავაფარებთ, რომ არ გაცივდეს-თქო...

კაცს ამერიკელის ნათქვამი გადავუ-
თარგმნე.

— არააა... ჩულს ვერ მოგცემთ! —
კატეგორიული უარი გამოგვიცხადა კაც-
მა, — თქვენ ჩემგან ვირი იყიდეთ და არა
ქეჩა...

— მართალია, ვირი ვიყიდეთ... მაგ-
რამ ცოდოა, გაცივდება... სუსტია, ავად-
მყოფი... თანაც ეგ გახეხილი ქეჩა ძვე-

ლია, ჭუჭყიანი... რაში გამოიყენებ.

— კი, ბატონო, ძველია, გახეხილი,
ჭუჭყიანი, მაგრამ ვერ მოგცემთ... მამის
სახსოვარია, წინაპრებისგან შემონახული...

ამერიკელს გადავუთარგმნე; ერთი
ჰკითხე, რაში სჭირდებაო, მითხრა.

— როგორ თუ რაში მჭირდება?! ახლა
სხვა ქეციან ვირს ვიყიდი, ზურგზე დავაფა-
რებ; გამორჩდება თქვენნაირი მუშტარი და
კარგ ფასად გავყიდი... ამ ჩულს ჩემთვის
ბედნიერება მოაქვს, ბედნიერება!.. მე
თქვენ მარგილიც მუქთად მოგეცით...

— რამდენიმე ყურუშს მაგ ჩულშიც
გადაგიხდით... დავაფარებთ საწყალ
ცხოველს...

— მერე ვირები როგორ გავყიდო?..
ხუთი წელია, ბებერ, გაძვალტყავებულ
ვირებს ამ ჩულის წყალობით ვყიდი... აბა,
კარგად იყავით... შენაძენი ღმერთმა სი-
კეთეში მოგახმაროთ!..

გლეხმა რამდენიმე ნაბიჯი რომ გაი-
არა, შემობრუნდა:

— ვირის დატოვებას თუ აპირებთ,
ნუ იწვალებთ, შორს ნუ წაიყვანთ... ჩემ-
თვისაც კარგია, არ დავიღლებიო, — მოგ-
ვაძახა.

ვირი იქვე დავტოვეთ; ჯიპამდე ფე-
ხით მივედით...

— სხვაგან ასეთი რამ არ მინახავს, —
ჩაილაპარაკა იმედგაცრუებულმა ამერი-
კელმა.

მანქანაში ჩავსხედით; რკინის მარ-
გილი ხელში ეჭირა.

— რაში გამოიყენებთ ამ მარგილს-
მეთქი, ვკითხე.

— ხალიჩების კოლექციას დავამა-
ტებ... ძვირფასი ნივთია, ორი ათას ხუთა-
სად ვიყიდეთ...

— ფუუუ!.. როგორ შევრცხვით, თა-
ვი მოგვეჭრა!..

თურქულიდან თარგმნა
მერი წიკლაურმა

მუჯელა ულჯაი (კოშიშვილი) (დაიბ. 1958 წ.)

უურნალ „არმალანის“ ფურცლებზე მკითხველი უკვე გაეცნო თურქეთში, დუზჯეს პრო-
ვინციაში მცხოვრები ქართული წარმოშობის პოეტის, აბდულაჟ ჩელებიოლლუს (ჩელებაძის),
ლექს „შენ იცი, რა არის მუჟავირობა?!“

ვაგრძელებთ ტრადიციას და დუზჯეს ქართული დიასპორიდან მკითხველს ვაცნობთ
ქართველ პოეტ ქალს, მუჯელა ულჯაის (კოშიშვილი).

სიყვარული

სიყვარული ისეთი ხელობაა, ოსტატო,
ყველა ნაქსოვეს და ნაქარგს უნდა თვალი მოსტაცო,
უნდა შეძლო, გინდ დარდით იყო გულდაწრეტილი,
გულის ძარღვით განასკვო ყველა მძიმე-წერტილი...

ხან ტკივილის სიმწარე მთელ სხეულში დაგივლის,
ხანაც ურუოლა აგიტანს საამური და გელის
გზა ციცაბო, ზეცისას შეეხები როს ტატნობს,
სიყვარული ისეთი ხელობაა, ოსტატო...

იმედი

ჩემი სევდა წყალს მივეცი,
ალბათ ახლა გულში ალტობს,
ქარს ნაღველი გავატანე,
სადმე შორს, შორს მიმოფანტოს.

იმედი კი ღრუბელს ვანდე,
ჩამოწვიმოს მთა-მთა ნებად,
მიწას გულში ჩაეკრას და
იქცეს მწვანე თავთავებად.

თარგმნეს ია ხასაიაშ
და ნანა კაჭარავაშ

ლექსები მოგიძლვენი,
ქარს გამოვატანე,
შენი ამბავი ვკითხე
ჩემი სტრიქონებით,
მიიღე?..
სახეზე მოგელამუნა
ჩემი პწყარები?
თვალებში ჩაგელვარა?
ლექსები დაგინერე, ქარს გამოვატანე...
ყურში ჩაგჩურჩულა, რომ მიყვარხარ,
რომ მენატრები?
ლექსები მოგიძლვენი,
ქარს გამოვატანე,
მიიღე?..

სიყვარული მარტო „მიყვარხარ“ თქმით არ თავდება,
სიყვარული გულის ფართხალია,
ხან კი ლოდინია მავანისა, რომელიც არასოდეს მოვა.

ცელიწადის ოთხი დრო

წელიწადის ოთხ დროს ვგავარ,
უცებ თვალები მელრუბლება,
კოკისპირულად წვიმს სულში;
მერე შავდება ღრუბლები,
ქარიშხალი ამოვარდება
და სუსხიანი ზამთარი დგება.
მცირა,
ვიყინები, ვითოშები...
შემდეგ მზე ამოდის,
ვიცი, რომ ყოველ ზამთარს გაზაფხული,
ყოველ გაზაფხულს კი ზაფხული მოსდევს.
ყოველი ღამის შემდეგ დილა დგება
და ყოველ ღამეს სინათლე მოსდევს.

წასვლა

წასვლა თუ დარჩენა,
 რომელია ძნელი?
 დარჩი,
 რაგინდ რთული იყოს ცხოვრება,
 თუ ხელისჩამკიდებელი გყავს.
 წასვლა გაქცევაა,
 მაშინ, როცა
 ცხოვრება მედგრად დგომაა
 იმათთან ერთად, ვინც გიყვარს
 და ვისაც უყვარხარ.
 არ გაბედო წასვლა,
 დარჩი იმათთან,
 ვინც ხელს ჩაგკიდებს!
 დარჩი!

შენ და მე

ერთ სულ და ერთ ხორც ვართ,
 სული მე ვარ,
 ხორცი – შენ.
 ჩემი მზერა შენ ხარ,
 შენი ღიმილი – მე.
 წასვლა შენ ხარ,
 მოსვლა – მე.
 ერთ სულ და ხორც ვართ,
 მე – შენ,
 შენ კი – მე.

სუფრა

ამაღამ სუფრა გავაწყვე სასმელით,
 სუფრა, რა სუფრა – საუკეთესო,
 ერთ კუთხეში
 ცრემლი,
 ცოტა ბედნიერება,
 ცოტაც მონატრება დავდე;
 ტკივილიც და
 სიცილიც დავაწყვე;
 განშორებებიც და
 შეხვედრებიც;
 ავადმყოფობებიც მივჩურთე ერთ კუთხეში
 და ჯანმრთელობაც.
 სუფრის ზუსტად შუაგულში კი
 მთელი მისი დიდებულებით
 იმედი დავაპრძანე.
 ამაღამდელ სუფრაზე
 ყველაფერი გვერდიგვერდ ეწყო
 და ავწიეთ სასმისები
 იმედთან ერთად...
 ეს იმედის სადღეგრძელო იყოს!

თურქულიდან თარგმნა
ნანა კაჭარავამ



სარკელი ლიტერატურა

ადურბანდ მაპრასპანდანის ძის დარიგებანი¹
(ფალაური რელიგიური ძეგლი „სწავლანი, შეგონებანი და დარიგებანი:
იხილე მართალთა გზები“
(გაგრძელება)

როგორც უურნალის წინა ნომრებში აღინიშნა, ე. წ. „ანდერძთა წიგნი“ (პირობითი დასახელება) წარმოადგენს სხვადასხვა ცალკეული დოკუმენტური თხზულების გაერთიანებას, რომლისთვისაც საერთოა ძირითადი შინაარსი და მიმართულება: რჩევა-დარიგებანი, ანდერძები, შეგონებანი (ჰანდარზები), უურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა ადურბანდის დარიგებანი, ხოლო ამჯერად წარმოგიდგენთ მამამისის, მასპრასპანდის, ბრძნულ სწავლათა ტექსტს, მიმართულს ვაჟიშვილის აღსაზრდელად. თვით ტექსტის ჩაწერა მიეწერება შაპურ მეორის ქურუმს. აღნიშნული ტექსტი, ისევე, როგორც მისი წინა ფრაგმენტები, ქართულად პირველად ითარგმნა და პირველადვე ქვეყნდება. ძეგლის დარჩენილი ნაკვეთების თარგმანებიც „არმალანის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება.

ლერთითა სახელით

როგორც ცნობილია, ადურბადს საკუთარი ვაჟიშვილი არ ჰყავდა. მას შემდეგ, რაც მან სასოებით აღსავსე ვედრებით მიმართა ღმერთებს, დიდი ხანი აღარ გასულა, რომ ვაჟი შეეძინა. ზარათუშტრა სპიტამას სამახსოვროდ დაარქვა მას სახელად ზარათუშტრა; თან წარმოთქვა: „იდლეგრძელე, შვილო ჩემო, რათა სიბრძნე შეგასწავლო!“

„ჩემო ბიჭუნავ, მომართე გონება კეთილ საქმეებზე, არ გაივლო აზრად ცოდვილობა, რამეთუ ადამიანები მარად როდი ცოცხლობენ, ხოლო სულიერება უფრო ფასეულია. გარდასული დაივიზყე, აღუსრულებელ ვერმომხდარზე კი არ იწუხო და არ იდარდო. ხელმწიფესთან და უფროსებთან ნუ იქნები ჯიუტი და თავნება. რაც შენი თავისთვის არ მოგწონს, ნურც სხვას შეამთხვევ. იყავ ერთგული ხელმწიფეთა და მეგობართა მიმართ, მაგრამ ნურავის დაემონები.

განშორდი ყოველ მძულვარეს, ვინც ბოლმით და მტრობით მოიწევს შენზე. მუდამ და ყველგან სასოობდე ღმერთებს. დაიმეგობრე ისეთები, ვინც შენთვის უფრო მარგია. საღვთო საქმეში და ამაპრასპანდთა² მსახურებაში გულმოდგინება და თავგანწირვა გამოიჩინე. ნუ გაანდობ ქალებს საიდუმლოს. ყველა გაგონილ ნათევამს ყურადღებით დაუკვირდი, სისულელეს ნუ იტყვი. შენს ცოლ-შვილს ნუ დატოვებ განათლების გარეშე, რათა მწუხარებას არ ეწიო, უარესი მძიმე განსაცდელი არ დაგატყდეს თავს და მწარედ სანანებლად არ გაგიხდეს. არ დაუშვა უჯერო, უადგილო სიცილი. კითხვა-პასუხში ზომიერება დაიცავი. ნუვის დასცინებ სხვას.

ბრიყვს ნუ გაიხდი თანამესაიდუმლედ, ავზნიან კაცს ნუ დაემგზავრები. ჩერჩეტს რჩევას ნუ ჰკითხავ, ნურც თანამეინახეობ ფრიად მდიდართან, ნურც

¹ ამ პირვენების შეგონებათა ტექსტების ჩაწერა მიეწერება შაპურ მეორის ქურუმს.

² ზარათუშტრა სპიტამას გვარისაა; ავესტაში ხშირად სპიტამად იხსენიება.

³ ღვთის სასუფევლის მკვიდრნი, წმინდა სულები, ანგელოზები („უკვდავი წმინდანი“). ისინი შექმნა ოპრმაზდმა უწინარეს ხილული სამყაროსი და ადამიანის.

დაჯდები სუფრასთან მთვრალთან. ნუ აიღებ ვალს უჯიშო, უგვარო, სულმდაბალ მდაბიოსგან, ნურც მას მისცემ სესხად, რადგან დანამატი გადასახადი მაღალი ექნება, განუწყვეტლივ შენს კართან იდგება, ანდა წარამარა შიკრიკს მოგიგზავნის და დიდად გაზარალებს. შურიან კაცს დახმარებას ნუ სთხოვ, ნურც შენს ქონებას აჩვენებ ბოროტ შურიანს. არ დაუსვა ბეჭედი ყალბ, ცრუ ხელშეკრულებას. ნუ დაუგდებ ყურს ბოროტებს და მატყუარებს. ზედმეტად ნუ მიისწრაფვი შურისგებით კაცთ დასასჯელად. ქეიფში არ იჩეუბო. ადამიანებს არ სცემო. თანამდებობებს ნუ დახარბდები. იურთიერთე და იმეგობრე კეთილშობილ, გამოცდილ, მცოდნე, გამჭრიახ, მახვილგონიერ და კარგზნიან ხალხთან. გეშინოდეს, ბრძოლაში მძიმე ტვირთად არ დაგაწვეს დიდი პასუხისმგებლობა.

შურისმაძიებელ მძლავრ ხელისუფალთაგან თავი მორს დაიჭირე. გადამწერს ნუ ეკამათები. ლაქლაქა, ყბედ, ენაჭარტალა ადამიანს შენი საიდუმლო არ გაანდო. ცოდნით დაწინაურებულ ბრძენ-კაცს თაყვანი ეცი, მას ჰკითხე რჩევა, მას მოუსმინე. არავისთან იცრუო! ნურაფერს გამოართმევ ქონებიდან ურცხვ ადამიანს. ლიად დასანახად თავდებით თუ ნაძლევით არაფერზე გამოიდო თავი. არ დაიფიცო და ფიცი არ დადო არც სიმართლის, არც სიცრუის გამო.

როცა სახლის აშენება გინდა, ჯერ უპირველესად ხარჯების თანხა დაითვალე წინასწარ. ცოლი შენთვის თავად ეძებე. ქონებას თუ ეძიებ, პირველ რიგში, წყალი, სახნავ-სათესი და მიწები, რაც შეიძლება, მეტი შეიძინე, რადგან კიდევაც რომ მოგება, მოსავალი და შემოსავალი არ მოგიტანოს, მისი საწყისი ფუძე და ფასი უცვლელად დარჩება სა-

მომავლოდაც. რამდენადაც შესაძლებელია, ხალხი სიტყვით არ დათრგუნო. ნუ გაუკეთებ ხალხს ბოროტებას და ზიანს ნუ მიაყენებ. შენი შეძლების შესაბამისად, იყავ გულუხვი და ხელგაშლილი. ნუვის მოატყუებ, თორემ შენც არ მოგატყუონ მერე მწარედ. უფროსს, ხელმძღვანელს კრძალვით პატივი ეც, მიიჩნიე იგი წინამძღოლად, მთავარ მეგზურად და დაუჯერე მის ნათქვამს. ვალი აიღე მხოლოდ ახლობელ ნათესავთაგან და მეგობართაგან. მოკრძალებულ სათხო ქალს მეგობრობა გაუწიე, გაათხოვე ჭუადამჯდარ და გონიერ კაცზე, რადგან მცოდნე და ჭკვიანი კაცი მსგავსია კარგი ნაყოფიერი მიწისა, რომელშიც თესლი ჩაიყრება, ხოლო იქიდან ნაირნაირი ნაყოფი აღმოცენდება. ნათლად, გასაგებად ილაპარაკე. დაუფიქრებლად ნურარას იტყვი. უპირობოდ ფულს ნუ გაასესხებ. ჭკვიან, განათლებულ და თავმდაბალ ქალს დაუმეგობრდი და ცოლად ითხოვე. ხოლო სიძედ აირჩიე კაცი კეთილზნიანი, ჯანსაღი, მართალი და საქმის მცოდნე, თუნდაც ლარიბი იყოს; რამეთუ სიმდიდრე ხომ ოდენ ღმერთთა წყალობაა.

არ დასცინო ასაკოვანს, შენც ხომ დაბერდები, ეგებ, მასზე მეტადაც! ნუ დააყენებ მეციხოვნედ უმოწყალო კაცს! ციხეში პატიმართა ზედამხედველად დანიშნე კაცი ზნეობრივად გამორჩეული, მაღალი სულიერების და გონიერი დიდებულთაგანი.

თუ ვაჟი გეყოლება, ბავშვობიდანვე სასწავლებელში გაამწესე, რამეთუ თვალის სინათლე სწავლაშია! მჭრელი სიტყვა თქვი განსჯის შედეგად, რადგან არსებობს სიტყვა, სათქმელად კარგი; იმავდროულად, არის დუმილიც! და ეს მდუმარება შეიძლება ჯობდეს იმ სათქმელის თქმას!

დესპანად ყოველთვის მართლის-

მთქმელი კაცი იყოლიე. შეშლილს, შერეკილს ნუ მიენდობი, ხოლო სანდო და მართალ კაცს, რითაც შექლებ, ხელი გაუმართე. სათქმელი თავაზიანად თქვი. ილაპარაკე ზრდილობიანად. იქონიე საღვთო აზრები. თავს ნუ შეიქებ, ვიდრე მართლაც არ მიაღწევ ლვთიურ სათნო სულიერებას. ხელისუფალთა და ხელმწიფეთა მიმართ უმადური ნუ იქნები. რჩევა-დარიგება ეძიე დიდად კეთილმორწმუნე და წმინდა მამების სამართალსა და მართლმსაჯულებაში. არაფერი გამოართვა ქურდებს, ნურც მისცემ რამეს ქურდს, – გადაელობე და დააბრკოლე ქურდობის დანაშაული. ჯოვოხეთის შიშით, ხალხს სასჯელი დაფიქრებით დაუნესე. ნურავის და ნურაფრის გამო ნუ გამოიჩენ სიკერპესა და თვითდაჯერებულობას. გაეცი კეთილი ბრძანებები, რათა შენმა დადგენილებებმა კეთილი და სასარგებლო შედეგი გამოილოს. იყავ უცოდველი, რომ იყო უშიშარი. იყავ მადლიერი, რომ გახდე სიკეთის ღირსი. იყავ ერთგული, რათა სანდოდ მიგიჩნიონ. სიმართლე ილაპარაკე, რომ შენი ნათქვამი ირწმუნონ. იყავი ბრძენი, რომ გყავდეს ბევრი მეგობარი. იყოლიე მრავალი მოკეთე, რომ გაითქვა კარგი სახელი და გახდე სახელოვანი. დიდი სახელი მოიხვეჭე, რომ სახელოვნად და ღირსეულად განვლო ცხოვრების გზა. ზრუნვით მოიხვეჭე სოფლის სასარგებლო საქმენი, რათა ახვიდე სულიერი სიწმინდის და სათნოების სიმაღლეზე. ღვანლით იღვანე შენი სულისთვის, რომ დაიმკვიდრო ცათა სა-

სუფეველი. იყავ სამართლიანი, რათა დაიმკვიდრო ზესამოთხე გაროდმანი.

სხვისი ცოლები არ აცდუნო, რაც სულისთვის მძიმე ცოდვაა. მდაბიო, სულმდაბალ და უმადურ ხალხს ნუ შეეხიდები, რადგან მადლიერნი არ დაგრჩებიან. ნუ დაიღუპავ სულს მრისხანებითა და შურისგებით. თუ რამის თქმა ან ასრულება გსურს, მოწინებით მრავალჯერ მოიდრიკე ქედი, რამეთუ ქედმოხრა ხერხემალს არ გაგიტეხს, ხოლო მოკრძალებულად წარმოთქმული თხოვნა პირ-ბაგეს როდი შეგიბილნავს. პირველი ნუ დაელაპარაკები მდაბიოს. საზოგადოებაში ყოფნისას ნუ მიუჯდები გვერდში უვიცთ, გაუნათლებელთ, რათა თავად არ გამოჩნდე უცოდინარი გაუთვითცნობიერებელი. დღესასწაულზე საზეიმო შეკრებაზე ადგილის შერჩევისას არ დაიკავო საპატიო ადგილი, სუფრის თავში არ დაჯდე, რომ ისე არ მოხდეს, იმ ადგილიდან გადმოგაბრძანონ და ერთობ უგვანო ადგილას დაგსვან. ამქვეყნიურ სიკეთებს, ქონებას და სიმდიდრეს ნუ დახარბდები, რადგან მიწიერი საგანძურნი ემსგავსება ფრინველს, რომელიც ხიდან ხეზე გადაფრინდება, მაგრამ არც ერთ ხეზე არ ჩერდება. პატივი ეცი მამას და დედას, იყავი დამჯერი და სათნოებით მათი ნების შემსრულებელი; ადამიანს როცა დედ-მამა ცოცხალი ჰყავს, ყველასთან უშიშარია, ვითარცა ლომი ტყეში; ხოლო ვისაც დედ-მამა აღარ ჰყავს, ემსგავსება მარტოხელა ქვრივს, რომელსაც ყველა ართმევს ყვე-

¹ ზესამოთხე: მაღალი და უმაღლესი სამოთხე, ზეამაღლებული სასუფეველი. სამოთხე დედამიწის თავზე განლაგებულ სხვადასხვა სიმაღლის დონეებს მოიცავს (განსაწმენდელის ჩათვლით), – შესაბამისად, სხვადასხვა დონის მართალთათვის. უმაღლესი დონის სამოთხე კი არის უზენაესად ამაღლებული ღვთის სასუფეველი, გაროდმანი, სადაც სუფევს ოპრმაზდი და მასთან იმყოფებიან წმინდანთა სულები. გაროდმანი აღვსილია ბრწყინვალე ნათლით, – მარადიული უსასრულო კაშკაშა სინათლით. სიხარული, ბედნიერება, ნეტარება, შხიარულება, ბრწყინვალე შესამოსელები, სიმშვიდე, კეთილდღეობა, სურნელება, სიტურფე, მოკაშკაშე ოქროს ტახტრევნები, ზემართალთა გაცისკროვნებული სულები, სრული თვალისმომჭრელი ბრწყინვალება, ღვთიური ნათება, – ასე აღინერება გაროდმანი („დიდების სახლი“). სხვა დონეებზე ანათებს ვარსკვლავთა, მთვარისა და მზის შუქი; ამდენად, გაროდმანის ბრწყინვალე ნათება ოპრმაზდისეულია. (ძდრ. წინა ნაკვეთი).

ლაფერს, ის ვერაფერს იღონებს, მას კი ყველა ჩაგრავს. ქალიშვილი შენი მიათხოვე შორსმჭვრეტელ და მცოდნე ადამიანს, რადგან გამოცდილი და განათლებული კაცი მსგავსია კეთილი ნიადაგისა, რომელშიც თესლს ჩაყრიან, მისგან კი თავთავები აღმოცენდება.

თუ არ გინდა შეურაცხებული, ნურც შენ შეურაცხებული სხვას. ნუ იქნები აპეზარი და ენაგრძელი, რადგან შემანუხებელი და ამაოდმეტყველი ადამიანი ცეცხლივითაა, რომელიც ტყეში შევარდება და გადაბუგავს სრულად ფრინველს და თევზს, და მავნე ნადირსაც გადაწვავს¹. ნუ ემეგობრები ისეთებს, ვისზედაც მშობლები ნაწყენი არიან, ვისითაც დედ-მამა უკმაყოფილოა; რათა სიმართლე ტყუილით არ ჩაგენაცვლოს და შედეგად არ დაკარგო ყველას მეგობრობა და სიყვარული. უტიფრობით და ურცვი, საჩითირო ქცევით არ ჩაიგდო სული ჯოჯოხეთში. ნუ ლაპარაკობ ორაზროვნად. თავყრილობებზე არ დაუჯდე გვერდით ცრუს, მატყუარას, რათა შენც არ შეგემთხვეს მისგან დიდი განსაცდელი. იარე ფეხმარდად და იმოძრავე ყოჩალად, მაშინ იქნები მხიარული და გახარებული. უნდა ადგე სისხამ დილით, მაშინ იქნები საქმით მოსწრებული. ძველ მტერს ნუ დაისვამ ახალ მეგობრად, რადგან ძველი მტერი შავი გველია, რომელიც ას წელიწადს არ დაივიწყებს შურისძიებას. ახალ მეგობრად კვლავ ძველი მეგობარი იხმე, რამეთუ ძველი მეგობარი მსგავსია ძველი ღვინისა: რაც მეტად დაძველდება, სიკეთე ემატება და დიდებულთაგან შესმის ღირსია. უფალი ადიდე და გულით სიმშვიდეში გაიხარე, რამეთუ ყოველგვარ სიკეთეს ღმერთი გიმრავლებს წყალობით. ნუ დაწყევლი

ხელისუფალთ, რადგან ისინი ქვეყნის მცველები არიან და ეს დაცვა უზრუნველყოფს მოკვდაც მოქალაქეთა კეთილდღეობას.

და კვლავაც გეტყვი, შვილო ჩემო: ყველაზე დიდი სარგებლის მომტანია ადამიანისთვის საღი აზროვნება, რადგან თუ, ღმერთმა ნუ ქნას, ქონება განიავდება, საქონელი კი დაიხოცება, გონება მაინც შეგრჩება. რწმენის აღმსარებლობაში ღვაწლი და მისწრაფება გამოავლინე, რადგან ცოდნა-განათლება უმაღლესი ნეტარებაა, მაგრამ უდიდებულესია სულის ცხონების იმედი. მუდამ გახსოვდეს სული შენი. არ მიატოვო შენი მოვალეობა სახელის გულისთვის. ხელები ქურდობისგან დაიცავი, ფეხები – ვალდებულების აცილებისგან, ხოლო ფიქრები კვლავ და კვლავ განწმინდე დაბალი, ბილნი, ქვენა ვნებებისგან; რამეთუ ღვაწლით კეთილმოღვაწე დაჯილდოვდება, ხოლო ვნებებში ჩაფლული ცოდვილი დაისჯება. ყოველი, მეტოქეთათვის ორმოს მთხრელი, თავად ჩავარდება იმ ორმოში. კაცი კეთილი მოსვენებულია სიმშვიდით, ბოროტი ადამიანი კი იტანჯება მწვავე სევდისგან და დარდისგან.

ცოლად ახალგაზრდა ქალი შეირთე. ღვინო სვი ზომიერად, რადგან მას, ვინც უზომოდ სვამს, მრავალგვარი ცოდვა ეწვევა. გველის მრავალი ხრიკი თუ იცი, ნუ გაიწვდი მისკენ ჩქარ-ჩქარა ხელს, რომ არ გიკბინოს და ადგილზევე არ განუტევო სული. კარგი მცურავიც რომ იყო, ძალიან ჩქარ მდინარეში ერთბაშად ნუ შეხვალ, წყალმა რომ არ წაგიღოს და ადგილზევე არ დაგასამაროს. არავითარ შემთხვევაში არ დაარღვიო დათქმული ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საზღაური რომ არ გენიოს.

¹ მავნე ცხოველები, მავნებლები აპრიმანის ქმნილებებია, განეკუთვნებიან აპრიმანის ჯარს ოპრმაზდთან ბრძოლაში. შესაბამისად, ისინი ადამიანის მტრებიც არიან. მათი ხოცვა ჩაითვლება აპრიმანის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლად და მისაღებია.

სხვის ქონებას ნუ მიიტაცებ და ნუ დაე-პატრონები, ნუ აურევ შენს საკუთრება-ში, თორემ საკუთარი სიმდიდრეც თავზე ჩამოგექცევა და გაქრება, რამეთუ ვინც სხვისას მიითვისებს, რაც თავად არ შე-უქმნია, მის ქონებასაც ქარი წაიღებს.

ზედმეტად ნუ მხიარულობ, რადგან ადამიანი ჰაერით სავსე გაპერილი ტიკი-ვითაა: ჰაერი რომ განქარდება, ტიკი დაცარიელდება. ადამიანი ძუძუთა ჩვი-ლივითაა: ზნეს მოიკრებს და მასზე დგას.

ოპრმაზდის დღეს ღვინო სვი და იმხიარულე. ბაჰმანის დღეს შეიმოსე ახალ-ახალი ტანსაცმლითა და შესამო-სელით. არდვაპიშტის დღეს ეწვიე არ-ტოშანს¹ – ცეცხლის ტაძარს. შაპრივა-რის დღეს სიხარულით აღივსე. სპან-დარმადის დღეს მიწა დაამუშავე. ჰორ-დადის დღეს არხები გაიყვანე. ამურდა-დის დღეს ხეები და ვაზი დარგე.

დეიპადადურის დღეს დაიბანე თა-ვი, თმა გაიკრიჭე და ფრჩხილები მოიჭე-რი. ადურის დღეს გზას დაადექი და პუ-რი არ გამოაცხო, თორემ დიდ ცოდვას ჩაიდენ. აბანის დღეს წყალს მოერიდე და წყალი არ გაანაწყენო. ხვარის დღეს ბავშვი სკოლაში წაიყვანე, რომ გამოვი-დეს ნასწავლი და განათლებული. მაჰის თვეს დალიე ღვინო და მეგობრებთან

ერთად გაერთე და იმხიარულე, ხოლო მთვარის ღვთაებას შესთხოვე წყალობა. თირის დღეს შვილი გააგზავნე მშვილ-დოსნობის და შებრძოლების სასწავლებ-ლად, აგრეთვე ცხენოსნობაში დასაოს-ტატებლად. გოშის დღეს საქონელს უნ-და მოუარო და ხარებს ასწავლო მიწის მოხვნა.

დეიპადმიპრის დღეს თავი დაიბანე, თმა შეიჭერი და ფრჩხილები მოიჭერი, ვაზის ნაყოფი, ყურძნის მტევნები ჩაყა-რე საწნახელში, რომ დადგეს კარგი ღვინო. მიპრის დღეს, თუ ვინმემ უსა-მართლოდ შეგავიზროვა და დაგჩაგრა, მიპრის წინაშე დადექ, შესთხოვე მარ-თლმსაჯულება ღვთაება მიპრს და შეს-ჩივლე მას.² სროშის³ დღეს საკუთარი სულის ხსნა და ცხონება ინატრე, ამის-თვის ილოცე და წმინდა სროშს წყალობა შესთხოვე. რაშნის დღე მსუბუქია, – რაც გწადია, ყოველივე აღასრულე მად-ლიანად. ფრავარდინის დღეს ფიცი არ დადო, ამ დღეს ლოცვით მიმართე ფრა-ვაპარებს⁴, რომ მათ მეტად უფრორე გა-იხარონ. ბაჰრამის დღეს ჩაყარე და ამო-იყვანე სახლის, საცხოვრებლის საძირ-კველი და საფუძველი, – მაშინ ის სწრა-ფად აშენდება; აგრეთვე, წადი საომრად, საბრძოლველად გაემგზავრე და შინ გა-მარჯვებული დაბრუნდები. რამის დღეს

¹ წინა თარგმანთა მსგავსად, აქაც ცეცხლის ტაძრის ხსენებისას ვიყენებთ ქართულ მწერლობაში და-დასტურებულ ტერმინს, რომელიც მომდინარეობს სწორედ ამავე მნიშვნელობის ფალაური სიტყვი-დან ატახშან (იხ. ძეგლი „შუშანიკის მარტვილობა“).

² მიპრი, ძეველსპ. მითორა, – ზოროასტრული პანთეონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაება. მით-რა ნახსენებია ბევრ აქემენიდურ წარწერაში, როგორც აჰურამაზდას თანმხლები ერთ-ერთი ღვთაე-ბა. ითვლება, რომ ბოლო სასანიდი მეფები არ უჭერდნენ მხარს „სხვა თანმხლებ ღმერთებს“, მაგრამ ამ ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ შაპურ მეორის ეპოქაში „ისინი სუფევდნენ“ (ბრჭყალებში ვსვამთ აქემენიდთა ციტატებს). ტაძრებშიც დაშვებული იყო მათი გამოსახულებები, მით უფრო, თუ ტექ-სტის ჩამნერი თავად მთავარი ქურუმია. მითორა-მიპრის გამოსახულება ახლაც მოიპოვება ირანში მზის სახით, სხივების გვირგვინით. საზოგადოდ, მითორა-მიპრის კულტი სწორედ მზეს და სინათლეს უკავშირდება. სიტყვა მეპრ-ი კლასიკურ ახალსპარსულში მზის ერთ-ერთი დასახელებაა, ხოლო თა-ნამედროვე სპარსულშიც შემონახულია ეს ლექსემა თუნდაც სიტყვაში მეპრებუნ – რაც ნიშნავს „მოსიტყვარულეს, თბილს“. აქ პირველადი სემანტიკის აშკარა ასახვაა.

³ სროში – მართალთა ღვთაება, რომელიც დახვდება მათ სულებს საიქიოში.

⁴ ფრავაპარები – მართალთა, წმინდანთა, ცხონებულთა უკვდავი სულები.

ცოლი მოიყვანე, იშრომე და იმხიარულე; ასევე, წადი სასამართლოში და დაბრუნდი გამარჯვებული, მოსამართლეთაგან გამართლებული, გათავისუფლებული. ვადის დღეს ისაუბრე, იმასლაათე, ახალი საქმე კი არ წამოიწყო.

დეიპადდენის დღეს, რაც გინდა, აკეთე, ცოლი მოიყვანე ოჯახში, თმები შეიჭრი, ფრჩხილები მოიჭრი, გამოეყვე, ტანისამოსით მოირთვე და მოიკაზმე. დენის დღეს დახოცე მავნე ცხოველები. არდის დღეს იყიდე ყველაფერი ახალ-ახალი, რაც კი გსურს და შინ წაიღე. აშთადის დღეს ცხენი, ძროხა და სხვა მსხვილი საქონელი თუ სატვირთო პირუტყვი გაუშვი იალაზზე შესაწყვილებლად, რათა დაბრუნდნენ ჯანმრთელნი. ასმანის დღეს გაემგზავრე სამოგზაუროდ და სამგზავროდ, რათა შინ მშვიდობით დაბრუნდე. ზამიადის დღეს წამალი არ დალიო. მარასპანდის დღეს ტანისამოსი ამრავლე, შეიკერე და ჩაიცვი; აგრეთვე იმავე დღეს ქალზე დაქორწინდი და გეყოლება სხარტი გონების მარჯვე ბიჭუნა. ანაგრანის დღეს თმა გაიკრიჭე, ფრჩხილები მოიჭრი და ცოლი შერთე, მაშინ დაგებადება განსაკუთრებული ბიჭი.

როცა ბედნიერება გეწვევა, ზედმეტად არ აჩვენო სიხარული; თუ უბედობა შეგემოხვევა, არც მაშინ დაიდარდო მეტისმეტად, რადგან გაბედნიერებას განსაცდელი მოსდევს, ხოლო გასაჭირის უა-

მი შეგეცვლება სიხარულად; და სადაა აღმასვლა, რომელსაც დაღმასვლა არ უძლოდა წინ, ან როდი არსებობს დაღმართი, რომელსაც აღმართი არ ჩაენაცვლება? ჭამა-ყლაპვაში ნუ იქნები ხარბი და ლორმუცელა. ნუ მიუჯდები ნებისმიერ სუფრას და ნურც ხშირ-ხშირად მიეძალები დიდებულთა ლხინსა და ქეითებს, ვინდლო წყენა და დამცირება არ იგემო.

რა არის ის ოთხი ყველაზე უარესი რამ, რითაც გაუთვითცნობიერებელი ადამიანი საკუთარ თავს უფრიადესად აზიანებს? პირველია ძალის და ძალმორჩეობის გამოვლინება; მეორეა უპირატესი მედიდურობისა და ქედმაღლობის გამოვლენა, რაც გამოიწვევს შეძლებულ ხალხთან ჩხუბსა და შეტაკებას; მესამეა, ბერიკაცი რომ ყმანვილობდეს და ნორჩ ყმანვილ ქალს ცოლად ირთავდეს; მეოთხეც, – პირიქით, ყმანვილი კაცი ბერიკაცობდეს და ასაკოვანი ქალბატონი შეირთოს ცოლად. ხალხის კეთილგანწყობას შეიცნობ კეთილი, სამართლიანი აზრებით; ხოლო კეთილზნიანობა ტკბილმოუბარი კეთილმეტყველებითაა ღირსსაცნობი. და ბოლოს, კვლავაც გეტყვი, შვილო ჩემი: ადამიანისთვის ყველაზე დიდად მარგია მისი გონება.

უკვდავი იყოს ნათელში სული ცხონებული ადურბანდ მაპრასპანდანისა, რომელმაც ზემოთქმული ანდერძი შეგვითხზა და ეგზომი რჩევა-დარიგება დაგვიტოვა ანდერძად. დაე, აგრემც იყოს!

საშუალოსპარსულიდან თარგმნა
მაია სახოკიამ

საადი შირაზელი

(მე-13 ს.)

დიდი სპარსელი დიდაქტიკოსი და ლირიკოსი საადი დაიბადა ქალაქ შირაზში, დაახლოებით 40 წლის ასაკში პოეტი მომსწრე გახდა მონღოლთა შემოსევისა, რომელმაც ირანის უმეტესი ნაწილი გააპარტახა. საადი სამშობლოს განერიდა. მან აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობას ლამის სამი ათეული წელი მოანდომა. მეცამეტე საუკუნის 50-იან წლებში უკვე ჭარმაგი პოეტი დაუბრუნდა მშობლიურ შირაზს და მალევე შექმნა დიდაქტიკური ჟანრის ორი მშვენება: ლექსინარევი პროზით (საჯით) დაწერილი „გოლესთანი“ და მესნევის სალექსო ფორმით შეთხზული „ბუსთანი“.

პოეტი გარდაიცვალა დღრმად მოხუცი, მშობლიურ შირაზში. მისი მავზოლეუმი და მიმდებარე ბალი შირაზის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ სანახაობად ითვლება.

პუსტანიდან

* * *

სახელით ღვთისა, ვინაც შექმნა სული ცხოველი,
ვინც არს შთამდგმელი ენისა და მადლისმთოველი.
მპატიებელი მსასოვართა ოდით და ოდით,
მყოვარუჟამიერ შემნდობელი ბრალის და ცოდვის.
ვინაც დააგდო მისი კარი, მისი სამანი,
სხვაგან ვერ ჰპოვა იმ დიდების ცრუ ნატამალიც.
თვით გულგოროზი მეფეებიც, მპყრობელნი ყოვლის,
მისი ზღურბლის წინ ქედს იდრეკენ რიდით და თრთოლვით.
გარდანქეშანთა¹ ქვედამხობას არ ჩქარობს სრულად,
არც მონანულებს განაძევებს, არ დასჯის სრულად.
თუ განარისხე ცოდვა-ბრალის არდარიდებით,
აღარ მიგიღებს ნაავკაცარს ძველი დიდებით.
თუ მამას შვილი წაემტრობა, უწყებს გინებას,
მამისგან თავზე რისხვის ღვარი დაედინება.
თუკი ძე თვისი ვერ შერაცხა მშობელმა სანდოდ,
საექსორიოდ განაწესებს, უწყოდე, ამ დროს.
თუკი დღეყოველ გულმოდგინედ არ შრომობს მონა,
ბატონის თვალში არ ექნება ფასი და წონა.
მოყვასთა შორის თუ არ ძალგიძს ლხენა-ხარება,
შენ სათოფეზე აღარავინ გაგეკარება.
თუკი ლაშქარი ზეზეურად იქცა უდებად,
ასეთ ლაშქარზე გული შაჰსაც აუცრუვდება.
მაგრამ ამ ქვეყნად ღვთის წყალობა არ ქრება უქმად,

¹ გარდანქეში – (სპარს.) მეამბოხე, მოჯანყე, დაუმორჩილებელი.

არ წარუგვრია არასოდეს ურჩითათვის ლუკმა.
მისი სიბრძნის ზღვის თითო წვეთი ორ სახეს ფარავს:
ხედავს ჩვენს ცოდვებს, მაგრამ მაინც შეგვინდობს მარად.

* * *

სულთნის სპასალარს ასე უთხრა ცოლმა ნელიად:
ადექ და სარჩო მოგვიტანე, გამოგველია.
გასწიე, მეფის ქონდაქარი გიბოძებს საზრდოს,
ჩვენს ბავშვებს უკვე ზეზეურად შიმშილი აზრობთ.
თქვა: მეფის კარზე დღეს არც არის საჭმლის ხსენება,
რადგანაც სულთანს მთელი ღამით მარხვა ენება.
სასომიხდილ ქალს მოექუფრა სახე ერიალა,
მწველმა ნესტარმა დაუსერა გული მთლიანად.
„დვთისმოსაობით რად დასჭირდა სულთანს ქადილი?!
ჩვენთა შვილთათვის ლხენა არის მისი სადილი.
მარხვის გამტეხი, ვინც ნიადაგ სიკეთეს სთესავს,
სჯობს მმარხველს, ვისაც არც კი ესმის მოყვასის კვნესა.
მარხვას ის იცავს, დვთიურ შვებას იგი ეწევა,
ვისაც არასდროს ავიწყდება მოძმის შეწევნა.
აბა, რას აქნევ ისეთ მარხვას, არარა ჭამო,
მაგრამ გული არ შეგიტოკდეს მოყვასის გამო“.

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ხულორდავამ

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ფონდ „დიოგენეს“ ინიციატივით, ჯეოლაპთან თანამ-შრომლობით და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ თანადგომით შედგა ონლაინ პროექტი „მთარგმნელთა კლუბი და შემოქმედებითი სახელოსნო“.

მთარგმნელობითი საქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდები ერთი თვის განმავ-ლობაში გამოცდილი მთარგმნელების ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ თარგმანის ხელოვ-ნების თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს.

პროექტის დასრულების შემდეგ პრაქტიკული სამუშაოს შედეგი – დამწყები მთარგმნე-ლების მიერ თარგმნილი მხატვრული ტექსტები – განთავსდა „მთარგმნელთა კლუბისა და შე-მოქმედებითი სახელოსნოს“ ვებ-გვერდზე.

მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ თარგმანებს ფრანგული, ინგლისური, გერმანული და სპარსული ენებიდან.

ვსარგებლობთ ფონდ „დიოგენეს“ ხელმძღვანელის, ქალბატონი თამარ ლებანიძის, ნე-ბართვით და „არმალანის“ მეითხველებს ვთავაზობთ პროექტის ფარგლებში თარგმნილ სპარ-სული მწერლობის ნიმუშებს.

მოპამად ბაჟმანბეიგი (1919– 2010)

მოპამად ბაჟმანბეიგი ცნობილი ირანელი მწერალია ყაშყაელთა ტომიდან, რომელმაც ირანის მომთაბარეთათვის განათლება ხელმისაწვდომი გახადა. თეირანის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მცირე ხნით ამერიკაში გაემგზავრა. სამშობ-ლოში დაბრუნებისთანავე თავდაუზოგავად შეუდგა შრომას, რათა ირანული ტომებისთვის სა-თემო სკოლები დაევარსებინა. მისი წყალობით, ამ სკოლებში გოგონებიც სწავლობდნენ. მან შექმნა სათემო სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები. მოპამად ბაჟმანბეიგიმ თა-ვისი საგანმანათლებლო გამოცდილება მოთხრობებში აღწერა. ირანის მაშინდელმა მთავრო-ბამ მწერალს „მოპამად რეზა ფაჟლავის“ პრემია გადასცა, რომლითაც იუნესკოს მხარდაჭე-რით წერა-კითხვის გავრცელებაში განსაკუთებული წვლილის მქონე ადამიანები ჯილდოვდე-ბოდნენ. 2019 წელს თეირანის ერთ-ერთ ქუჩას მოპამად ბაჟმანბეიგის სახელი ეწოდა. ნოველა „ალი“ გამოქვეყნებულია კრებულში „ჩემი ბოხარა, ჩემი ტომი“ (1989).

ალი

საფდარის ოჯახი უცნაურ ფორიაქ- სა და მღელვარებას მოეცვა. ზოლეიხა, საფდარის ცოლი, ოჯახის ყველა წევრზე მეტად ღელავდა. იგი ბავშვს ელოდა. მთის ფერდობზე, ხშირი ტყის პირას, მან-ქანებისა და მათი სავალი გზებიდან შორს, წამლის და მეურნალისგან შორს – ბავშვს ელოდა. ფეხმძიმობის მეცხრე თვეში იყო. ძლივს სუნთქავდა, ულონოდ

და მძიმედ. გული სწრაფად უცემდა. მუ-ცელი მეტისმეტად წამოზრდოდა. თვა-ლებიდან ძლივს იხედებოდა, ყურში გა-ჭირვებით ესმოდა.

ყველა შიშსა და ძრწოლას აეტანა, ზოლეიხა – ყველაზე მეტად!

ზოლეიხას მშობიარობის ტკივილის არ ეშინოდა. ავსულების და მოჩვენებების არ ეშინოდა. ავსული ალის, მშობიარე ქა-

ლის შიგანით რომ იკვებება, არ ეშინოდა. სიკვდილის სისხლიანი ბრჭყალების და აღსასრულის ულმობელი კლანების არ ეშინოდა. ამ შიშებზე უფრო დიდი შიში ჰქონდა. ყველა შიშეზე უფრო შემზარავი და მომაკვდინებელი შიში!

ეშინოდა, რომ ბიჭის ნაცვლად კვლავ გოგოს შობდა, ქმრისა და ახლობლების წინამე კვლავ შერცხვებოდა. თოთხმეტწლიანი ქორწინების და შვიდი გოგონას შემდეგ მერვე ბავშვის დროს მოეწია.

მის პირველ გოგონას გულნარი ერქვა. ზოლეიხას მხოლოდ ეს სახელი შეერჩია. დანარჩენი გოგონებისთვის, ისევ გოგო რომ არ დაბადებულიყო, ასეთი სახელები დაერქმიათ: ბოლოქალა, ბოლოვარდო, ბოლომთვარისა, ბოლოდიბა, კმარია, საკმარია.

საფდარისა და ზოლეიხას ოჯახი მივარდნილ, მთიან ადგილას მოსახლე მამასანის ტომის პატარა განშტოების წევრი იყო. ტომი ბიჭს მოითხოვდა. მხოლოდ ბიჭს შეეძლო კერის გაცოცხლება. ტომისთვის გოგოების მამების კერია მიმქრალ-მინავლულად მიიჩნეოდა, გოგოს მშობელი დედის გასაჭირზე დარდობდნენ და წუხდნენ.

ტომი, რომელსაც ამდენი მამაცი ქალი ჰყავდა, გოგონას მდაბალ არსებად თვლიდა. ტომი, რომელსაც ამდენი ლირ-სეული ქალი ჰყავდა – ქალები, თავიანთი კაცების დამარცხების შემდეგ, მტრის ხელში ტყვედ ჩავარდნის შიშით, ნაწნავებით ერთმანეთს რომ გადაებმებოდნენ და მაღალი ციხე-გალავნიდან ხტებოდნენ, გოგონას, დას, ქალს, დედას ამცრობდა და არაფრად მიიჩნევდა. გოგონას მეკუვიდრეობას არ უტოვებდა. მზითევსა და მეპრიეს¹ არ აძლევდა. მამაკაცთან ერთად სუფრას არ აკარებდა. ახალგახსნილ სკოლაში არ უშვებდა. დას ძმის სწორად

არ მიიჩნევდა. გათხოვებისას გოგონას სანაცვლოდ შირბაჟას² იღებდა. თითქოს ყიდდა და ზოგჯერ ისე ძვირად ყიდდა, რომ გოგონასა და მის ქმარს მშრალზე ტოვებდა.

ლურის ენაზე მოსაუბრე ეს პატარა საზოგადოება სიტყვაში „შვილი“ გოგონას არ მოიაზრებდა. შვილებად მხოლოდ ბიჭები იწოდებოდნენ. სტუმრებსა თუ გამვლელებს საფდარისთვის რამდენჯერმე უკითხავთ, რამდენი შვილი გყავსო და მას, დარცხვენილსა და თავჩაქინდრულს, უთქვამს, შვილი არა მყავს, რამდენიმე მხევალი მყავსო.

ზოლეიხას ქმრის ეს მწარე სიტყვები ბევრჯერ ჰქონდა მოსმენილი და გულზე ცეცხლი ეკიდებოდა. ამდენი ჯავრის და წუხილის მიუხედავად, ზოლეიხა ჯერაც ლამაზი იყო. ოცდაათი წლისთვის არ გადაებიჯებინა. მისი ნაწნავის ძნებს სავარცხელი ვერაფერს აკლებდა. მისი დიდი და მაცდური თვალები ჯერაც ქმრის სიყვარულის და ერთგულების საწინდარი იყო. მისი თოვლივით ქათქათა კანი ცეცხლმოდებული მუხის ალზე უფრო წითელი სისხლით რწყულდებოდა. პირისახე სისხლნარევი თოვლისფერი ჰქონდა. ზოლეიხა ტომის ერთ-ერთი ულამაზესი ქალი იყო.

მისი ქმარი გამორჩეული კაცი იყო. თავისი მჭრელი ცულითა და ძლიერი მკლავით ტყის განაპირას ზორბა ხეები გაეჩინა და სახნავ-სათესი მიწა მოეწყო. რამდენიმე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვიც ჰყავდა. ზოლეიხასა და გოგონების დახმარებით მცირე მოსავალი მოჰყავდა და ცხოვრების ჩარხს ასე ატრიალებდა.

გოგონები ზოლეიხასავით ლამაზები იყვნენ. უხვი შირბაჟა ელოდათ. უზრუნველი მომავალი ექნებოდათ. მაგრამ ეს

¹ მეპრიე (არაბ.-სპარ.) – ქორწინებისას სასიძოს მიერ საპატარდლოსთვის მისაცემი ფული ან ქონება.

² შირბაჟა (სპარ.) – საქმროს მიერ საპატარდლოს მშობლებისთვის გადასახდელი თანხა.

სიხარული იმ მთისხელა საზრუნავის ფონზე თივის ზვინივით მოჩანდა. ზოლეიხას ბიჭის არყოლის დარდი და ნაღველი კლავდა. შერცხვენილი და დამცრობილი იყო. ქალებსა და დედებს შორის თითით საჩვენებელი იყო. ქორწინებიდან თოთხემეტი წელი გადიოდა და შვიდი დიდ-პატარა გოგონას გვერდით ერთი ბიჭიც კი არ ჰყავდა. უნაყოფო ხე იყო, წყარო იყო დამშრალი და უწყლო! მისი მწუხარება დამქანცველი, მისი დღე უმზეო, მისი ღამე – უმთვარო და უვარსკვლავო იყო.

ზოლეიხას არ შეუცოდავს და ცოდვილი იყო, სამსჯავრო არ გამართულა და მსჯავრდებული იყო. საფდარი მისი დანაშაულის თანამონანილე იყო, მაგრამ ის მამა იყო. კაცი იყო. მისი ცოდვა მისატევებელი იყო. ზოლეიხას სუსტი მხრები ცოდვის ტვირთის სატარებლად უფრო შესაფერი და მორგებული იყო. ის ქალი იყო. დედა იყო. მისი ცოდვა მიუტევებელი იყო. გაკილვა და დაცინვა, ღვარძლი და საყვედური – ყველაფერი მისთვის ემეტებოდათ. ზოლეიხა ჩუმად ითმენდა და ამ საშინელ წამებას გაჭირვებით უძლებდა. ამ მძიმე ტვირთის ქვეშ მისი არსების საყრდენი ბურჯი მორყეულიყო. მისი ხსნა მხოლოდ ბიჭი იყო. მისი გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ ბიჭი იყო. მისი ტკივილის მკურნალი, ბიჭის გარდა, არაფერი იყო.

სხვა დედებს, მეზობლებს, ნათესავებს – ყველას ბიჭი ჰყავდა. ბიჭის სახით დასაყრდენი ჰყავდათ. ზოლეიხა სხვის ბიჭებს შეჰყურებდა. თოფს ხელს წამოავლებდნენ, ნადირობდნენ, ჭიდაობდნენ, შურდულს ისროდნენ, სათემო სკოლაში დადიოდნენ, ლექსებს ამბობდნენ, წარმოდგენებს მართავდნენ, ჯგუფურ თამაშობებში მონანილეობდნენ.

ზოლეიხა, წეხილით და შურით, მოსვენებადაკარგული შეჰყურებდა ამ სასურველ და საოცნებო სცენებს. გრძნობდა ნაყოფის მოძრაობას. ბავშვის ფეხის ხმა ესმოდა. მუცელზე ხელს იდებდა და ბიჭის ნატვრაში ოხრავდა. ბიჭისა, ამ თამაშობებში, შეჯიბრებებში, ძალის გამოცდაში რომ ჩაებმებოდა. ნატრობდა, რომ თვითონაც მხევალს და მოსამსახურეს კი არა – თავისუფალ ბავშვს მოუვლენდა ქვეყანას. ძლიერ ვაჟებაც, რომელიც მისი სიამყისა და თავმომწონეობის მიზეზი გახდებოდა. ოჯახის გაცივებულ კერას გაათბობდა და გააჩალებდა. სკოლაში ივლიდა, ისწავლიდა, გაიზრდებოდა, დაკაცდებოდა, დედას და დებს ზურგს გაუმაგრებდა.

ზოლეიხას ამ ოცნების ასასრულებლად გრძელი გზა გაევლო. ბევრი ელოცა. კერია დაეკოცნა. თიკანი და ბატკანი შეენირა. შეიხებს, დერვიშებს თუ ჩავუშებს¹ სწვეოდა. წმინდანთა საფლავების მოსალოცად მთა და ბარი, ქალაქი და სოფელი, ცხელი, ცივი, ღარიბი და მდიდარი ადგილები ფეხქვეშ გაეფინა. წმინდანების ნაკვალევზე ფეხი დაედგა. ნატვრის ხეებთან სურვილი ჩაეთქვა. თავშალი მოეხსნა და აკლდამებზე შეება.

ზოლეიხას ქალიშვილები დედის სანუხარს იზიარებდნენ. ბავშვის დაბადებას ისინიც იმედითა და მღელვარებით ელოდნენ. ძმის მოლოდინში წამებს ითვლიდნენ. უნდოდათ, ძმისთვის აკვანი დაერნიათ, იავნანა ემღერათ, თავს შემოვლებოდნენ. მისი პატარა ქოჩორი დაეყნოსათ, ტერფები დაეკოცნათ. ქუდსა და პერანგზე ავგაროზად მოულაყოლის მძივი და ონიქსის ქვა შეებათ.

ტკივილები სინათლეს გაურბიან.

¹ ჩავუშები (თურქ.-სპარ.) – კაცი, რომელიც მომლოცველთა ქარავანში რელიგიურ სიმღერებს ასრულებს.

ტკივილები ბნელი ღამეების ძველი მე-გობრები და ახლობლები არიან. ზოლეი-ხას ტკივილები ერთ ბნელ ღამეს დაეწყო. მშობიარობის ამბავი მთელ ტომს მოედო. ქალები მელოგინეს ირგვლივ შემოიკრიბ-ნენ. მათგან ყველაზე მოხუცი, ტომის ბე-ბიაქალი, ყველაზე გვიან მოვიდა და თან თავისი ხელსაწყოები და ხურჯინი მოი-ტანა, რომელშიც ჯანჯაფილი, დარიჩინი, წინაკა, მარიამსაკმელა, მიხაკი, ილი, ბეგ-ქონდარა, პიტნა, ყარაყორუთი, შაქარყი-ნული, აჯასპი, დენთი, ინდიგო, ყვავის ნაღველი, მელის ხახა, არწივის კლანჭი, ცხენის ძუა და ფაფარი ეწყო.

ძალაგამოცლილი, ღონემიხდილი, დიდ კუბოკრულ ნაჭერში გახვეული ზო-ლეიხა ლოგინზე მიგდებულიყო. მისი ლო-გინი – მაგარი ბალიში, სქელი ნაბადი, უხეში ზოლიანი ფარდაგი, ძველი ჯარის-კაცული საბანი – კერიასთან იყო გაშლი-ლი. კერიაში ცეცხლი ენთო. ცეცხლის ალი და ქალების რიარია კარვის კალთებს მოძრავ ჩრდილებად ეცემოდა. თითქოს მოჩვენებები ირეოდნენ. შეშისა და საკ-მევლის კვამლით ჰაერი დამძიმებულ-და-მუქებულიყო. სინამდვილის პირისპირ ყველა შიშა და ძრწოლას აეტანა. დედის ჯანმრთელობა – ნაკლებად, ბიჭის გაჩე-ნა მეტად ადარდებდათ.

ზოლეიხას შეკრული წარბები, და-ზაფრული, გაყინული მზერა მეტყველებ-და, რომ ეს ამბავი აშინებდა და გოგოს დაბადებაზე ფიქრს ძლიერ დაეფრთხო.

სახლი შიშა და მღელვარებას მოეც-ვა. ზოლეიხა დასუსტებულიყო და დაუძ-ლურებულიყო. ტკივილიანი ხმით კვნესო-და. კბილს კბილზე აჭერდა. ბებიაქალმა საყელო შეუხსნა, პერანგი გადაუღელა, თავშალი მოხსნა. თითქოს ჰაერი მაინც არ ჰყოფნიდა. წრიალებდა, ბორგავდა. მოხუ-ცის წამლები და ფაცაფუცი უშედეგო იყო. ზოლეიხას მდგომარეობა უფრო და უფრო

მძიმდებოდა. მშობიარობა ადვილი და მარტივი არ იყო. ადრინდელ მშობიარო-ბებს არ ჰგავდა. ზოლეიხა ყოველ ჯერზე ამ დედაბერმა ამშობიარა. ამჯერად საქმე რთულად იყო. ზოლეიხამ გონება დაკარ-გა. კრიჭა შეეკრა. წამალი კი არა, ყელში წვეთი წყალიც არ გადასდიოდა. ზოლეი-ხას და სიკვდილის სუნთქვა ერთმანეთში არეულიყო. სიკვდილი ორ ნაბიჯზე ედგა. ზოლეიხა ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო. იგი უხილავ მტერს ებრძოდა.

დედაბერმა საფრთხე იგრძნო და გაბზარული ხმით თქვა: „ალი!“

ტომი ბუნების და ზებუნებრივი ძა-ლების მარწუხებში იყო. ეშმაკეულის და ავსულების კლანჭებში იყო. ალი ავსუ-ლებს შორის ყველაზე დაუნდობელი იყო. ალი მუდამ ტომის ირგვლივ ტრიალებდა. ზამთრის თუ ზაფხულის საძოვრებზე ტომს მუდამ თან ახლდა. მუდამ მშობიარე ქალს უსაფრდებოდა. ტომის ხალხი ამ მოსისხლე მტერს ოდითგანვე იცნობდა. ალს მრავალი სახლი გაეჩანაგებინა. მრა-ვალი დედა შავი მიწისთვის მიებარებინა. მრავალი ბავშვი დაეობლებინა, მიუსაფ-რად და მაწანწალად ექცია.

ალს ქვეყანაზე ცხენის, რკინის და შა-ვი ფერის გარდა, არავისი და არაფრისა ეშინოდა. ცხენი, რკინა და შავი ფერი რომ არა, ტომში ერთი დედაც არ გადარჩებოდა.

ბრძოლა გაჩაღდა. ზოლეიხას სასთუ-მალთან უანგიანი ხმალი პირუკულმა დაუ-დეს. მაჯები, კოჭები და მკლავები ცხენის ფაფრით დაწნული შავი საბლით შეუკრეს. ჯაჭვს რამდენიმე რგოლი მოაცალეს და ხელისგულებზე დაულაგეს. საწოლს შავი ქსოვილი გადააფარეს. მისი უსიცოცხლო სხეული გაჭირვებით ასწიეს და შავ, გაჭ-ვარტლულ ქვაბს რამდენჯერმე გადაატა-რეს. ინდიგოთი, დენთითა და ნახშირით სხეული შავად დაუხაზეს. ცალი ქალამანი ნახშირში ამოსვარეს და კარვის თოკზე ჩა-მოჰკიდეს. ტომის თავკაცის მოუსვენარი

ცხენი კარვის კართან, ზოლეიხასგან ორი-ოდე ნაბიჯის მოშორებით მაგრად დააბეს. რომ ვერ მისწვდომოდა და ეჭიხვინა, ხორ-ბლით და ქერით სავსე თოფრაკი მოშორე-ბით დაუდეს. ცხენი გამაყრუებლად ჭიხვი-ნებდა. უნაგირი და ლაგამ-აღვირი ზოლე-იხას ირგვლივ შემოულავეს. კარვის ჭერსა და კალთებზე ათობით მახათი მიამაგრეს, ერთი მახათი ზოლეიხას თმაში ჩაარჭეს. ყოველი მხრიდან რკინის საგნები და იარა-ღები შემოუწყვეს. ზოლეიხა ბრძოლის ველზე იყო. იგი რკინის სანგარში გაამაგ-რეს.

მეზობელი ტომიდან თურქულენო-ვანი გამოცდილი მონადირე დასახმარებ-ლად იხმეს. მონადირე ტომის იმ მეტად იშვიათ კაცთაგანი იყო, ერთ მშვენიერ დღეს ავსულთა ხროვა რომ დაამარცხა და ერთ-ერთს ოქროს ნაწნავი მოაჭრა.

მონადირე ხმაურითა და ყვირილით მოიჭრა, დიდი აურზაური დაატრიალა. ცხენის ჭერებით კარავს რამდენჯერმე წრე დაარტყა, თოფი გაისროლა და შეჰვირა: „ყაჩი ყარე, ყაჩი!“ – „განვედ, შავო, განვედ!“ მთელი ეს გარჯა და ძალისხმევა ამაო ალ-მოჩნდა, მტერმა არ დაიჩოქა. ზოლეიხა მძიმე ბრძოლაში ჩაბმულიყო. ძალ-ლონე გამოსცლოდა. ფერი წართმეოდა. თითქოს სისხლისგან დაცლილიყო. ყველას ეშინო-და. ღამეს ბოლო არ უჩანდა. წუთი საუკუ-ნედ იწელებოდა. დრო გაყინულიყო. არ იძ-როდა. ყველა დედაბერს შეჰვურებდა. მან, სხვებზე მეტად აღელვებულმა, ახალი, სას-ტიკი ბრძანება გასცა.

ზოლეიხას სახეში შემოჰკრეს. გა-ფითრებული სახე დაუსისხლიანეს. ნაწნა-ვები გამეტებით და გაშმაგებით დაუქა-ჩეს. ქალების ძალა არ კმაროდა. საქმეში ძლიერი კაცი ჩაერთო და ზოლეიხას მწა-რედ დაუწყო თავ-პირში ცემა.

ატმოსფერო დამძიმებულიყო. კარ-ვის ჩაბნელებულ-ჩამუქებულ ჰაერში იმე-დისა და სიხარულის ერთი ნაპერწკალიც

არ კრთოდა. ცხენის ჭიხვინი, თოფის სროლა, მონადირის ყიუინა, აღიყურების ხმა, ქალების მოთქმა, გოგონების ტირი-ლი ერთმანეთში არეულიყო.

საფდარი, დაღლილი და დაქანცუ-ლი, მეზობელ კარავში თავისიანებთან ერთად უმცირეს ჩქამსა და მოძრაობას აკვირდებოდა. შფოთავდა და ღელავდა. სიმშვიდე და მოთმინება დაეკარგა. რამ-დენიმე ქვას, მის გვერდით რომ ეყარა, ერთმანეთს უნაცვლებდა. ქვიშით და კენ-ჭებით მკითხაობდა. ადგილს ვერ პოუ-ლობდა. კერიაში მუგუზალს ატრიალებ-და. სიგარეტი გასთავებოდა. ნამწვს ეწე-ოდა. დგებოდა და ცხენს, ზოლეიხას და-საცავად რომ ჭიხვინებდა, კოცნიდა. მო-ნადირეს, ჰაერში ვაზნებს რომ დაუნანებ-ლად ისროდა, გენაცვალეო, შესძახოდა. გაკვირვებისგან და გაოგნებისგან აცახ-ცახებულ გოგონებს, ლანანის ხმა რომ ესმოდათ, ამშვიდებდა.

აღიყური უშედეგო არ ყოფილა. ზო-ლეიხა ცოტათი გონს მოვიდა. პირი გაა-ლო, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. რაღაცის თქმა სურდა. მისი ხმა არ ისმოდა. სიკ-ვდილს-სიცოცხლეს შორის გახირულიყო. ზოლეიხას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ოფ-ლში ცურავდა. თვალები გაახილა, მაგრამ თითქოს ვერავის და ვერაფერს ხედავდა. უეცრად შეირჩა. თვალებში სხივი გაუკ-რთა. რამდენიმე ძლიერმა კრუნჩხვამ მთელ სხეულში დაუარა.

დედაბერი, ზოლეიხას ერთი წამი-თაც რომ არ სცილდებოდა, საქმეს შეუდ-გა და სისხლიანი, დანაოჭებული ხელე-ბით ახალშობილის ჰატარა სხეული დედი-სას მოაშორა. ბავშვი ხელში აიყვანა და შესძახა: „ბიჭია!“

საპასუხო შეძახილი ბიჭის ტირილი იყო. რამდენიმე ქალმა სიხარულის ყიუინა დასცა. მათ მალე მხიარული შეძახილე-ბით საფდარიც შეუერთდა, მაგრამ სასი-ხარულო ვერა ნახა რა. ზოლეიხა ამხელა

ამბავს ვერ უძლებდა. იგი მწუხარებას იყო შეჩვეული. ამხელა სიხარულს ვერ უძლებდა. ამხელა სიხარული მისი უძლური სხეულისთვის მძიმე და აუტანელი იყო. თვალები დახუჭა და მეტად აღარ გაუხელია. ახალშობილი დედის მკერდს დაექებდა. ხელი ჩავლო, პირი გაალო, მაგრამ რძე და რძის ნაკადული არსად ჩანდა. ტკბილი, სიცოცხლის მომნიჭებელი წყარო დამშრალიყო და დაშრეტილიყო.

ზოლეიხამ დაისვენა. მშფოთვარე

ღვიძილის და უთავბოლო სიზმრების მარწუხებისგან, გველეშაპების კლანჭებისგან, რომლებიც ნთქავენ, მგლების ჭანგებისგან, რომლებიც ხრავენ, წყალდიდობებისგან, რომლებიც აჩანაგებენ, დაისვენა.

ყველა ღრმა და შავმა წუხილმა მოიცვა. ამ შავ და ღრმა, მღელვარე ზღვაში მხოლოდ ერთი წვეთი კიაფობდა: ბიჭი!

ამიერიდან საფდარს ცოლი არ ჰყავდა, მაგრამ ბიჭი ჰყავდა. მის გოგონებს დედა არ ჰყავდათ, მაგრამ ძმა ჰყავდათ.

სპარსულიდან თარგმნა
ქეთევან ნიკოლაძემ

ბელყეის სოლეიმანი

(დაიბ. 1963 წ.)

ბელყეის სოლეიმანი ირანის ქალაქ ქერმანში დაიბადა. თეირანის უნივერსიტეტში ფილოსოფიური განათლება მიიღო. არის მწერალი და ლიტერატურათმცოდნე. განსაკუთრებით პოპულარულია მისი მინიმალისტური პროზა. იგი არაერთი პუბლიცისტური სტატიის, ნოველების კრებულის და რომანის ავტორია. მისი ყველაზე ცნობილი წიგნებია: „ქალბატონის უკანასკნელი თამაში“, „სიძე-პატარძლის თამაშობანი“ და „დეიდობანას თამაში“.

დედის მიწა

მამამ თქვა: „დედა ცაში წავიდა“. მამიდამ თქვა: „დედა შორეულ მოგზაურობაში წავიდა“. დეიდამ თქვა: „დედა ის კაშკაშა ვარსკვლავია მთავარესთან ახლოს“.

პატარა გოგონამ თქვა: „დედა მინაში წავიდა“.

მამიდამ თქვა: „ყოჩალ, რა რეალისტი ბავშვია, რა სწრაფად შეეგუა“.

პატარა გოგონა ამის შემდეგ ყოველ-დღე აიძულებდა მამას, რომ დედის საფლავზე წაეყვანა. იქ ჯერ საფლავის მიწას ასწორებდა, შემდეგ რწყავდა და ცოტა ხანს დედას ესაუბრებოდა.

მესამე კვირას, როცა დედის საფლავს რწყავდა, მამას უთხრა:

- აბა, დედა რატომ არ ყვავილობს?

სპარსულიდან თარგმნა
საბინა კაზიმოვმა

ქურდი

ბავშვობიდან მდიდრული, ლამაზი და პატარა ნივთები უყვარდა. წვეულები-დან დაბრუნებისას დედა ჯიბეებსა და სხეულის კუთხე-კუნძულებს უმოწმებდა. ერთხელ თავისი ბიძაშვილის ფერადი ბურთულა გამოუჩნდა, პირში რომ ედო.

ოჯახის ყურადღების მიუხედავად, რომელსაც უამრავი ფსიქოლოგი და ჭკუ-ის მასწავლებელი არიგებდა, სკოლაში რომ წავიდა, კვლავაც ფერად-ფერადი საშლელების, კოხტა სათლელების, ლამაზი დასაკრავი ქალალდების, დიდ-პატარა

და ნაირ-ნაირი ნივთების კოლექცია გაეკუთხდინა.

მისი სიყმანვილის გამორჩეული ნაქურდალი ცხრა თვის დისპეციის ფაჩუ-ჩები იყო, რომლებიც ციმციმებდა და ბულბულივით უსტვენდა. სტუდენტობის პერიოდში უნივერსიტეტის სასადილოდან კოვზებსა და სამარილებს იპარავდა.

ახლა ერთ-ერთი დიდი კომპანიის დირექტორი იყო. მისი ოთხწლიანი მმართველობის პერიოდში მებუფეტეს მდიდრული კოვზების ექვსი კომპლექტი ეყიდა.

მდივანი ქალი კვირაში ერთხელ მაგიდაზე ფერადი საკინძელების ჩასაწყობს ავსებდა. მისი ბოლო ნაქურდალი მდივნის მინიატურული საათი იყო, რომელიც ორი

თვის წინ დაბადების დღეზე თვითონვე აჩუქა. ერთი წლის წინ კი ეს საათი საფრანგეთში ათდღიანი მოგზაურობის დროს თავისი დისტვის მოეპარა.

**სპარსულიდან თარგმნა
შორენა ჯიმშერიშვილმა**

ისე, როგორც სიმონ დე ბოვუარი და უან-პოლ სარტრი

დასჩემებია: „ისე, როგორც სიმონ დე ბოვუარი და უან-პოლ სარტრი“.

სარტრისა და ბოვუარის მთელი ნააზრევიდან ცნებები – შფოთი, თავისუფლება, არჩევანი და რთული ტერმინი „განუხორციელებელი საჭირო“ დაემახსოვრებინა.

პროვინციელ თანაკურსელთან სამთვიანი თანაცხოვრება მისი პირველი გამოცდილება იყო, მერე კი თანდათან გააცნობიერა, უსახლკარობის გამო რომ შეჰქედლებოდა.

ყველა მამაკაცთან, ვისაც კი გაიცნობდა, თავისუფალი, მაგრამ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული იდეალური ცოლქმრული ცხოვრების შესახებ საუბრობდა.

ახლა, როცა ყოველ ღამით ქუჩის პირას დგება, რათა მანქანათა ნაკადში, მის წინ რომ აჩერებენ, ვინმე ამოირჩიოს, საკუთარ თავს ეუბნება: „ეგებ მას ესმოდეს პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული თავისუფალი ცოლქმრული ცხოვრების აზრი.“

**სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ჯგერენაიამ**

მარტობის მყიფე ფაიფური და საქირაო ცხენები

ჯერ ბიჭმა ჩაყვინთა და მერე – გოგომ. მამამაც ჩაყვინთა. კარგად იცოდა, რომ ყვინთვისთვის ცოტა მობერებულიყო, მაგრამ აქ და ახლა, ჩაყვინთვის გარ-

და, სხვა გზა არ დარჩენოდა. გოგომ და ბიჭმა გაიცინეს და წარუმატებელი ჩაყვინთვის შემდეგ წყლიდან თავამოყოფილ მამას წყალი შეაწუნეს. კაცმა გაიცინა და

¹ ნაწყვეტი ირანელი პოეტის, სოპრაპ სეფეპრის, ლექსიდან „წამში ჩატეული ოაზისი“. ლექსი ქართულად თარგმნა გიორგი ლობუანიძემ. ლექსის ეს ნაწყვეტი სეფეპრის საფლავს ეპიტაფიად აქვს.

თავის თექვსმეტი წლის გოგონას ეშმაკურად ანთებულ სახეზე წყალი შეაწუნა. გოგო და ბიჭი მამას დაედევნენ. მამამ წყალში ხელ-ფეხი გაიქნია, სწრაფად და მარდად, მაგრამ ვერ გაექცა. გოგომ და ბიჭმა მამა წყალში ჩააყურყუმელავეს. რამდენიმე წამის განმავლობაში, რომელიც კაცს საუკუნედ ეჩვენა, წყლის ქვეშ სამივე ერთმანეთს თვალებში მიაშტერდა. რთული გამოცდა იყო. ბიჭმა ბოლომ ამოყო თავი წყლიდან და ხმაურიანად ამოისუნთქა. სალტო გააკეთა. გოგომ ვერ შეძლო. მამამ არც კი სცადა.

კაცმა ნაპირზე გააღწია და ცოლის გვერდით, ერთი საათი მათვის თვალი რომ არ მოეშორებინა, ქვიშაზე დაეცა. გოგო და ბიჭიც ნაპირზე გავიდნენ. მამას ღიპი უთახთახებდა. გოგომ ერთი მუჭა ქვიშა დააყარა ზედ და ერთიც ბიჭმა, რათა მამა განძრეულიყო და დედა აყვირებულიყო. მამას ტანი ქვიშით დაეფარა. თანდათან თვალები დახუჭა და რბილ ქვიშასა და ნოტიო ჰაერს მიენდო. გოგომ

და ბიჭმა მამა ქვიშის მართკუთხედში ჩაფლეს და ზედ დააწერეს: „ჩემთან თუ მოხვალთ, ჩუმად, ფეხაკრეფით მოდით, რომ ღმერთმა არ ქნას, გაიბზაროს ჩემი მარტონბის მყიფე ფაიფური“.¹

გოგო და ბიჭი ქვიშის ნიანგის კეთებას შეუდგნენ. გოგომ სანაპიროზე ერთი მუჭა ნიუარები შეაგროვა და ბიჭმა ისინი ნიანგის პირში ჩაამაგრა. გოგომ მკვდარი თევზი ნიანგის პირთან დააგდო და ბიჭი ნიანგის კუდზე ქერცლების გამოყვანას შეუდგა. ბიჭმა ბავშვების შეძახილები, რომლებიც ბრინჯის ნათესებში გაზრდილ ცხენებს მოგზაურებზე აქირავებდნენ, ვერ გაიგონა. მხოლოდ გოგომ გაიგონა ცხენების ფლოქვების თქარუნი და ქვიშის ნიანგს სწრაფად მოშორდა. ათზე მეტი დაოთხილი ცხენი სანაპიროზე მიქროდა. ბიჭი ცხენებს ბოლო წუთში გაერიდა. ცხენებმა ნიანგსა და ქვიშის მართკუთხედს გადაუარეს. მთელი სანაპირო ცხენების სუნითა და ბავშვების შეძახილებით იყო სავსე.

სპარსულიდან თარგმნა
თინათინ წიკლაურმა

სარჩევი

არაბული ლიტერატურა	
მიხაილ ნუაიმე, წრიპა. თარგმანი ნინო სურმავასი და ელენე	
სისარულიძისა	7
იმან ჰუმაიდანი, სხვა ცხოვრებანი. თარგმანი დარეჯან გარდავაძისა	16
სინან ანფუნი, ლექსები. თარგმანი ნინო დოლიძისა	41
თურქული ლიტერატურა	
რეფიქ ჰალით ქარაი, ბებერი ხარი. თარგმანი დარეჯან ყაფლანიშვილისა	49
აზიზ ნესინი, თქვენს ქვეყანაში ვირი არ არის? თარგმანი მერი წიკლაურისა	54
მუჯელა ულჯაი (კოშიშვილი), ლექსები.	
თარგმანი ნანა კაჭარავასი და ია ხასაიასი	60
სპარსული ლიტერატურა	
ადურბანდ მაპრასპანდანის ძის დარიგებანი (ფალაური რელიგიური ძეგლი).	
თარგმანი მაია სახოკიასი	67
საადი შირაზელი, ბუსთანიდან. თარგმანი გიორგი ხულორდავასი	73
მოპამად ბაპმანბეიგი, ალი. თარგმანი ქეთევან ნიკოლაძისა	75
ბელყეის სოლეიმანი, მინიატურული პროზა.	
თარგმანი საბინა კაზიმოვის, შორენა ჯიმშერიშვილის, გიორგი ჯგერენაიასი და თინათინ წიკლაურისა	81

ყდაზე: **ლიბანი. ბეირუთი.**

რედაქტორი: 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com
სწავლული მდივანი: 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com

ტირაჟი 40 (ორმოცი) ცალი



გამომცემლობა „ენივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



9 7723461841005